# საერთო გაზეთი

№44 (173) ● 9-15.XI, 2011 წელი ● გამოდის ოთხშაბათობით ● www.saertogazeti.net; e-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი


## ბიძინა ივანიშვილი: `ar megona, rom miliarderi gavxdebodi~

ВЕДОМОСТИ



ბიძინა ივანიშვილის პირველი ინტერვიუ, რომელიც 2005 წელს გაზეთ „ვედომოსტში“ დაიბეჭდა.

ინტერვიუს სრული ტექსტი ქართულ ენაზე ქვეყნდება პირველად.

„ბედნიერი ვარ, რომ სუფთა წარსული მაქვს და გარწმუნებთ, ხელისუფლების იდეოლოგებს თავიანთი მცდელობანი სიკეთეს ვერ მოუტანს. მუდმივად ისეთ გვარებს ატრიალებენ, რომელიც ცნობილი არაა საქართველოს მოსახლეობისთვის. მუდმივად ცდილობენ, ხალხს ეჭვი გაუჩინონ ჩემზე.

ერთადერთ ინტერვიუში, რომელიც გაზეთ „ვედომოსტს“ მივეცი, ყველა ეს გვარია დასახელებული და პასუხიც იქვეა გაცემული. ეს ამბავი კარგა ხანია წარსულს ჩაჰბარდა. ჟურნალისტებმა მაშინ ვერც ერთი შავი ხაზი ვერ მიპოვეს. ერთი თვე არ ბეჭდავდნენ ჩემს ინტერვიუს. ვერ წარმოედგინათ, რომ რუსეთში შეიძლებოდა ასეთი კაცი ყოფილიყო, თანაც ქართული გვარით. როგორც აქ არ ვჩნდებოდი, უფრო მეტად არ ვჩანდი რუსეთში. დიდხანს ელოდნენ ჩემ გამოჩენას, ამის შემდგომ ყველა საინფორმაციო საშუალებამ გააშუქა ეს ინტერვიუ, გრამი ეჭვიც კი არავის შეუტანია ჩემს ნათქვამში, რადგან ინტერვიუში იმდენად გულწრფელად მაქვს პასუხები გაცემული, ეჭვის ნატამალიც კი არ რჩებოდა.“

**es interviu biZina ivaniSvilis oponentebs erTxel da samudamod daukargavs usafuZvlo braldebebis da samarcxvino Woraobis xasiaTs**

## რედაქტორის სვეტი



ორ კვირაში ახალი სამოქალაქო მოძრაობა დაფუძნდება, თუმცა ეს მოძრაობა ფაქტობრივად უკვე დაფუძნებულია და, თამამად შეიძლება ითქვას, მისი დამფუძნებელი, პირველ ყოვლისა, ქართველი ხალხია.

ბევრი სახალხო მოძრაობა გვინახავს, თუმცა სახელის მიუხედავად, ამ მოძრაობებს მოძრაობა უჭირდათ და სახელი სახალხოც ისე მარკის ასაწევად ჰქონდათ მიწებებული, თორემ იქ ხალხი არავის უნახავს.

სამოქალაქო მოძრაობა „ქართული ოცნება" ალბათ ის ერთადერთი ბედნიერი გამონაკლისი იქნება ქართულ სინამდვილეში, რომელიც უამრავ ადამიანს გააერთიანებს ერთი დროშის ქვეშ და საფუძველს დაუდებს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას საქართველოში.

„ზოგი ჭირი მარგებელიაო", ნათქვამია.

„ჭირი", რომლის გამოც ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა შეუწყვიტეს, გახდა იმის წინაპირობა, რომ ვერ შეიქმნა კიდევ ერთი ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია, სამაგიეროდ დაფუძნდა სამოქალაქო მოძრაობა, რაც მოცემულ სიტუაციაში გაცილებით ეფექტური და მასშტაბური შეიძლება აღმოჩნდეს, ვიდრე პოლიტიკური პარტია.

დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნება" გახდება ყველაზე მრავალრიცხოვანი, ყველაზე მობილური და ორგანიზებული ძალა, რომელიც არსებულ რეალობას უკეთესობისკენ შეცვლის და სხვადასხვა წვრილ-წვრილ პარტიულ თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში დაქსაქსულ და დაფანტულ ქართველ ხალხს ერთ მონოლითურ სხეულად შეკრავს.

მაშ ასე, ასპარეზზე გამოდის მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხი, რაც იმას ნიშნავს, რომ დროა ვიღაც-ვიღაცეებმა ჩემოდნების ჩალაგება დაიწყონ...

**ვახტანგ ხარჩილავა**

*სტუმრები - **ზაზა ფირალიშვილი** (ფილოსოფოსი); **ლელა იაკობაშვილი** (კულტუროლოგი)*

*წამყვანი - ნინო ფირცხალავა*

***უკანასკნელ პერიოდში საზოგადოება, მიუხედავად იმისა, რომ დაყოფილია განსხვავებული მოსაზრებების და ორიენტაციების ჯგუფებად, რაღაც ერთი მთლიანის გარშემო გაერთიანების სურვილს გამოთქვამს...***

***რამდენად და როგორ მოახერხა ქართულმა საზოგადოებამ სამოქალაქო საზოგადოებად ჩამოყლიბების ფორმირება მას შემდეგ, რაც მტკივნეულად განიცადა ყველა ის რეფორმა, რომელიც გამოწვეულია საორიენტაციო ვექტორების ცვლილებით; ჩვენი ქვეყნისთვის ჩრდილოეთიდან დასავლეთისაკენ შებრუნება საკმაოდ მტკივნეული აღმოჩნდა.***

**წამყვანი:- ქართული საზოგადოება 20 წელია ყალიბდება, გარკვეული ეტაპები გაიარა, თუმცა საბოლოო ფორმირებისათვის, რასაც სამოქალაქო საზოგადოება ჰქვია, ალბათ ძალიან ბევრია გასავლელი... ბატონო ზაზა, როგორ გაიგო ჩვეულებრივმა რიგითმა ქართველმა დემოკრატია?**

**ზაზა ფირალიშვილი** - რომ გითხრათ, რომ ჩვენ გვესმის, თუ რა არის დემოკრატია, შორს ვიქნები სიმართლისაგან! ეს ისეთი თვისებაა, რომელსაც მოპოვება სჭირდება და რომელიც ერთხელ მოპოვების შემდეგ სამუდამოდ გექნება! დონორს არ ესმის, რომ კულტურას თავისი მეტყველება, ლინგვისტიკა აქვს და გარკვეული კვლევები, მიგნებები თუ ჭეშმარიტებების პროდუქტები მასთან მისთვის გასაგებ ენაზე უნდა იქნეს მიტანილი, რათა მათი სრული აღქმა მოხდეს. ამაზე არასამთავრობო სექტორი იშვიათად თუ ზრუნავს. ბევრი მათგანი საკმაოდ სერიოზული ქონების მეპატრონე გახდა დონორი ორგანიზაციების წყალობით, მაგრამ მათ შესახებ მხოლოდ ვიწრო წრემ იცის და შესაბამისად, ისინი არავითარ როლს არ თამაშობენ უბრალო ადამიანისთვის!

**ლელა იაკობაშვილი** – მეტსაც ვიტყვი... ესაა სექტა! სექტა, თავისი მეტყველების



მაპროვოცირებელი და მაკონსტრუირებელია და მათ შორის დამლაგებელია, ის

**მედია სად არის?... მედია აღარ არის, ასე ვიტყოდი და ის, რომ ახალი მედია გაჩნდეს ჩემს სოციალურ ორგანიზმში, ნიშნავს, რომ ქართულ ელიტას, არამხოლოდ პოლიტიკურს, გაუჩნდეს სათქმელი, რომელიც არ აქვს!**

**– ბატონო ზაზა, რა არის მიზეზი, რომ დღეს გვაქვს ის ორი მედია და მესამე, რომელიც სასურველია, ჯერ არ ჩანს...**

**ზაზა ფირალიშვილი** – 90-იან წლებში გაბატონდა ტენდენცია, რომელიც დღეს მთელ ჩვენს მედია-სივრცეს ფლობს. ანუ პოლიტიკოსებმა იგრძნეს , თუ როგორი ძალა იყო მედია და ამ სივრცის დაუფლება დაიწყეს და მედიამაც იკისრა პროპაგანდისტული ფუნქცია. თუნდაც იმიტომ, რომ ის სხვაგვარად ვერ ირჩენს თავს. საშუალო ყოველდღიურ ადამიანს მოთხოვნილება აქვს მკვეთრი, ყვითელი ინფორმაციისკენ და მედიამ შესთავაზა ყვითელი ინფორმაცია; შესაბამისად, მას უყალიბდება ყვითელი გემოვნება და ყალიბდება რაღაც ჩაკეტილი წრე, სადაც მედია ვერ გრძნობს თავის პასუხისმგებლობას, რომ მან შეიძლება ჩამოაყალიბოს საზოგადოება, რომელიც თავისი აზროვნების კულტურით იქნება ყვითელი. აქ უკვე ძალიან მძიმე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ჩვენს ჟურნალისტებს...

# Caiv l is is, rac gvawuxebs da darCeba is, rac saWiroa!

ამიტომ საუბარი, რომ ჩვენ რაღაც მომენტიდან დემოკრატიულები ვართ ან ვიქნებით, არ შეიძლება! მისი მოპოვება საკმარისად რთული გახლავთ; ის სერიოზულ ისტორიულ პრაქტიკას მოითხოვს; მოითხოვს თანაარსებობისა და თანამშრომლობის კულტურის შემუშავებას საზოგადოებაში, რაც ჩვენ გვაკლია!

**ლელა იაკობიშვილი** - თავისთავად, სადაც დემოკრატია დაიბადა საბერძნეთში, იქ პოლისების კულტურა უკვე არსებობდა! ეს თავისთავად, ქალაქური ცხოვრების კულტურაა... მისი მეორე ვერსია უკვე ევროპაში განხორციელდა, სადაც ქალაქები შედგა, როგორც ინდუსტრიულ-კულტურული ცენტრები! და ადამიანები თავისი ინტერაქციებით ქალაქური კომუნიკაციების სქემაში იყო ჩართული! ქალაქს ჰქონდა ერთიანი ინფორმაციული ველი, რომელიც სტრუქტურირდებოდა თავისი სამართლით, ურთიერთობების ფორმატებით, არქიტექტურით, სოციალური ფენებით და ა. შ.

აი, ეს ეპოქა ქართველებს არ გაგვივლია! ასე ვთქვათ, ჩვენ ქალაქში ჩამოგვასახლეს, ინდუსტრიას გვაზიარეს... ქალაქი თავისი ტოპოლოგიური სივრცით, შინაგანი დინამიზმით, სტრუქტურით, კულტურის გარსით, ეს ევროპისთვისაც გვიანი შუა საუკუნეების შემდეგ დაიწყო, ბურჟუაზიის დაბადების შემდეგ! ბურჟუაზია ჩვენთან დღეს იბადება. ამიტომ, სწორად გამიგეთ, საიდან, როგორ შემიძლია სამოქალაქო ინტერაქციებში ჩავერთო, როდესაც მე რომ მოქალაქე გავმხდარიყავი, ამის მოძალადე ბოლშევიზმი იყო! ამიტომ გარდატეხის ასაკი ამ მიმართულებით ჩვენ არ გაგვივლია! დღესაც პოსტინდუსტრიულ ხანაში პროცესები ძალადობრივი მგონია...

დასავლეთში შეიმჩნევა დეურბანიზაციის სწრაფი ტემპი, ხოლო საქართველოს ცენტრალურ ქალაქებში ურბანიზაციის სტიქიური პროცესია! ანუ ის სოციალური სივრცეები, რომლებიც თავის დროზე ვაჭრობას მოჰყვა ევროპაში, ჩვენს თვალწინ დაიწყო საქართველოში. აქ ჯერჯერობით ელიავასა და ლილოს ბაზრობა არის ე.წ. ბურჟუაზიული ინტერაქცია!

**- კლასიკური გაგებით, სამოქალაქო საზოგადოება თავის თავში მოიაზრებს პოლიტიკურ პარტიებს, არასამთავრობო სექტორს და მედიას! ბ-ნო ზაზა, რამდენად ერთნაირად ვითარდება ეს სამი სფერო ბოლო 20 წლის განმავლობაში და რამდენად შეაქვთ საკუთარი წვლილი დემოკრატიული პროცესის განვითარებაში?**

**ზაზა ფირალიშვილი** – სამწუხაროა, მაგრამ არასამთავრობო სექტორი გარკვეულწილად იქცა ბიზნესად. უნდა აირჩიონ ის ლინგვისტიკა, რომლითაც უნდა ისაუბრონ საერთაშორისო დონორებთან და შემდეგ რომ მოახდინონ თარგმანი რიგითი მოქალაქის ენაზე, ეს არ აღელვებთ და არც აინტერესებთ! საერთაშორისო ფორმატით, თავისი ცნებითი აპარატით. ''ენჯეოშნიკები'' ერთმანეთს კარგად უგებენ; კულტურაში ვერა, მაგრამ ერთმანეთში შეაქვთ შფოთი... ეს არიან ჰიპერაქტიური ადამიანები, რომლებიც ამის რეალიზებას სოციალურ სივრცეში ძნელად ახერხებენ, ამიტომ დონორებთან მეტად ჰიპერაქტიურნი არიან; შემოაქვთ ისეთი ცნებით აპარატი, რომელიც სრულიად აცდენილია ჩემს ბუნებრივ მეტყველებას და მისი თარგმნებაც კი შეუძლებელია და მაინც თუ მოხეხრხდა, ეს იმდენად კომიკურია, რომ სტატისტიკური ადამიანი ამას განიცდის!...

**ზაზა ფირალიშვილი** – ჩვენ ვართ გარდამავალი საზოგადოება, რომელიც რაღაც სტაბილური, სტუქტურულად გამართული მდგომარეობისაკენ მიდის... მაგრამ რა თქმა უნდა, ჯერჯერობით ამას ვაკეთებთ მოუხეშავად, შეცდომებით.. მაგრამ ამას ვერ დავაბრალებ ვერცერთ ხელისუფლებას. ეს ისევ ისტორიული ჩვევების პრობლემაა. ყველაფერი ეს ჩაივლის, ჩაივლის ის, რაც გვაწუხებს და დარჩება ის, რაც საჭიროა! და თუ ჩვენ ცოცხალი ხალხი ვართ, თუ ჩვენში არის ცოცხალი მუხტი, ენერგეტიკა, ნამდვილად გადავრჩებით! მთავარია, მეტი რაციონალიზმი, რაც ჩვენ გვჭირდება და ნაკლები ეგზალტირება.

**- დღეს საზოგადოებაში ბევრს მსჯელობენ მედიის პრობლემებზე, როგორც თავად ჟურნალისტები, ასევე ექსპერტები, მედიაპროდუქტის მომხმარებლები და სხვ. ქართული მედია არის პოლარიზებული, აქვს ნახევრადთავისუფალი ხარისხის ინდექსი... როგორ შეაფასებდით ქართული მედიის მდგომარეობას და შეუძლია თუ არა მას პოლიტიკური ზეგავლენისაგან გათავისუფლება?**

**ლელა იაკობიშვილი** – თავად საზოგადოება მედიის პროდუქტია! ამიტომ შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოში მედიის რექვიემი უკვე ნამღერია!

რა აქვს მედიას სათქმელი? გაქვთ რამე სათქმელი? დღეს თქვენ არ გაქვთ სათქმელი! ის, რასაც თქვენ პოლიტიკურ დაკვეთას ეძახით, იმ პოლიტიკურ ძალებსაც კი არაფერი აქვთ ჩვენთვის სათქმელი. საზრისს არცერთი არ ატარებს. ვერცერთი პოლიტიკური ძალა თავის სიტყვასთან იდენტური ვერ არის. დღეს აი, ეს პრობლემაა, ამიტომ ბუნებრივია, რომ მედია პროპაგანდისტულ იარაღად იქცა... არსებობს კომუნიკაციური სისტემის ინსტრუმენტად ანუ ორი პოლიტიკური ძალა ერთმენეთს ესაუბრება გაზეთებით; ერთი პოლიტიკური ძალა საზოგადოებას ესაუბრება ტელევიზიით, რამდენიმე მათგანი და არასამთავრობო ორგანიზაციები - ინტერნეტთ! ეს არის და ეს! პოლიტიკური ძალის სათქმელი მედიამ ჩემამდე უნდა მოიტანოს... სადაც მედია თავის ფუნქციას ასრულებს, სადაც შემოქმედებითი სივრცის



**ლელა იაკობაშვილი** - როდესაც მე მედიის მომხმარებელი ვარ და ერთადერთი ინფორმაციის წყაროა ჩემთვის, ვკონსტრუირდები იმ პატერნებით, რომელსაც ის მაწვდის. როდესაც გამოკითხვის შედეგებს აქვეყნებენ და ამბობენ, რომ საზოგადოებამ არ იცის, ვინაა ჯავახიშვილი და იცის, ვინაა ბიჭოლა, ეს მათივე დანაშაულია! რამდენი წელია ივანე ჯავახიშვილის სახელი ქართულ მედიაში არ გაჟღერებულა, მაშინ როდესაც ბიჭოლა „ეკრანიდან არ ჩამოდის" და რა თქმა უნდა, ბიჭოლა ეცოდინებათ! მიხეილ ჯავახიშვილი, როგორც მწერალი, არავის შეუთავაზებია მედიიდან; არც ოთარ ჭილაძე... ადამიანები ტელევიზიიდან ერთსადაიმავე ინფორმაციას იღებენ...

**ზაზა ფირალიშვილი:** - შედაგად რა გვაქვს? რამდენიმე ''სექტანტური დაჯგუფებები'' - სახელისუფლებო და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია, ქვეყნიდან გასული ადამიანები, 300000 პრობაციონერი, 1,6 მლნ უბრალო მოქალაქე ...

**ლელა იაკობიშვილი** - თავისუფალი სიტყვა, მედია, განმანათლებლობა, ცნობიერების ეკონომიკური პარამეტრები ევროპაში გაერთიანდა ე.წ. ადამიანთა უფლებებში. ეს ჩვენთან, რატომღაც დამოუკიდებელი ორგანიზაციაა. სრულიად არათავსებადი მიმართულებები გვაქვს იმ ღირებულებების მიმართ, რომლებსაც დემოკრატიული საზოგადობა ატარებს. დემოკრატიული საზოგადოების ძირითადი ღირებულება არის ადამიანის უფლება. მის გარშემო იკრიბება ინფორმაციის თავისუფლად გადაცემის და მიღების უფლება, განათლების მიღებისა და გადაცემის უფლება... ეს უფლებათა სივრცეა და როდესაც ცალკეა მედია, ცალკეა საგანმანათლებლო სივრცე, ცალკეა ეკონომიკა, სადაც ეს ყველაფერი ერთმანეთს ვერ გრძნობს.

**„ობიექტივი"**

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტრაციის №202375349

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

# modiT, vicxovroT morigeobiT...

ხელისუფლება ახალი ინიციატივით გამოვიდა — ამიერიდან ვინც 45 წლიდან 60 წლამდე ასაკის მოქალაქეს მიიღებს სამსახურში, საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან თავისუფლდება.

შესანიშნავი ინიციატივაა, თუმცა ერთი ნაკლი აქვს — სამუშაოზე ადამიანი რომ მიიღო, სამუშაო ადგილები უნდა არსებობდეს, სამუშაო ადგილები კი არ არის.

მოცემულ სიტუაციაში ერთადერთი „გამოსავალი" ისაა, რომ 45 წლამდე ასაკის თანამშრომლები გაფერთხო და 45 წელს ზემოთ ვინცაა, ის მიიღო.

არ არის გამორიცხული, ზოგიერთი ორგანიზაციის პრაქტიკულად მოაზროვნე ხელმძღვანელი სწორედ ასე მოიქცეს და საშემოსავლო გადასახადი, რომელსაც აქამდე საკუთარი ჯიბიდან იხდიდა, დაზოგოს, თუმცა ასეთ შემთხვევაში თავს წამოჰყოფს მეორე პრობლემა — სად წავიდნენ 45 წლამდე



ასაკის უმუშევრად დარჩენილი ადამიანები?!

სად წავიდნენ და დაელოდონ თავიანთ რიგს ანუ იმ დროს, როცა 45 წლისანი გახდებიან.

აი, ასე, ვიცხოვროთ, ვიარსებოთ და ვიშრომოთ მორიგეობით — აქამდე თუ 45 წლამდე ასაკის ახალგაზრდები „ბაირამობდნენ", ახლა „სტარიკების" დრო დადგა.

საქმე ისეა, როგორც „მე, ბებია, ილიკო და ილარიონში" წაგვიკითხავს — ჩვენც ხომ ვიყავით ამ ახალგაზრდების ხელა? დრო რომ გავა, ისინიც ხომ გახდებიან ჩვენი ტოლები? ჰოდა, ყველაფერი რიგზეა!

# gaatareT urigod

„ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა დავით გამყრელიძემ განაცხადა: ბიძინა ივანიშვილთან რიგში ჩადგომას არ ვაპირებთო.



ჰოდა, ურიგოდ გაატარეთ, კაცო, ღვაწლმოსილი პარტიაა, დიდი სტაჟით და ნამსახურობის გრძელი ჩამონათვალით.

ასე რომ, ურიგოდ გავატაროთ, წინა კარებიდან თუ არ მოხერხდება, უკანა კარებიდან შევაპაროთ.

ესენი, ეს „მემარჯვენეები" უკანა კარებიდან შეპარვას უფრო არიან დაჩვეულნი.

— მილიონის აღება დაგვაბრალეს, მილიონი უკვირთ და მილიარდერთან მიცუნცულება არ ეთაკილებათ — აშკარად ნაწყენია „ახლების" თავკაცი.

თავმდაბლობს ბატონი გამყრელიძე, თორემ ამ მილიონამდე, როგორც ამბობენ, სხვა მილიონი იყო, იმის იქით კიდევ სხვა მილიონი, სულ თავში კი „ალდაგი" და შევარდნაძე, თავის კახა თარგამაძესთან ერთად.



ბოროტი ენები ამბობენ, რომ სწორედ „მემარჯვენეების" ოფისში მიიტანეს ლურჯი ჩანთით ის რამდენიმე მილიონი, რომელიც არჩევნებში გამარჯვებულ პოლიტპარტიებს და პოლიტსუბიექტებს დაურიგდათ თურმე პარლამენტში არშესვლის საზღაურად.

გახსოვთ ალბათ, როგორ გულმოდგინედ აქუცმაცებდნენ მაკრატლით პარლამენტარის მანდატებს ხალხის მიერ არჩეული დეპუტატები — ჩვენ ამ პარლამენტში შესვლას როგორ ვიკადრებთო.

შალვა ნათელაშვილი გაოცებული შლიდა ხელებს — აბა, რას ვიკლავდით თავს, თუ პარლამენტში შესვლას არ ვაპირებდითო, მაგრამ ბოლოს ისიც დანებდა და თავისი მანდატი სულ ნაკუწ-ნაკუწ აქცია, თუმცა ხელფასის რეგულარულად აღებაზე უარი არ უთქვამს.

პარლამენტში რომ მკვდრული სიჩუმეა და ნაცუმრავლესობას ყველა საკითხი ყოველგვარი დისკუსიის გარეშე გააქვთ, ეს უდავოდ ახლების დამსახურებაა.

აბა, ასეთ ხალხს ივანიშვილთან რიგში ჩადგომა ეკადრებათ?

ივანიშვილის ადვოკატ ლევინს აეროპორტში ფერადი ქვები ჩამოართვეს და ლაბორატორიაში წაიღეს გასასინჯად — ეჭვი გვაქვს, რომ ამ ქვებით ლევინს რადიაქტიული ნივთიერების შემოტანა უნდოდა საქართველოშიო.

სავსე მთვარეობისას, მიუჯდება თურმე ბატონი ბიძინა მაგიდას, შავ სანთლებს აანთებს აურდაურევს ერთმანეთში ფერად ჯადოსნურ ქვებს, რაღაც საიდუმლო ტექსტს წაიკითხავს და წკაპ! დაჯდება რამდენიმე მილიონი მის ანგარიშზე.

# Savi magia

ლაბორატორიულმა კვლევამ დაადასტურა, რომ ეჭვი უსაფუძვლო იყო და ახლა მეორე ვარიანტი შემოაგდეს:

— ივანიშვილი შავი მაგიითა გატაცებული და ეს ქვები ალბათ, მაგიური რიტუალების ჩასატარებლად სჭირდებოდა. მილიარდები ივანიშვილმა შავი მაგიის საშუალებით იშოვაო.

აი, აქ კი მართლაც „მოარტყეს" მიზანში ჩვენი დროის შერლოკ ხოლმსებმა.

როგორც ამბობენ, ღამის საათებში, თვეში რამდენჯერმე იმეორებს ივანიშვილი ამ რიტუალს და ასე უშრომელად, მუქთად ავსებს და ავსებს ისედაც მილიარდებით სავსე ჯულაბას.

აი, ასეთ ვერსიას გვთავაზობენ „ნაციონალებთან" დაახლოებული ჟურნალისტები, თანაც, პარალელურად, მკითხავებთან დადიან და ივანიშვილის ბედ-იღბლის გარკვევას ცდილობენ.

ხომ არ აურიეს ამ საბრალოებმა საბოლოოდ და შიშით შეპყრობილებმა არ იციან, რას ჩადიან.



თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი. თავმოსულელებულნი.

*ვესაუბრებით კინოდოკუმენტალისტს, ბატონ გია ჭუბაბრიას.*

**— ბატონო გია, ბოლო წლებში ბევრჯერ გაილანძღა და აუგად იქნა მოხსენიებული ქართველი ინტელიგენცია, ხან „წითლები“ იყვნენ, ხან „ჩარეცხილები“, მაგრამ ფართო საზოგადოებისთვის ყოველთვის ღირებული და საინტერესო იყო და იქნება ინტელიგენციის წარმომადგენელთა მოსაზრება ამა თუ იმ მოვლენაზე. თქვენ რა აზრის ხართ ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში ჩართვის შესახებ?**

— ასეთი პიროვნება, მეცენატი საქართველოში მეორე არ არის. ასე ფართო მასშტაბის ქველმოქმედები არც სარაჯიშვილი და არც ზუბალაშვილები არ ყოფილან. ივანიშვილმა უამრავი ოჯახი გადაარჩინა.

კაცი ამდენ თანხებს დებს საქველმოქმედო საქმეში და ახლა ურკვევენ საიდან აქვს. ვინმე არკვევს საიდან და რა თანხებით მოვიდა ბენდუქიძე? მე, პირადად, სურათები მაქვს ნანახი, როგორაა ჩახუტებული პუტინთან. დარწმუნებული ვარ, რომ სამხედრო ქარხნებს განაგებდა, ესე იგი, კავშირები აქვს ისეთ ფენებთან, რომელთაც პირდაპირი მტრობა აქვთ გამოცხადებული საქართველოსთან. ან კიდევ, აქ რომ გამდიდრდებიან ხოლმე ეს ბიზნესმენები, იმათზე კითხულობს ვინმე საიდან და როგორ?

როდესაც ქვეყანაში ეროვნული საქმეები და პრობლემებია მოსაგვარებელი და მე ვხედავ, რომ ეს ვიღაცას უკეთესად შეუძლია, გზას დავუთმობ. ყველა ასე უნდა ფიქრობდეს. პირველობა არ მჭირდება, ჩემზე წინ უნდა იყოს ის, ვინც ჩემზე უკეთაა საქმეში ჩახედული. სამწუხაროდ, ჩვენი, ქართველების ყველაზე დიდი უბედურება პირველობის ავადმყოფობაა. „სძულს ღმერთსა ამპარტავნობა“, — ამბობდა დავით გურამიშვილი.

**— ივანიშვილის ერთ-ერთი პროგრამა რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებაა, თქვენ როგორ თვლით, დრომ მოიტანა ამისი აუცილებლობა?**

— ჩვენ გვყავდა ბრწყინვალე მეფე ერეკლე მეორე. იგი სპარსეთში აღიზარდა და მადლობა ღმერთს. რომ მოკავშირედ აირჩია რუსეთი. პირველ რიგში, ეს იმიტომ გაკეთა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართველები ერთმანეთს შეჭამდნენ. მას ძალიან მძიმე პერიოდში მოუხდა მეფობა. არ დაგავიწყდეთ, რომ 83 წლისა იყო და კიდევ იბრძოდა. ყველამ უღალატა გარშემო. შვილებმაც



# `Wkviani erebi mtersac ki saTavisod iyeneben, Cven ki Cvens Tavdadebul patriotebs vebrZviT?~



კი უღალატეს, მათგან საუკეთესო კი მოუკლეს და ეს ისევ ქართველებმა გააკეთეს.

სტალინმაც თქვა, ყველაზე ნაკლები ბოროტება საქართველოსთვის რუსეთთან შეერთება იყო. სტალინიზმისგან ძალიან შორს ვდგავარ, მან გაანადგურა ჩემი და კიდევ ბევრი ბრწყინვალე ოჯახი, მაგრამ ის ჭკვიანი კაცი იყო. მან მსოფლიო ფაშიზმისგან გადაარჩინა. იმ დღეს ფაშიზმის დამარცხება წარმოუდგენელი იყო, ამისი არდანახვა არ შეიძლება.

ივანიშვილი ამბობს, „უნდა დარეგულირდეს რუსეთთან ურთიერთობა, ეს უძლიერესი ქვეყანაა თავისი მინუსებითა და პლიუსებით. საერთოდ, ურთიერთობების დარეგულირება ყოველთვის ყველასთან უნდა სცადო. სარწმუნო წყაროებიდან ვიცი, რომ არძინბას უთქვამს ქართველებისთვის, დავსხდეთ და ვილაპარაკოთო, ქართველებმა ეს თურმე არ იკადრეს. მაშინ მე რუსეთს მივმართავო და დაიწყო ის უბედურება, რაც დღემდე გრძელდება.

**— ანუ, თქვენ მიესალმებით იმ ფაქტს, რომ ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლა გადაწყვიტა და თვლით, რომ ქვეყნისთვის ეს მომგებიანი იქნება...**

— რა თქმა უნდა. გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი, მის შემდეგ შეიძლება, ვიღაც კიდევ უკეთესი გამოჩნდეს. მას უნდა მიესალმო და არა ღვარძლი ანთხიო, მითუმეტეს, რომ პატარა ერი ვართ. მაგრამ ქართველებს ასე სჩვევიათ — ერთმანეთს ანადგურებენ. დღემდე ფეოდალებად დავრჩით. კაცმა რამდენიმე ათეული კვადრატული მიწის გულისთვის მამის, დის და დისშვილის მოკვლა გადაწყვიტა, ასეთი რამ წარმოუდგენელია. ქართველთა უმეტესობა არაფერს გასცემს სახელმწიფოსთვის, პირიქით, მუდამ მზადაა ძარცვოს ქვეყანა. მერე ეს ძეგლებთან და მკვდრებთან ბრძოლა რაღა უბედურებაა. სტალინის დედა უნდა ამოვთხაროთ საფლავიდანო. ეს რა კაცობაა. ან თუნდაც სტალინის ძეგლი რომ გადაიტანეს, თუ ვაჟკაცი ხარ, ასეთებს ცოცხლებს ებრძოლე. ეს სისულელეა, მდაბალი ხალხის ფსიქოლოგიაა.

**ისეთი პიროვნების გამოჩენას, როგორიც ბიძინა ივანიშვილია, ყველასთვის მისასალმებელი უნდა იყოს, პრეზიდენტისთვისაც კი. გვერდით უნდა დაიყენოს ეს კაცი, ბევრს მოიგებს. უნდა შევიკრათ, გავუფრთხილდეთ ჩვენს მართლაც ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას,**

ხომ ხედავთ, რა ხდება სხვაგან, როგორი კატაკლიზმებია, ტორნადოები, ცუნამები. ჩვენ მადლობა ღმერთს, ასეთი რამ არ გვემუქრება. სხვაგან ხალხი ოცნებობს, ნეტავი რაიმემ იხაროსო. ციმბირში რომ ვმუშაობდი, იქ ჩემმა კოლეგებმა მთხოვეს, ერთი ყვავილი გამოგვიგზავნეთ, მე ვეუბნები, ქოთანში ჩარგულს გამოგიგზავნით-მეთქი. არა, ყვავილის ფურცელი გამოგვიგზავნეო; ასეა მოწყურებული ეს ხალხი იმას, რასაც ჩვენ ღმერთი სინით გვაძლევს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ გლობალიზაციაა, აქვე ჩემს სახლთან თურქი იშენებს სახლს, ძალიან ცუდი დემოგრაფიული მდგომარეობა გვაქვს. მსოფლიოში რეალურად დგას მუსულმანური საშიშროება. ადრე ხმლით ვიცავდით მათგან თავს, ახლა თანამედროვე მეთოდებით შემოდიან, ამას გლობალიზაცია უწყობს ხელს. ტოლერანტობა კარგია, მაგრამ ზედმეტი არაფერივარგა.

ივანიშვილი პასუხისმგებლობას გრძნობს ქვეყნის წინაშე და უნდა მიეცეს საშუალება, რომ იმოქმედოს. ცოტა მიამიტიც არის ხასიათით, ეს გამოიხატება პირდაპირობაში, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყნის გადარჩენის სურვილი ამოძრავებს. ღმერთმა კიდევ ერთხელ გამოგვიწოდა გადარჩენის ხელი და გამოვიყენოთ. ჭკვიანი ერები მტრებს იყენებენ, ჩვენ საკუთარ პატრიოტებს და კეთილმოსურნეებს ვერ ვიყენებთ.

ჭკვიანი კაცის ნათქვამი სიტყვა მინდა გავიგონო ამ ქვეყანაში. ივანიშვილი ჭკვიანია და მივცეთ საშუალება, ჭკუა ქვეყნის სასარგებლოდ გამოიყენოს.

**თამუნა ქადაგიძე**

## ციხეში მომხდარი ბუნტის დრო დაზარალებული დავით გაიხარაშვილის დედა ბიძინა ივანიშვილს მიმართავს



2006 წელს ციხეში მომხდარი ბუნტის დროს დაზარალებული, უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი დავით გაიხარაშვილის დედა ქეთევან გიგაური ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილს ღია მიმართვას უგზავნის.

„მე, ქეთევან გიგაური, უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილი შვილის დედა, ბატონო ბიძინა, მოგმართავთ უმორჩილესად, თუ ოდესმე რამე კარგი გაგიკეთებიათ, ამაზე კარგს ვერ გააკეთებდით. მე თქვენი მჯერა, მწამს... გთხოვთ შემხვდით, დამელაპარაკეთ, ოღონდ არ მომიკვდეს ჩემი შვილი. გემუდარებით, ბატონო ბიძინა შემხვდით, სხვა გზა აღარ მაქვს, მიკვდება შვილი...ბატონო ბიძინა, თქვენც ხომ გყავთ შვილები, ღმერთმა დიდხანს გიცოცხლოთ. მე ეს ერთი შვილი დამრჩა, გთხოვთ გადამირჩინეთ. ღმერთი თქვენ გიშველით. აუცილებლად ღმერთი დაგიფარავთ, დათოს დახმარებისთვის. არაფერს გთხოვთ სხვას, შემხვდით... მინდა ჩემი მდგომარეობა აგიხსნათ. მიკვდება შვილი და არავინ ჰყავს პატრონი”- აღნიშნულია ქეთევან გიგაურის მიმართვაში.

მიმართვაში ქეთევან გიგაური წერს, რომ მან დამხარებისთვის ჯანდაცვის სამინისტროსაც მიმართა.

„არ გეგონოთ, რომ არ მივმართე ჯანდაცვის სამინისტროს, ყველას მივმართე დასახმარებლად. მითუმეტეს, ჩემი შვილი სახელმწიფოსგანაა დაზარალებული — ყოფილი სპორტსმენი, მას სიცოცხლე უნდა... ახალგაზრდაა. ბატონო ბიძინა, დათოს ეს საშინელება ციხეში დამართეს. 2006 წელს, ე.წ. ბუნტის დროს. დააინვალიდეს, დაამტვრიეს, ლოგინიდან ველარ დგება. ძალიან მძიმედ არის უკვე... არავინ მაქცევს ყურადღებას... იძულებული გავხდი, თქვენ შეგაწუხოთ. კიდევ ერთხელ გთხოვთ გამწარებული დედა. სულ ხუთ წუთს წაგართმევთ, მეტს - არა. ეს ჩემი ვედრება მიიღეთ და ღმერთი გიშველით თქვენ და თქვენს შვილებს”- აღნიშნულია მიმართვაში.

## ირაკლი ალასანია ბურჯანაძესთან პოლიტიკურ ერთობას გამორიცხავს



პარტია „თავისუფალი დემოკრატების” ლიდერი ირაკლი ალასანია „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერ ნინო ბურჯანაძესთან პოლიტიკურ ერთობას გამორიცხავს.

მისი თქმით, ის ვერ იქნება პოლიტიკურ ერთობაში ისეთ პარტიებთან, რომლებიც იყვნენ და რჩებიან რადიკალური ცვლილებების მოხრე.

„ურთიერთობას არ გამოვრიცხავ, ბუნებრივია. მე არ ვყოფ ჩემს ქვეყანას და მოსახლეობას ვიღაცის მხარდამჭერებად და ვიღაცის მოწინაღმდეგეებად. ეს არის ყველას ქვეყანა, ქალბატონი ბურჯანაძისაც, ჩემიც და თქვენიც. მაგრამ ეს სულ სხვა თემაა და პოლიტიკური ერთობა და ერთ ძალად ჩამოყალიბება სხვა თემაა, რომელიც გამორიცხულია”, — განაცხადა ალასანიამ.

„მედიანიუსი“

# gawvrTnili maimunebi da banani, saxelad mikrofoni



პირველ ნოემბერს პირველად ვნახე (დავესესხები იმ ვიღაც მაიმუნების არხის ხელმძღვანელს) ამდენი „გაწვრთნილი მაიმუნი“ ერთად. რა თქმა უნდა, იქ გაუწვრთნელი მაიმუნებიც იყვნენ და ჟურნალისტებიც, მაგრამ წვრთნა თავისას შვრება, გაწვრთნილმა მაიმუნებმა ისე იმაიმუნეს, გადაფარეს დანარჩენების არსებობა თავყრილობაზე, რომელსაც რატომღაც პრესკონფერენცია ერქვა. ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა უცხო თვალს, თითქოს ერთი დიდი ვოლიერის წინ იჯდა ბიძინა ივანიშვილი და ერთობოდა იმის ყურებით, როგორ სტაცებდნენ ერთმანეთს ბანან-მიკროფონს მაიმუნები, ან როგორ უმალავდა ერთი მათგანი დანარჩენებს, ან როგორ ვერართმევდნენ იგივე „ხილს“ იმას, რომელიც ხელში ჩაიგდებდა — ეს რა ვნახე!

ამდენი დღე გავიდა და ახლაც ყურში ჩამესმის ერთ-ერთი „მაიმუნთსაშენის“ ხელმძღვანელის ეს ფრაზა „გაწვრთნილი მაიმუნები“, იმ ხელმძღვანელისა, რომელიც ვერ ჰხვდება, რომ თვითონაც გაწვრთნილი მაიმუნია, სწორედ იმგვარი, როგორიც პატარა ცახეს ცინობერი იყო, ჰოფმანის ნაწარმოების პერსონაჟი;

ამდენი დღე გავიდა „მწვანე სახლში“ გამართული პრესკონფერენციიდან და „გაწვრთნილი მაიმუნების“ შემხედვარეს თან მდევს ბატონი ჭაბუას მიერ დათა თუთაშხიას პირით ნათქვამი სიტყვები: „ვინ ხართ, თქვე უბედურებო, რა ჯიშის ხართ! რა გიყოთ და რას დაგამსგავსათ მამაძაღლმა აბელა სეთურმა და, აგერ, მოსასპობმა თაბაგარმა, არ ფიქრობთ?! ვერ ხედავთ ამას?!“

რაც ბიძინა ივანიშვილი საყოველთაო ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა და მასთან ინტერვიუ თუ ინტერვიუს მსგავსი „ბაასი“ მავანთათვის სანუკვარ ოცნებად იქცა სხვადასხვა მიზეზით, კაცი იხვეწება, ის მკითხეთ, რაც საზოგადოებას აინტერესებს, რაც პირადად თქვენ გაინტერესებთ, ნუ მეკითხებით იმას, რაც თქვენს გამომგზავნებს აინტერესებთო, მაგრამ ვერ შეასმინა ვერავის. იგივეს იმეორებდა იმ დღესაც, თან იმ „ბანანის“ ტაციაობას წუხდა, პატივი ეცით თქვენს პროფესიას, პატივი ეცით თქვენს კოლეგებსო, მოუწოდებდა ფრიად გააქტიურებულებს. ამაოდ ირჯებოდა მასპინძელი, რადგან არანაირ მოწოდებას არ ძალუძს დაშოშმინოს აბოჟირებული ვოლიერი, რადგან არანაირ ცახესს არ შეუძლია, რაგინდ გაწვრთნილი იყოს, დამალოს ადამიანური შესამოსელიდან გამომზირალი პრიმატის სულის ტრიალი...

რა თქმა უნდა, ადამიანები, ე.წ ჟურნალისტები თუ მაღალი რანგის თანამდებობის პირები ვერაფრით მიხვდებიან, რას ვამბობ, „ნახე, კოლეგებს სულ მაიმუნები უწოდაო“, დამწამებენ. ვინც ამგვარად იფიქრებს, მათ გასაგონად კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს სიტყვები მე არ მითქვამს, თქვენმა ხელმძღვანელმა, ასე ვთქვათ, „მაიმუნური საქმიანობის“ მიმართულების გეზის მომცემმა თქვა და ალბათ, იცოდა კიდეც, რასაც ამბობდა. დიახ, ჟურნალისტი, რომელიც დღეს ელენე ახვლედიანის მობილურის ნომერს დაეძებს მასთან ინტერვიუს ჩასაწერად, მაღალი თანამდებობის პირი კი აკაკის სახლ-მუზეუმში თაიგულით ხელში აკაკის საფლავს დაეძებს, რაგინდ მრავალგზის განუმარტო დარვინის თეორია, საპირისპიროს დაგიმტკიცებს.

დიახ, პირადად მე, იმ დღის შემდეგ იმდენად შეძრული ვარ ქართული ჟურნალისტიკის დეგენერაციით, რომ დარვინსღა მივმართავ: „სერ ჩარლზ, თქვენ მწარედ შეცდით — ადამიანისგან წარმოიშვა მაიმუნი“...

26 მაისის აქციის დარბევამდე, მახსოვს, ცალკეული პოლიტიკური სახეები ჟურნალისტების აკრედიტაციის საკითხსაც კი აყენებდნენ აქციაზე დასასწრებად, მაშინ ითქვა „პაგონიანი ჟურნალისტების“ შესახებ ღიად და შეულამაზებლად. მერე კი, თვით 26 მაისის დარბევის დროს ჟურნალისტების მიმართ აშკარა გამოხატული აგრესია რომ ვიხილე საკუთარი თვალით, ამჯერად ხელისუფლების მხრიდან, მანამდე თუ აქციის მონაწილეებისგან დაფარულად მქონდა ჟურნალისტის მოწმობა, ახლა მის მოშორებაზე ვფიქრობდი, ამ ცხოველებმა ეს რომ ნახონ, უარესად გადაირევიან-თქო.

სტრესმა რომ გადამიარა, ვამბობდი, რა შარი გამიხდა ეს მოწმობა, ორივე მხარეს ვუმალავდი-თქო. გასაგებია, ხალხი გაღიზიანებულია იმით, რომ ტელევიზიები არაობიექტურად აშუქებენ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, მაგრამ საკუთარ ტელევიზიებში თუ უნდათ, სულაც თავდაყირა ივლიან, „არ მოგწონს? — გადართე!“ ხომ ხედავენ, ასეა დაყენებული საკითხი-თქო, ვამართლებდი ჩემს კოლეგებს. ერთმა ასაკოვანმა ქალმა მითხრა, შვილო, ღმერთმა დაგიფაროს, მაგრამ ჯერ კიდევ სისხლმდინარი მოკლული შვილი რომ წინ გესვენის და შენი კოლეგები ნახევარწუთიანი ეთერისთვის, ისე რომ, სრულებით არ აინტერესებთ, შვილი მოგიკლეს თუ ქათამი, მიკროფონს გჩრიდნენ პირში, ეჭვი ვისზე გაქვსო და უკან დაგედევნონ ჯგროდ, რა განწყობა დაგეუფლებაო? — გავჩუმდი. შემზარა...

უკვე (დიდი ხანია) ნათელია, რომ მიკროფონი ბანანი ყოფილა მრავალთათვის (როგორც, ვთქვათ, მომღერალი მაიმუნებისთვის), მაგრამ ჭამის (არა მხოლოდ საკვებისას) სურვილის დაკმაყოფილების დაუოკებელ გრძნობას სადამდე მიჰყავს ადამიანი, ესეც მე უნდა



ვთქვა? „ბიძია-ბაბუასი“ არ იყოს „შერეკილებიდან“, რას გასწავლიდნენ, თქვე უბედურებო, სკოლაში...

ნებისმიერ გამვლელს რომ ჰკითხოთ, პირველი უძველესი პროფესია რა არისო, დაუფიქრებლად გიპასუხებს, რომ მეძავობაა. რომ ჩაეძიო, მეორეო? — თვალებს ააფახულებს, ტუჩებს აშკვერს და ცას ახედავს, იქნებ პასუხი შთამეგონოსო. ნუ ჰკითხავთ ნებისმიერ გამვლელს, იმ ჟურნალისტებისთვის უნდა გეკითხათ, (რომელთა ზუსტი რაოდენობა ვერაფრით დავადგინე, 170? 233?) მთაწმინდის „მწვანე სახლიდან“ რომ გამოვიდნენ, გგონიათ, სხვა სურათს მიიღებდით? — მეძავობის თქმაზე ისინიც არ შეყოვნდებოდნენ, მეორე პროფესიაზე კი, გამვლელებისგან განსხვავებით, ყურებს ააფახულებდნენ, ეგებ თვითონ წამოსცდეს და დავიმახსოვროო.

რას ვიზამთ, როცა დღევანდელ ზოგიერთ ე.წ ჟურნალისტს ჰგონია, რომ ჟურნალისტიკა მე-20 საუკუნის პირმშოა, (მას შემდეგ გაჩნდა, რაც ტელევიზორი გამოჩნდა) უკეთეს შემთხვევაში XIX საუკუნის, კიდევ უკეთეს შემთხვევაში XVII-XVIII საუკუნეების, — ჟურნალისტმა მხოლოდ წერა-კითხვა რომ იცის და „სხვაგან ჰქრის მისი გონება“, ამის ბრალია ეს. ბანანი-მიკროფონი და მისგან მიღებული კუჭის მოთხოვნილების დაკმაყოფილების გრძნობა არასდროს გასცემს იმ კითხვაზე პასუხს, რომელია უძველესი პროფესია მეძავობის შემდეგ. ამ კითხვაზე რომ პასუხი გასცეს ჟურნალისტმა, ჯერ ის უნდა იცოდეს, რა განსხვავებაა პაპიროსსა და პაპირუსს შორის, მერე ის, რა იწერებოდა პაპირუსებზე და რომელ ათასწლეულებში. (ის არ უნდა იკითხოს, რომელ წლებშიო) ტელეჟურნალისტმა ის მაინც უნდა იცოდეს, რომ ჟურნალისტიკა ტელევიზიით არ იწყება, ტელევიზიით ტელეჟურნალისტიკას ჩაეყარა საფუძველი, რომ ტერმინი „ჟურნალისტიკა“ მხოლოდ კონკრეტული აზრის შემცველი იყო, აღნიშნავდა გაზეთს, დღიურს და არა იმ ერთობლიობას, რომლის მრავალფეროვანი სახეც დღეს გვაქვს...

არსად წერია შავით თეთრზე, როგორი უნდა იყოს ჟურნალისტი, მაგრამ არც ის წერია სადმე, რომ ჟურნალისტი თავხედი, უზრდელი, უკულტურო, მატყუარა და ეშმაკზე სულმიყიდული უნდა იყოს...

არც ის წერია სადმე, რომ რადგან უძველეს პროფესიათაგან პირველი მეძავობაა და მეორე ჟურნალისტობა, პიროვნებაშიც პირველ-მეორე ადგილებზე (პირდაპირ თუ გადატანითი მნიშვნელობით) უნდა გადანაწილდეს.

როდესაც ჟურნალისტი („პრესა.გე“) გამოდის „მწვანე სახლში“ გამართული პრესკონფერენციიდან და ამბობს, ბიძინა ივანიშვილი პრესკონფერენციაზე ტყვიაგაუმტარი შუშის მიღმა იჯდაო, გახევდები თუნდაც იმიტომ, რომ ბატონ მერაბ ბერაძის შესაძლებლობები გაგაოგნებს, როგორ დაუბრკოლებლად გავიდა „ტყვიაგაუმტარ“ შუშაში, — ასეთი საოცარი ტყუილის დახეთქება საკუთარი თავის დახეთქება რომ არის, ამას რომ ე.წ ჟურნალისტი ვერ მიხვდება და ხელს მოაწერს ამაზე, რომელი უძველესი პროფესიის მიმდევარია, ნეტავ, მისმა პატრონმა (თუ ჰყავს) მაინც თუ იცის, თორემ თვითონ რომ არ იცოდეს, ვერც მოხვდებოდა იქ.

თვით ის ფაქტი, რომ „ასე ნანატრი“ პრესკონფერენციის ჩატარების შემდეგ ჟურნალისტების ქცევის საკითხი გახდა მნიშვნელოვანი და არა ის, რა თქვა კაცმა, ვის გამოც თავი დაივიწყა არაერთმა მღედრმა თუ მამრმა, მხოლოდ იმის ამსახველია, რა ქაოსიცაა ისედაც გაორპირქარებული ხელისუფლების თავში მისი გამოჩენისთანავე. ამას გარდა, არის მეორეც, ე.წ ჟურნალისტები ისე გაიჭაჭნენ ივანიშვილისთვის ნიღბის ჩამოსახსნელად ე.წ „ჩამჭრელი კითხვების არსენალით“ შეიარაღებულები, რომ გაუაზრებლად საკუთარ მარჩენალს ეძგერნენ და ისე ჩამოაგლიჯეს ნიღაბი, ზოგს სახის კანიც გაჰყვა თბილ ქვეყნებში გადაფრენილ მერცხლებთან ერთად (მერცხლის, ბელურებისა და პინგვინის „თემა“ ხომ უკვე ფსიქოპათობის დონემდე დავიდა თუ ავიდა).

სოციალურ ქსელში გავრცელდა, იმ დღეს ქართული ჟურნალისტიკა დასამარდა და დროულად უნდა გაასვენონო, — არა, ბატონებო, ქართულ ჟურნალისტიკას არაფერი სჭირს გასასვენებელი, უბრალოდ, სახელისუფლებო ე.წ ჟურნალისტური ნაგავია გასატანი, ბევრი დაგროვდა, დახვავდა და ისიც ისევე ყარს, როგორც მათი მამა-მარჩენალის დორბლიანი პირი...

**მაია ჭელიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# prezidentis rusuli qeifi, akrZaluli vaqcina bavSvebisTvis da sagadasaxados kidev erTi tyuili, anu rogor viSovoT fuli mosaxleobis xarjze?



მას შემდეგ, რაც საქართველოს რუსეთუმე პრეზიდენტმა წინანდალში იქეიფა, იცეკვა და სულ ,,კალინკა" და ,,ეხ, დაროგი" იმღერა, შეგვიძლია კატეგორიულად მოვითხოვოთ: დააბრუნეთ რუსული სიმღერები ქართულ რესტორნებში! საქმე ის გახლავთ, რომ შაბათს წინანდალში რუსი რეჟისორის, პუტინის ძმა და მეგობრის, ნიკიტა მიხალკოვის ქალიშვილის ქორწილი გაიმართა. სიძე ქართველი რეჟისორია. საკუთარ ქორწილში ვინ როგორ მოილხენს, რა ჩვენი საქმეა. ჩვენ ის ვიკითხოთ, საკუთარი პრეზიდენტი რატომ დაიარება ქორწილ-ქორწილ და ღვინისაგან სახედაფიჟვინებული რატომ პოზიორობს ფოტოკამერების წინ, თითქოს ძალიან საამაყო საქმეზე იყოს ჩასული წინანდალში? ისიც ვიკითხოთ, თუ პაატა ბურჭულაძისთვის მოსკოვში სიმღერა სამშობლოს ღალატია, რა ჰქვია უცხო და ერთ დროს ,,პერსონა ნონ გრატად" გამოცხადებული კაცის ქორწილში კუნტრუშს? და საერთოდაც, თუ ხელისუფლებისთვის ნებადართულია ცნობილ რუს სახეებთან გართობა, რატომ არის ჩვენთვის აკრძალული საქმიანი ურთიერთობებიც კი? და ბოლოს, ამ ხელისუფლებას საერთოდ ნამუსი აქვს და რამის ცხვენია?

ისე, მსგავსი რიტორიკული კითხვა ბოლო ნამდვილად ვერ იქნება და თუ რატომ, ამას ქვევით ვნახავთ.

### საშიში ვაქცინა

ნახევრად გაყიდულ და გასაყიდად გამზადებულ ბავშვთა პოლიკლინიკებში საგანგაშო ამბავი გავრცელდა. ექიმებს ტრენინგები ჩაუტარეს და გააფრთხილეს, რომ მიღებულია ახლი ვაქცინა ყივანახველა, დიფტერიისა და წითელასთვის, რომელიც ჩეხეთიდან შემოიტანეს. ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ ამ პრეპარატს ლიცენზია არ მიანიჭა. წამლის ლეგიტიმაციისათვის საქართველოს ხელისუფლებამ ადგილზე მოახდინა ვაქცინის ლიცენზირება და პოლიკლინიკებში ისე შეიტანა. ამ აცრას უფასოდ აკეთებენ, ოღონდ ექიმები მშობლებს აფრთხილებენ, რომ საშიშია პატარებისთვის, ვისაც ძაღლის ბეწვზე ალერგია აქვს. როგორ უნდა მიხვდეს დედა, ახალშობილს ალერგია რაზე აქვს, ძნელი გასარკვევია. მთავარია, რომ პოლიკლინიკებს პარალელურად აქვთ ხარისხიანი წამალი, რომელიც 38 ლარი ღირს და მშობლებს არაოფიციალურად აფრთხილებენ, თუ ძალიან არ გიჭირთ, ნუ გარისკავთ, ისევ ფასიანი აცრა გაუკეთეთო. ჩატარდა თუ არა ტენდერი ჩეხური ვაქცინის შემოტანაზე, რამდენი დაიხარჯა ბიუჯეტიდან, ან ვინ გარისკა არალიცენზირებული ვაქცინის შემოტანა, სახელმწიფო საიდუმლოებად რჩება. საიდუმლოა ისიც, თუ ვისი ბიზნესია ვაქცინების შემოტანა და ვინ იშოვა ფული უვარგისი წამლის რეალიზებით. შარშან პოლიკლინიკები 100-140 ლარად ჰყიდდნენ სხვადასხვა წარმოების ანალოგიურ ვაქცინებს. მაშინ ჯანდაცვის ცენტრი ამტკიცებდა, რომ საქართველოში ფასიანი ვაქცინა არ არსებობს და ეს საქმე ვერ იქნება კერძო ბიზნესის ობიექტი. ამ განცხადებების მიუხედავად, ბავშვები ისევ ფულის შოვნის ობიექტად რჩებიან და თანაც ძალიან სარისკო თამაშში არიან მოხვედრილები, ისე, რომ ამის შესახებ ხშირად მშობლებმაც არაფერი იციან.



### კიდევ ერთი მამალი ტყუილი

შემდეგი სახელისუფლებო აფერა ახალ სალარო აპარატებს შეეხება. საგადასახადო სამსახურის ოფისებში მისულ ბიზნესმენებს დიდი, მაგრამ კარგად ნაცნობი სიურპრიზი ხვდებათ: უფასო ქვეყანაზე არაფერია, გადაიხადეთ 306 ლარი. ეს საგადასახადოს მოთხოვნაა. იმ საგადასახადოსი, რომლის ყოფილი შეფი ერთი წლის განმავლობაში გვმოძღვრავდა, რომ ახალ სალარო აპარატებს მეწარმეებისთვის სახელმწიფო შეიძენდა. როგორც საზოგადოებისათვის არის ცნობილი, ახალი სალარო აპარატი GPRS სისტემაზეა მიერთებული და ობიექტის მფლობელს თავისუფლად შეუძლია, საკუთარი მაღაზია ან ობიექტი აკონტროლოს. ამ სისტემის საშუალებით საგადასახადო ინსპექტორიც ონლაინ-რეჟიმში ხედავს და აკონტროლებს, თუ როგორ მიმდინარეობს საგადასახადო ანგარიშსწორება.



როგორც ოფიციალურად აცხადებენ, შემოსავლების სამსახურსა და კომპანია Daisy Technology-ს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულებით, შეძენილია 100 000 ცალი სალარო აპარატი. მათი შეძენა 13 300 000 დოლარი დაჯდა. ნაწყვეტი საგადასახადო სამსახურის შარშანდელი ინფორმაციიდან: ,,სალარო აპარატს 3 წელი ექნება გარანტია და ის უფასოდ გადაეცემა იმ მეწარმეებს, ვისი ბიზნესიც 250 000 ლარის ბრუნვას არ აღემატება, ხოლო იმ მეწარმეს, რომლის ბიზნესის ბრუნვა ამ თანხაზე მეტია, ფინანსთა სამინისტროს თავდაპირველი დაპირების მიუხედავად, სალარო აპარატის შეძენა მოუწევს. აპარატი 300 ლარი ღირს".

ცალსახად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთავრობამ მეწარმეებისთვის მიცემული პირობა კიდევ ერთხელ დაარღვია და კომერციული ინტერესით მოქმედება დაიწყო. ,,ფული, ბაბაია, ფული!" — ამ ხელისუფლების მარადიული დევიზია. თუ გავითვალისწინებთ, რომ დღევანდელი მდგომარეობით, ოფიციალურ რეესტრში 355 ათასი სუბიექტია აღრიცხული, უნდა ვიკითხოთ, როგორ აპირებდა შემოსავლების სამსახური 100 000 სალარო აპარატის განაწილებას? შეუძლებელი იყო, 250 000 ლარზე ნაკლები ბრუნვა მხოლოდ 100 000 მეწარმეს ჰქონოდა. ჰოდა, საგადასახდომაც მარტივი გამოსავალი იპოვა: იყიდოს იმან, ვისაც ფული აქვს.

მართალია, ოფიციალურად ამას არავინ ადასტურებს, მაგრამ ყველა მეწარმე ფიქრობს, რომ ძველი აპარატების მოქმედების ვადა წლის ბოლოს ამოიწურება, ანუ წლის ბოლომდე ახალი სალარო აპარატები, მთელი საქართველოს მასშტაბით, ყველა სავაჭრო ობიექტში უნდა დაიდგას. ვინც ვერ მოახერხებს შეძენას, ბუნებრივია, სოლიდურად დაჯარიმდება. არადა, ძალიან ბევრია ისეთი მცირე მეწარმე, ვინც წლის დასაწყისში ძლივს მოახერხა სალარო აპარატის შეძენა და ახლა საგადასახადო ისევ თხოვს, ოთუსბირად შეიძინოს ახალი აპარატები. ისიც საკითხავია, 290 ლარად ღირებულ ნივთს რატომ ყიდის სახელმწიფო 306 ლარად და ვის ჯიბეში მიდის ის 16 ლარი?


იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი


### პაპაპა, რა შეღავათებია!

მოგეხსენებათ, პრეზიდენტი ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ ისე აშალა, რომ დაპირებას დაპირებაზე იძლევა და ისეთ თამასუქებს არიგებს, სულსა და გულს უხარია. ამჟამად, მიშას დიდი საზრუნავი ის შუახნის ხალხია, ვინც თავის დროზე თვითონ მოისროლა დროის სანაგვეზე და ფაქტობრივად, საქმიანობის უფლება აუკრძალა. როგორც ჩანს, პრეზიდენტმა, ზურიკელასავით იგრძნო, რომ ეს მისი ყველაზე სერიოზული ,,გარღვევაა" და ამის გამოსასწორებლად ახალი თამასუქი ისროლა: კომპანია, რომელიც 45-60 წლის მოქალაქეს დაასაქმებს, გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან. ეხ, მიშა, მიშა, ეგრე დაწვრილმანებაც არ ღირს. სად უნდა დაასაქმონ, როცა სამუშაო ადგილების დეფიციტია და თანაც ამ გადასახადს ბიზნესი კი არა ჩვენ, მოქალაქეები ვიხდით საკუთარი ხელფასიდან, ანუ საკუთარი ჯიბიდან.

2007 წელს, ორი გადასახადი - საშემოსავლო და საციალური გაერთიანდა. თუ ადრე დაქირავებული ხელფასიდან სახელმწიფო ბიუჯეტში საშემოსავლო გადასახადის სახით 12%-ს იხდიდა, დამქირავებელი კი სოციალური გადასახადის სახით 20%-ს, ცვლილებების შემდეგ, ამ ორი გადასახადის გადამხდელი მხოლოდ დაქირავებული გახდა და ხელფასის 25%-ის გადახდა დაეკისრა. ეს დრაკონული გადაწყვეტილება მაშინ სწორედ დამსაქმებლის, ანუ პოტენციური ინვესტორის გულის მოსაგებად მიიღეს და გადასახადის მთელი სიმძიმე დაქირავებულს დააკისრეს. ერთი სიტყვით, ხელისუფლებამ საკუთარი ცხოვრება ჩვენს ხარჯზე აიწყო. დღეს კი რატომ ცდილობენ ამის გამოსწორებას, ყველა კარგად ხედავს.



ეს ინიციატივაც რომ ბლეფია და არაფერი აქვს საერთო რეალობასთან, ამაზე ყველა ბიზნესმენი, სხვათა შორის, ღიად ლაპარაკობს. მათი ზოგადი კომენტარი ასეთია: სკეპტიკურად ვუყურებ ამ ინიციატივას, რადგან არა მგონია, ამან ვინმეს რამე შეღავათი მოუტანოს. თუ ახალი სამუშაო ადგილები არ შეიქმნა, ბაზარი არ გაიზარდა, რა შეიცვლება? რა, ძველები უნდა გაუშვან და შუახნის ხალხი მიიღონ? ეს ინიციატივა გაამართლებს მაშინ, თუ ეკონომიკაში რეალურად მომენტალური ზრდა წავა".

**უფრო კატეგორიულია ირაკლი პეტრიაშვილი, გაერთიანებული პროფკავშირების ხელმძღვანელი:**

— ჩვენში ასაკი ნამდვილად განმსაზღვრელია, დისკრიმინაციულად განმსაზღვრელიც. ხშირად ადამიანებს დასაქმებაზე უარს ეუბნებიან ასაკის გამო. დამლაგებლის ვაკანსიებიც კი 20-25 წლამდე არის. ძალიან ზოგადი განცხადებაა და



როგორია მისი ქვეტექსტები, არ ვიცით. მით უფრო, განმარტება გააკეთეს, რომ ეს ხალხი სამ-სამი თვით დასაქმდებიან. ხომ არ გახდება ეს ინიციატივა საბაბი იმისთვის, რომ ახალგაზრდები დაითხოვონ, ან კადრები მაქსიმალურად გადაიყვანონ სამთვიან ხელშეკრულებებზე? იქნებ ისიც მოხდეს, რომ ასაკოვანი თანამშრომლები სახლში გაუშვან და მერე ხელახლა აიყვანონ. გასაგებია, რომ გვინდა ხალხის დასაქმება, თანაც ყველაზე განაწყენებული ფენის, მაგრამ რამდენად იქნება ეს ინიციატივა გადამწყვეტი, ძნელი სათქმელია.

**პ.ს.** კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სირცხვილი გასული კვირის სამთავრობო სისულელეებიდან: საქართველო, ,,პრინციპული და შეუქცევადი" პოზიციის მიუხედავად, დათანხმდა რუსეთის საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანებას. გაიჟღერა, რომ მონიტორინგს საზღვრებზე არა საერთაშორისო ორგანიზაციები, არამედ, კერძო პირები განახორციელებენ. აგაშენათ ღმერთმა, ფულის შოვნის კიდევ ერთი წყარო და ისიც რუსებთან ერთად. ვერაფერს იტყვი, იციან ბიჭებმა ფულის კეთება პატრიოტულად და სამშობლოს ხარჯზე!

**მანანა გეგიძე**

„საერთო გაზეთის“ სტუმარია პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე**:

# `CemTvis, rogorc saqarTvelos moqalaqisTvis isic sakmarisi iqneba, rom ivaniSvilma mmarTvel partias umaravlesobiT mosvlis SesaZlebloba ar misces~

**— ბატონო რამაზ, ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციას ფეიერვერკი უწოდეთ. რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— ფეირვერკი ვუწოდე არა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის გამოსვლას, არამედ მთლიანად იქ შექმნილ მდგომარეობას. სიტუაცია ატარებდა არა პრესკონფერენციის, არამედ პოლიტიკური დუელის იერს ხელისუფლებასა და ივაანიშვილს შორის. ხელისუფლების პოზიცია სამთავრობო მედიის ჟურნალისტები ახოვანებდნენ. თითქმის ყველა ქვეყანში არსებობს მედიის გარკვეული ჯგუფი, რომელიც გარკვეულ პოლიტიკურ ძალებთან ასოცირდება და მათი ინტერესების გამტარებელია. რომელიმე პოლიტიკურ სეგმენტთან დაკავშირებული ჟურნალისტები, როგორც წესი, მხოლოდ რომანტიულად არ არიან მათთან მიერთებული. მედიის წარმომადგენლები პოლიტიკური ელიტისგან სხვადასხვა სახის დავალებებს ღებულობენ, რომელიც პოლიტიკოსების სტრატეგიას ემსახურება. ჩემთვის ყველაზე უფრო მეტად საინტერესო იყო თუ რა სტრატეგია ჰქონდა ხელისუფლებას, ხოლო, მეორე მხრივ, რა საპასუხო მანევრებს ჩაატარებდა ივანიშვილი იმის გათვალისწინებით, რომ კითხვებიც და პასუხებიც მეტნაკლებად მომზადებული იყო.

**— თქვენი აზრით, რა სტრარტეგია აქვს ხელისუფლებას?**

— ჯერჯერობით, ხელისუფლების სტრატეგიად კვლავ რჩება რუსულ თემაზე აპელირება. აღარაფერს ვამბობ, ბელურებზე, პინგვინებსა და მერცხლებზე.

**— რელურად, ვისი ფეირვერკი იყო სახელისუფლებო მედიის თუ ივანიშვილის?**

— რა თქმა უნდა, ეს იყო ბიძინა ივანიშვილის ფეიერვერკი. პოლიტიკურ დუელში, ჩემდა გასაკვირად, ივანიშვილმა საკმაოდ კარგად იმუშავა. იმის გათვალისწინებით, რომ ნინო ჟიჟილაშვილთან მიცემულ ინტერვიუში ემოციური რეაქცია იმ ნაწილში გამოავლინა, სადაც არ უნდა გამოეხატა. ყველას გასაკვირად, ივანიშვილმა მშვიდად,გღიმილ-სიცილში ჩაატარა პრესკონფერენცია, მაგრამ, პრაქტიკულად, არც ერთი პოზიცია არ დათმო. ამის გაკეთება პოლიტიკოსის მხრიდან უკვე დიდი წარმატებაა.

**— ბატონო რამაზ, საქართველოში რამდენად არსებობს იმის რესურსი, რომ ივანიშვილმა დაგეგმილი განახორციელოს?**

— იმ ადამიანთა რიცხვს არ მივეკუთვნები ვინც, თვლის, რომ დღევანდელი ივანიშვილი პოლიტიკური თვალსაზრისისათ, მისი საბოლოო სახეა. ის მუდმივად იცვლება, მუდმივად სწავლბს, თუ როგორი უნდა იყოს ახალ ამპლუაში. ერთი თვის წინ უფრო აგრესიული იყო, დღეს გაცილებით ლიაა, ერთი თვის წინ შედარებით ნაკლებ საკითხებზე ჰქონდა პოზიცია, დღეს უკვე ეს მაჩვენებელი გაზრდილია. ასე რომ, ბიზნესმენი ნელ-ნელა ირგებს პოლიტიკოსის იმიჯს და ალბათ, მის პოზიციების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებთ, ძალიან ბევრი სიახლე გველოდება. მართალია, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოუმზადებელი შემოვიდა, მაგრამ ის ყველა საკითხს რაციონალურად უდგება და უარს არ ამბობს ისწავლოს, ეს კი ქართულ პოლიტიკაში ნამდვილად დიდი იშვიათობაა.

**— სოფელ ჭორვილაში მასწავლებლებმა ივანიშვილის მოქალაქეობის აღდგენასთან დაკავშირებით, ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს. მათ უკვე შეუერთდნენ საზოგადობის წარმომადგენლებიც: მომღერლები, მსახიობები. ვრცელდება ინფორმაციაც, რომ თავად სააკაშვილს, მისი გუნდის წევრებიც ურჩევენ, ბიზნესმენს დაუბრუნოს მოქალაქეობა. თქვენი აზრით, ხელისუფლება წავა ამ დათმობაზე?**

— გააჩნია სასწორის მეორე მხარეზე რა იდება. ხელისუფლება თუ დაინახავს, რომ საფრთხე ემუქრება, მოქალაქეობას დაუბრუნებს. იმ შემთხვევაში თუ მთავრობის ბედ-იღბალი არ შეიცვლება, ცხადია, დათმობაზე არ წავა და უარის მთქმელად დარჩება.

**— თქვენი აზრით, როგორ აჯობებს ხელისუფლებისთვის წავიდეს დათმობაზე და დაუბრუნოს მოქალაქეობა თუ არა?**

— მგონია, სააკაშვილი ივანიშვილს მოქალაქეობას აღარ დაუბრუნებს და ეცდება პროცესი მაქსიმალურად გაწელოს, რათა უფრო ბევრი ბერკეტი ჩართოს პოლიტიკურ ბრძოლაში.

**— შესაძლებელია თუ არა, ვითარება რევოლუციურ პროცესებში გადაიზარდოს?**

— სრულიად შესაძლებელია, ივანიშვილის წინააღმდეგობის მიუხედავად. მას არ სურს ვითარების დაძაბვა და რევოლუციურ პროცესამდე მისვლა. არ გამორიცხავ რევოლუციური სცენარის განვითარების ინიციატორი თავად ხელისუფლება იყოს. ამისათვის დასაშვებია, ნაცმოძრაობამ ივანიშვილის გუნდში ჩანერგოს ადმიანები რომლებიც პროცესების რევოლუციური მეთოდებით განვითარებაზე იმუშავებენ. მოსახლეობა თუ ქუჩეში გამოვიდა წესრიგის დამყარების აუცილებლობით, მმართველი გუნდი ძალას გამოიყენებს. შემდეგ კი სხვა რადიკალურად განწყობილი ოპოზიციონერის მსგავსად, ივანიშვილსაც მიაკერებენ რუსულ იარლიყს. თუ როგორ განვითარდება მოვლენები მხოლოდ, საზოგადოებაზე არაა დამოკიდებული, განმსაზღვრელი იქნება, რა სტრატეგიას აირჩევს ხელისეუფლება.

**— პრესკონფერენციიდან გამოჩნდა, რომ თუ ივანიშვილს მოქალაქეობას არ დაუბრუნებენ, მზადაა, საკუთარი ნდობით აღჭურვილი პირი ჩაუყენოს სათავეში პოლიტკურ პარტიას. ამ ფორმით რა შანსები აქვს ბიძინა ივანიშვილს?**

— რა თქმა უნდა, შანსები კლებულობს, რადგან პოლიტიკური პერსონა ქართველი ამომრჩევლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ხელისუფლებას საკმაოდ სათანადო და დიდი რესურსები გააჩნია იმისთვის, რომ დაფიქრდეს, გაანალიზოს სიტუაცია უკან დახიოს, სადაც საჭიროა და საბოლოოდ გამარჯვებას მიაღწიოს. 2009 წლის აპრილის მოვლენებისას სწორედ ასე მოიქცა. აქამდე თუ ხელისუფლება იმპულსურად და ემოციურად მოქმედებდა, სიტუაციას დაწყნარებს და შეიმუშავებს სხვა სტრატეგიას. მათ შეუძლიათ თავი დაანებონ რუსეთის თემით სპეკულირებას, პუტინის პროექტობას და შემოაგდონ სულ სხვა გეგმა, მაგალითისთვის: ვითომ ბიძინა ივაშვილი სააკაშვილის პროექტია.

**— რას მოიგებს ამით სააკაშვილი?**

— ამით შეუძლია ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოება, რომელიც თავის მოლოდინებს ბიძინა ივანიშვილთან აკავშირებს ჩამოაცილოს იმ მოტივით, რომ შესაკრებთა გადანაცვლებით უბრალოდ, სიტუაცია არ იცვლება. ხელისუფლებას ამ კონდიციამდე მისვლა ძალიამ მარტივად შეუძლია ყოველგვარი თოფისა და ჯოხის გამოყენების გარეშე. ამიტომ საუბარი თითქოს ხელისუფლებამ ყველანაირი რესურსი ამოწურა, ნაადრევია.

**— მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილს აქამდე არ შეუქმნია პარტია, არ გამოუცხადებია სამოქმედო გეგმა, საზოგადოების მხრიდან მაინც დიდი მხარდაჭერით სარგებლობს. თქვენი აზრით, რა არის მიზეზი, არა მგონია განმსაზღვრელი მხოლოდ ქველმოქმედება ყოფილიყო?**

— ქველმოქმედება ივანიშვილისთვის პიარის შემადგენელ კომპონენტად იქცა. მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცა ივანიშვილის პიროვნებაზე გარკვეული წარმოდგენა შექმნოდა. ადამიანი, რომელიც ქართველ ფენომენებს კი არ ებრძვის, პირიქით, ხელს უწყობს. ფაქტობრივად, ამით სააკაშვილის ანტიპოდი გამოვიდა. ხელისუფლებას შეცდომები რომ არ დაეშვა საკადრო ცვლილებების დროს, ეროვნული ღირებულებების შენარჩუნებაში, მშვიდობიანობაში, ტერიტორიული მთლიანობის საკითხთან დაკავშირებით, საზოგადოების მხრიდან ასეთი რეაქცია არ იქნებოდა. დღეს ივანიშვილზე გაჩნდა მოლოდინი, რომ ის დაიცავს საქართველოს და ქართველებს.

**— ივანიშვილი აპირებს ჩამოაყალიბოს სამოქალაქო მოძრაობა „ქართული ოცნება“ რაზეა დამოკიდებული მათი წარმატება?**

— სიმართლე გითხრათ, გაუგებარია, ბიძინა ივანიშვილი რატომ აყალიბეს მსგავი ტიპის მოძრაობას. მისი მხრიდან ეს ნაბიჯი მოუმზადებლად მეჩვენება. საზოგადოებრივი მოძრაობა სტიქიურად ისედაც შეიქმნა. „ქართუ ბანკის“ წინ შეკრებილი ადამიანები ამის ნათელი მაგალია. უფრო საინტერესო იქნებოდა ივანიშვილს შესაბამისი ნაბიჯები სტიქიურად განწყობილი საზოგადოების შესანარჩუნებლად გადაედგა. მოძრაობაში გასაწევრიანებლად ხალხი სხვადასხვა მოტივით მივა. ზოგს მილიარდერის ჯიბესთან მიახლობა მოუნდება, ნაწილი ხელისუფლების დავალებით, ასე რომ ივანიშვილს საზოგადოებრივი მოძრაობა საკმაო პრობლემებს შეუქმნის.

**— ივანიშვილი დიდ იმედებს ამყარებს არჩევნებე. თქვენი აზრით, რა შანსები აქვს, როცა სააკაშვილის გუნდი არევნებთან დაკავშირებულ პიარსა და პოლიტტექნოლოგიებს საკმაოდ კარგად ფლობს?**

— ამ ეტაპზე შანსებზე საუბარი მიჭირს, რადგან ბიზნესმენის პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ სოციალურ გამოკვლევებს არ გავცნობივარ. ჩემთვის, როგორც საქართველოს მოქალაქისთვის ისიც საკმარისი იქნება, რომ ივანიშვილმა მმართველ პარტიას უმრავლესობით მოსვლის შესაძლებლობა არ მისცეს. მივიღოთ პარლამენტი სადაც ძალთა ბალანსი 50-50 იქნება. იჭიდავონ პოლიტიკოსებმა და ასე გადაჭრან პრობლემები. მითუმტეს, პრემიერ-მინისტრს პარლამენტის წევრები ირჩევენ და საინტერესო იქნება, საკანონმდებლო ორგანოში რა კუთხით განვითარდება მოვლენები. ამის მიღწევა ბიზნესმენს ყოველგვარი პიარტექნოლოგიების გარეშეც შეუძლია.

**— რა შეიძლება გახდეს არჩევნებზე ივანიშვილისთვის წარმატების გარანტი?**

— რასაკვირველია, მისი იმიჯი, მის ირგვლივ გაერთიანებული საზოგადოებისა და პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია, რომელიც საკმაოდ დიდი რესურსია და მესამე, როგორც ჩანს, ივანიშვილის შესახებ ერთნაირი პოზიციები აქვს აშშ და რუსეთს. რუსეთს როგორც ჩვევია, მაინცდამაინც არ ქირქილებს იაშვილის ფიგურაზე, რუსული მედია აშუქებს, მაგრამ ნეიტრალურად და მათი პოზიცია გასაგებია. ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში რუსეთს ექნება ქართულ მთავრობასთან მოლაპარაკების შესაძლებლობა დღევანდელი ხელისუფლების პირობებში ეს შეუძლებელია. მედვედევს საქართველოს მთავრობთან მოლაპარაკებების დაწყება უკვე სჭირდება იმისთვის, რომ ევროპული დონის ქვეყანად იქცეს.

**— თქვენი აზრით, ივანიშვილმა არჩვენების დროს უნდა ჩართოს მხოლოდ უცხოელი პიარტექნოლოგიების მცოდნე ადამიანები, მხოლოდ ქართველი თუ ორივე ერთად?**

— თუ მხოლოდ უცხოელ სპეციალისტს აიყვანს ის თავის ქვეყნის გამოცდილებას შესთავაზებს, რამაც საქართველოში, შესაძლოა არ გაამართლოს. თუ მხოლოდ ადგილობრივ სპეციალისტს დაეყრდნობა, მან შეიძლება თანამედროვე პიაარტექნოლოგიები არ იცოდეს, ამიტომ, ადგილობრივმა და უცხოელმა სპეციალისტებმა ერთობლივად უნდა იმუშაონ. ამ ეტაპზე რუსებს აქვთ ყველაზე საუკეთესო პიარი. ისინი ელცინის არევნებისას გაიწვრთნენ, როცა ჩამოიყვანენ ამერიკელი სპეციალისტები, რომლებმაც რუს სპეციალისტებთან ერთობლივად იმუშავეს და წარმატებასაც მიაღწიეს.

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხელისუფლებამ სამხედრო მოხალისეების წვრთნა დაიწყო, ხომ არ ემზადებიან ქვეყნაში ქაოსის დაწყებისათვის?**

— ანალოგიური პროცებისთვის, როგორც ჩანს, ემზადებიან. გავრცელებული ინფორმაციით, მზადდება არაფორმალური სტრუქტურები, რომელთაც, შესაძლოა, საერთო არ აქვთ ხელისუფლებასთან და საზოგადოებაში, უბრალოდ, ტერორისა და შიშის დანერგვას ემსახურება.

**მირანდა ნაბახტეველი**







# giorgi margvelaSvili: `ivaniSvilis gansakuTrebiT didi pliusi isaa, rom igi bevrad ufro gawonasworebulia, vidre nebismieri politikuri lideri



*გვესაუბრება „ჯიპას“ რექტორი, ფილოსოფოსი* ***გიორგი მარგველაშვილი:***

**— ბატონო გიორგი, ახალი ძალის გამოჩენამ პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი რეალობა შექმნა. როგორ გესახებათ მოვლენების შემდგომი განვითარება, რა ცვლილებებია მოსალოდნელი?**

— დიახ, მართლაც ახალი რეალობის წინაშე აღმოვჩნდით, გამოჩნდა ალტერნატიული გრავიტაციის ცენტრი, ანუ ძალა, რომელიც არამხოლოდ მოვლენების სხვაგვარი შეფასებით, განსხვავდება, არამედ მას სერიოზული წონა, პოლიტიკური მნიშვნელობა გააჩნია. შედეგად, ორი გრავიტაციული ცენტრი ჩამოყალიბდა, რაც აქამდე არ არსებობდა, ანუ რეალურად გაჩნდა ალტერნატივა. ეს პირველი პოზიტივი იყო, რაც ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ივანიშვილის გამოჩენას უკავშირდება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, პოზიტიურია უკვე ის, რომ ქართულ საზოგადოებაში, მათ შორის პოლიტიკურ სივრცეშიც, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების არსებობამ ლეგიტიმური ხასიათი მიიღო.

სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლების აზროვნება, მსოფლმხედველობა, პოლიტიკური კრედო ორი ცენტრის არსებობასაც კი ეწინააღმდეგება. შესაბამისად, მათი ნაბიჯების მიმართულება ტრადიციულად შემდეგია: მათ უნდათ, რომ არსებობდეს მხოლოდ ერთი უნიტარული, მათი პოლიტიკური სივრცე. ამ ტენდენციამ, ჩვენი ხელისუფლება ავტორიტარიზმამდე მიიყვანა და სააკაშვილი ცოტა არ იყოს ტირანიასთან გაათამაშა კიდეც... სამწუხაროდ, ამ საკითხის მიმართ ხელისუფლების დამოკიდებულება არ შეცვლილა, დღეს მცდელობაა ისევ იმ უნიტარულ პოლიტიკურ რეალობას დავუბრუნდეთ. შესაბამისად, ძნელი სათქმელია რა ქმედებებს განახორციელებენ. მაგრამ თუ წინა წლებს გადავხედავთ, თვალსაჩინო გახდება, რომ ეს სქემა ყოველთვის გარედან იყო მხარდაჭერილი. კერძოდ, იყო ეს საკუთარი ხალხის დარბევა-დაპატიმრება, თუ არჩევნების დროს მოტყუება, ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ყველაფერს გარედან ჰქონდა თუ არა მხარდაჭერა, მიმღებლობა მაინც. მაგრამ, ვითარება შეცვლილია. დღეს, ხელისუფლების მიმართ მსგავსი მხარდაჭერა გარედან არ ჩანს. ანუ აღარ მუშაობს ძველი სქემა, როდესაც ხელისუფლება თავისი რეპრესიული მანქანით „აგვარებდა“ ვითარებას და შემდეგ ამას არავინ ირგვლივ არ ამჩნევდა. ასეთ ვითარებაში როგორ მოახერხებს ხელისუფლება კიდევ ერთხელ ჩაიდინოს დანაშაული კაცობრიობისა და თავისი ხალხის წინაშე და მოიქცეს ისე, როგორც იცის, როგორც სჩვევია? არ ჩანს, რომ ასეთი საქციელი გარედან იქნება მხარდაჭერილი, დღეს ვანდალური პოლიტიკის მიმართ მზაობას ვერ ვხედავ. შესაბამისად, ხელისუფლება ჩვეული სქემის გარეთ დარჩა. ამიტომ ძნელი სათქმელია რას მოიმოქმედებს იგი.

**— რას ნიშნავს 18 ელჩის სტუმრობა მის კარზე, იმას ხომ არა, რომ დასავლელი გარე ძალებიც მხარს უჭერენ ივანიშვილს?**

— ჩემთვის ძნელი სათქმელია რა ფორმით ხდება ხოლმე ეს გარიგებები. სახეზეა ფაქტები. 25 მაისს საკუთარი ერის, ქვეყნის, ზოგადად დემოკრატიული პრინციპების წინაშე დანაშაული იქნა ჩადენილი, მეორე დღეს კი ამავე ადგილას ალუმი ტარდება, რასაც საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან მშვიდი შეფასებები ეძლევა. ასეთი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებისთვის ხელისუფლებას საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან მწვანე შუქი აქვს ანთებული. ივანიშვილის შემთხვევაში არ ვიცი, როგორ იქნება ეს საკითხი. მაგრამ ფაქტია, რომ ივანიშვილს აქვს მხარდაჭერა, რაც ლეგიტიმიზირებულია თუნდაც ელჩების ვიზიტით. ივანიშვილი საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მხარდაჭერილია, როგორც კანდიდატი, რომელთანაც ბანდიტური ფორმით ურთიერთობა დაშვებული არ არის. ამით არ ვამბობ თითქოს ივანიშვილი აწყობს მსოფლიოს, ან სააკაშვილს ცვლიან ივანიშვილით. მაგრამ ის, რომ ივანიშვილს იმუნიტეტი გააჩნია სააკაშვილის ვანდალიზმის საპირისპიროდ, ეს აშკარაა.

**— 25 მაისის ღამეს და 26 მაისის დილას განვითარებულ მოვლენებს თქვენ დემოკრატიის დასასრული უწოდეთ. რა შეიძლება შეცვალოს ახალმა პოლიტიკურმა ძალამ თუნდაც დემოკრატიულობის კუთხით?**

—დემოკრატია მართლაც დასრულდა მაშინ, როცა 25 მაისის ღამეს რუსთაველზე ვანდალიზმი მოხდა, მეორე დღეს კი ამ ადგილას ტაშ-ფანდური მოეწყო; მკვლელობის ადგილას ზეიმი მოეწყო. რა შეიძლება მოხდეს ახლა? — ყველაფერს ვიწყებთ თავიდან, გვაქვს მცდელობა, კიდევ ერთხელ დავემსგავსოთ ცივილურ სახელმწიფოს. რამდენად შესაძლებელია თუ არა ეს, ამ ეტაპზე ძნელი სათქმელია, ეს ნელ-ნელა გამოიკვეთება. ჯერჯერობით ივანიშვილის პოლიტიკური სახე იკვეთება, როგორც უაღრესად რაციონალური, გაწონასწორებული პოლიტიკური ლიდერის. ეს დამოკიდებულია იმაზე, სამომავლოდ მისი პოლიტიკური ქმედებები რამდენად იქნება მიმართული თანამედროვე ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისკენ. მისი რიტორიკა იმედისმომცემია, ანუ რიტორიკის, ღირებულებების დონეზე, რაციონალიზმის ხარისხის გათვალისწინებით, ივანიშვილი დადებითი ფიგურაა. მაგრამ რეალურად რა მოხდება ძნელი სათქმელია.

**—თუმცა, მას განსხვავებით პატარკაციშვილისგან სტრუქტურა ჩამოუყალიბებელი აქვს. რამდენად იმოქმედებს ეს მისი გეგმის სისრულეში მოყვანაზე?**

— პატარკაციშვილის და ივანიშვილის შედარება ყოველთვის ხელოვნური მგონია. პატარკაციშვილი ივანიშვილისგან განსხვავებით თვითონ არ იყო პოლიტიკური ლიდერი. პატარკაციშვილი იყო პოლიტიკური პროცესის მასტიმულირებელი. პატარკაციშვილს ჰქონდა გარკვეული პოლიტიკური რესურსები, რომელიც გამოიხატებოდა მის კონტაქტებში, ფინანსურ რესურსში, მედიასაშუალებებში. ივანიშვილმა, დღეს, თავისი პოლიტიკური განვითარების ამ ეტაპზე, პოლიტიკურად სულ სხვა რეალობა ფულის, მედია-რესურსის გარეშე შექმნა. მას, გარდა თავისი პიროვნებისა, ჯერ სხვა არაფერი ჩაურთია ამ პროცესში. ბუნებრივია, ხელისუფლებაც ძალიან დაეხმარა თავისი უგუნური ქმედებებით. პატარკაციშვილის დროს სხვა სქემა მოქმედებდა, იყო უფრო ძლიერი ოპოზიცია. ივანიშვილი უბრალოდ გამოჩნდა და მან თქვა, რომ ის არის ალტერნატივა და მხოლოდ ამის დეკლარირებით შექმნა ალტერნატიული რეალობა; ყველა დანარჩენმა ამ ალტერნატიული გრავიტაციული ველის გარშემო ტრიალი დაიწყო. ანუ ივანიშვილი თავისი პიროვნებით ზემოქმედებს პროცესებზე, პატარკაციშვილი კი პროცესზე ზემოქმედებდა რესურსებით. ჯერჯერობით არ გამოჩენილა ივანიშვილის არც ფინანსური და არც სხვა რესურსი, მაგრამ ვხედავთ, რომ რეალობა უკვე შეცვლილა. თუ ივანიშვილი წარმატებით გაართმევს თავს შემდგომ ეტაპებს — სტრუქტურების შექმნას, მის შესაბამის აღჭურვას, მედიის საკითხის გადაწყვეტას, მას ბუნებრივია სერიოზული წარმატების



იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

წინაპირობა გააჩნია, რადგან დღეს იგი პოლიტიკურად უკვე წარმატებულია.

**— საზოგადოებას გასამარჯვებლად ივანიშვილის 5 მილიარდის იმედი აქვს. თუმცა, ნაკლები მილიარდები არც მის მთავარ ოპონენტს ხელისუფლებას აქვს.**

— ფინანსური რესურსი, ცხადია, არის ფაქტორი, მაგრამ ძნელია თქვა, რა როლს თამაშობს იგი პოლიტიკურ პოცესში. პოლიტიკური წარმატების ფორმულა ბევრი ფაქტორისგან შედგება.

**მხოლოდ არჩევნების გზითაა, რაც ერთ წელიწადში უნდა გაიმართოს. როგორ ფიქრობთ, რამდენად გაჰყვება ეს იმუნიტეტი ივანიშვილს არჩევნებამდე?**

— რამდენად გაჰყვება ივანიშვილს არჩევნებამდე იმუნიტეტი, ჩემთვის ამის თქმა ძნელია თუმცა, ივანიშვილი იქცევა როგორც უაღრესად კანონმორჩილი ადამიანი, იგი ჯერჯერობით ხელისუფლებას არანაირი აგრესიის საფუძველს არ აძლევს. ივანიშვილის განსაკუთრებით დიდი პლიუსია ის, რომ იგი ბვრად უფრო გაწონასწორებულია, ვიდრე ნებისმიერი, საშუალო სტატისტიკური ქართველი პოლიტიკური ლიდერი. სიმშვიდე, რაც ივანიშვილს გააჩნია, ყურადღებისმიმქცევია. როდესაც მას პირდაპირ შეურაცხყოფას აყენებენ პატარა, უბედურ დღეში ჩაგდებული, დაქირავებული ჟურნალისტები, კერძოდ, ეკითხებიან — არის თუ არა იგი კრემლის ბოლო იმედი? — იგი ღიმილით პასუხობს და ეუბნება — ნუ ღელავთ, ყველაფერი კარგად იქნება, მე ვხვდები თქვენ რა მძიმე დღეში ხართო. ასეთი ტიპის ადამიანის წყობიდან გამოყვანა, მისი სტრატეგიული ხაზის შეცვლა არ იქნება ადვილი. მითუმეტეს, იმ გაცვეთილი მეთოდებით, რაც ალბათ, ივანიშვილისთვის უკვე კარგად ნაცნობია.



პირველ რიგში ეს არის ხალხი. რამდენად დაჩაგრულნი, დატერორებულნიც არ უნდა ვიყოთ, ხელისუფლებას გააზრებული აქვს, რომ ხალხის აზრი მნიშვნელოვანია. ამიტომაც ამუშავებს იგი ასე ინტენსიურად იდეოლოგიურ მანქანას ტელევიზიების სახით. სწორედ ამიტომაც ყოველთვის ცდილობს გარკვეული ტიპის პიარკამპანიის ჩატარებას პოლიტიკური ოპოზიციის მიმართ. ამ თვალსაზრისით ხელისუფლება მკვეთრ მინუსებშია ივანიშვილთან. იმიტომ, რომ ხელისუფლების მხარეს არის 8-წლიანი კომპრომატების ტომები — ცემის, ჩაგვრის, ზომბირების, ომის წაგების, გალატაკების და ა.შ. სხვათაშორის, ხელისუფლების შეცდომა ისიცაა, რომ თუკი დადებითი რამ გაუკეთებიათ, ესეც მხოლოდ იძულების ფორმით. ივანიშვილის მხარეს არის მარტივად — ქველმოქმედება. მეორე — თუ ხელისუფლება მჩაგვრელია და ხალხს ეუბნება — სახლში ჩუმად იჯექით და რუსულ მუსიკას ნუ მოუსმენთ, იაზროვნეთ მოდელირებული რეალობის ფორმითო, ამ დროს მოდის ივანიშვილი და გვეუბნება — იყავი თავისუფალი ადამიანი და იაზროვნე როგორც გინდაო. შემდეგი მომენტია — საერთაშორისო მხარდაჭერა, რაც არჩევნებში ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. თუკი ადრე გვეუბნებოდნენ კი, ბატონო იყოს ნომინალურად ოპოზიცია, მაგრამ თუკი ვინმე რეალურად თავს წამოსწევს თავში ჩაარტყი და ჩვენ გაგიპრავებთო, ეს ფაქტორი ივანიშვილთან მიმართებაში მოხსნილია და როგორც მინიმუმ ივანიშვილს და ხელისუფლებას თანაბარი პირობების მოედანი აქვთ მიცემული.

**— საუბრისას თქვენ ახსენეთ, რომ ბიძინა ივანიშვილს იმუნიტეტი აქვს. როგორც ცნობილია იგი ხელისუფლების შეცვლის მომხრე**

**— ხელისუფლება შეიძლება სუსტ ქმედებებს ახორციელებს, თუმცა ამ მთავარი ოპონენტის უყურადღებოდ მიტოვება არ ღირს. დღეს არავის აქვს ილუზია, რომ ხელისუფლებას სძინავს და იგი ივანიშვილის საწინააღმდეგოდ მიმართულ ნაბიჯებს არ გადადგამს. როგორ ფიქრობთ, კიდევ რა კონტრდარტყმები შეიძლება მიაყენოს ხელისუფლებამ ივანიშვილს?**

— რა თქმა უნდა კმაყოფილება იმით, რომ ივანიშვილისთვის ხელისუფლების მიერ განხორციელებული შეტევები ჯერჯერობით მხოლოდ მომგებიანი და არა წამგებიანი ხიბლია. შესაძლოა ისიც, რომ კიდევ ერთხელ შედგეს ის გარიგებები, და ვიღაცამ სააკაშვილს უფლება მისცეს ივანიშვილს ისე მოექცეს, როგორც ჩვეულებრივ ქართველს და განახორციელონ მის მიმართ ჩვეული ტერორი. არ ვიცი სად და როგორ დგება ეს შეთანხმება, ეს ძნელი სათქმელია. მაგრამ აქ, ამ ფრონტზე, ქართულ რეალობაში ივანიშვილი შეცდომას არ უშვებს.

**თამარ შველიძე**

**მანანა ბერიკაშვილი, რეჟისორი:** უსამართლობა იმდენად ძნელი მოსათმენია, რომ შიშსაც კი ძლევს. მე პირადად აღშფოთებული ვარ იმის



გამო, რომ ბიძინა ივანიშვილს ჩამოართვეს მოქალაქეობა. აღშფოთებული ვარ, რაც მოხდა მისი ბანკის წინააღმდეგ და მინდა ე.წ. ინტელიგენციის სახელით, როგორც დღეს გვეძახიან, რომელიც თურმე მოქრთამა ივანიშვილმა, განვაცხადო, რომ ბატონმა ბიძინამ ერის საუკეთესო ნაწილი თავის დროზე გადაარჩინა და ყველაფერს დაარქვან თავისი სახელი. ცოტა კორექტულები იყვნენ თავიანთ გამონათქვამებში.

მე არ ვარ პოლიტოლოგი, ვარ ხელოვანი და ვთვლი რომ ჩემი სათქმელი შემოქმედებაში უნდა ვთქვა და არა რაღაც მოსაზრებებში, რადგან შეიძლება რაიმე შემეშალოს. ჩემს ქვეყანაში ისე განვითარდა მოვლენები, ბევრი რამე აღარ მომწონდა, განსაკუთრებით 2008 წლის მერე, მაგრამ პიკი ამ მოვლენებისა არის დღევანდელი დღე. მე პირადად საერთოდ გაცრუებული მქონდა იმედი პოზიციაზეც და ოპოზიციაზეც. მაგრამ გაჩნდა იმედი, რადგან ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, დავამთავროთ ეს ქუჩის აქციები და მიტინგები. ბატონი არის ძალიან კარგი ადამიანი, კარგი ბიზნესმენი, ქველმოქმედი და ხომ მაქვს უფლება, დამაცადო, რათა გავიგო, როგორი პოლიტიკოსი იქნება და გავაკეთო ჩემი არჩევანი. რა აუცილებელია ჩამოართვა მოქალაქეობა, თავს დაესხა ბანკს, იარაღი წაართვა დაცვას, რატომ ხდება ეს?. ჩემთვის ყველა ადამიანი ძვირფასია, იმისდა მიუხედავად სად დგას. აღარ შემიძლია ეს დაპირისპირება და ჭორები. ხომ შეიძლება არ გავლანძღოთ, არ მივაყენოთ შეურაცხყოფა ადამიანს. წყნარად ამიხსენით და დამიმტკიცეთ, რატომ არის რუსეთის აგენტი.მაშინ მეც აგენტი გამოვდივარ, რუსეთში ვსწავლობდი და ძალიან ბევრი მეგობარიც მყავს იქ.

ბიძინა ივანიშვილის მოსვლა პოლიტიკაში არის ძალიან პრინციპული, მართალი, პატიოსანი ადამიანის მოსვლა, რომელიც ძალიან წაადგება როგორც პოლიტიკურ სპექტრს და საზოგადოებას, ასევე ხელისუფლებასაც, რომელსაც ეს თვისებები ნამდვილად აკლია.

საინტერესო იყო გამოგეკითხათ ადამიანები, რომელთაც ,,ქართუში" შეჰქონდათ ფული. ეს ხომ იყო ჩვეულებრივი საზოგადოების წარმომადგენლები და არა ის ხალხი, ვისაც ივანიშვილი ხელფასს უხდიდა.

მე არ მაქვს საფუძველი, არ დავუჯერო ბატონ ბიძინას, თუ რატომ მოდის პოლიტიკაში. ქვეყანას რომ შველა სჭირდება, ვინმეს ეჭვი ეპარება? რატომ უნდა შევბოჭოთ ადამიანი, რომელსაც ძალიან ბევრი კარგი საქმე აქვს გაკეთებული ამ ქვეყნისთვის, გადადგას ეს ნაბიჯი და დავინახოთ, რის გაკეთებას აპირებს.

**დავით უსუფაშვილი:** ბიძინა ივანიშვილმა თავისი პირველი პრესკონფერენციით, საზოგადოებას თავი გააცნო, როგორც ძალიან ჩვეულებრივმა და საქვეყნო საქმეებზე დაფიქრებულმა ადამიანმა და არა — მესიამ, რომელსაც ყველა კითხვაზე პასუხი აქვს და ყველა პრობლემის მოგვარების პირობას იძლევა.



ვფიქრობ, მოლოდინი გაამართლა, რადგან დატვირთული იყო ყველა შესაძლო და არაშესაძლო კომპონენტებით; აქ ვნახეთ სერიოზული წარმოდგენა იმ თვალსაზრისით, რომ ჟურნალისტების ერთი ნაწილი მისული იყო თავისი სათქმელის სათქმელად და არა — პასუხების მოსასმენად. ეს სრულიად აშკარა და თვალშისაცემი იყო. არ მგონია, რომ ამ ტაქტიკამ გაამართლა და ამ გზით მოხერხდა ბიძინა ივანიშვილის პორტრეტის გაუბრალოება. პირიქით, ის საკმაოდ მშვიდად შეხვდა ამ ყველაფერს.

ივანიშვილმა რამდენჯერმე მიანიშნა, რომ ორიენტირებულია კომპეტენტური გუნდის შექმნაზე, ანუ წესიერებით და მორალური კრიტერიუმებით შერჩეული გუნდის იმედად აკეთებს იმ განცხადებებს, რასაც აკეთებს და არა მხოლოდ პირადი ინტელექტუალური თუ ფინანსური რესურსის კვალობაზე.

მისი მყარი პოზიცია ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის შესახებ არის ძალიან მნიშვნელოვანი, რათა ხელისუფლებამ ვერ მოახერხოს ცნობილი და ნაცადი სტრატეგიით საქმის წარმართვა, თითქოს, ქართულ ოპოზიციაში მხოლოდ რევოლუციაზე ორიენტირებული მარგინალები არიან.

**მაია ჯაბუა, მომღერალი:** მომღერლებმა, უამრავმა ანსამბლმა გავაპროტესტეთ ხელისუფლების ქმედება ივანიშვილის წინააღმდეგ. ზოგიერთი ნაწყენიც კი დარჩა, რომ ვერ მოახერხა თავიანთი ხელმოწერის დაფიქსირება. ხელოვნების წარმომადგენლები თავად იჩენენ ინიციატივას, რომ ჩაერთონ ამ პროტესტში.

საზოგადოება გამოცოცხლებულია, მან გადააბიჯა შიშს, რადგან ყველაფერს აქვს ზღვარი- შიშსაც, მოთმენასაც და დუმილსაც. გაჩნდა იმედი და რწმენა ხალხში. ამ ადმიანმა მოახრხა ნდობის ძალიან მალე მოპოვება ადამიანებში. ხალხმა იცის მის მიერ გაკეთებული საქველმოქმედო საქმეების შესახებ. თუმცა დიდი ფინანსები ყოველთვის ყველაფერს არ წყვეტს. ფინანსები სხვებსაც აქვთ, მაგრამ სურვილი არ აქვთ, ამდენი სიკეთე აკეთონ ასე უანგაროდ და ჩრდილში დგომით. ჩემში ყოველთვის აღტაცებას იწვევდა ასეთი ადამიანები. ალბათ მისი გაკეთებული საქმეები არის საფუძველი იმ დიდი ნდობისა, რაც მას ხალხმა გამოუცხადა. რაც შეეხება ბანკთან დამდგარ რიგებს, ეს არის ის სოლიდარობა, რაც აქამომდე



გვაკლდა ჩვენ. სხვა არის როცა ადამიანები მიდიან მიტინგზე, მაგრამ როდესაც საზოგადოება უსამართლობას უპირისპირდება ასე სოლიდარულად, ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი საზოგადოების განვითარებაში.

ალბათ ადამიანები, რომლებიც დღეს თავს იკავებენ თავიანთი პოზიციის დაფიქსირებისგან, იმ დროს ელოდებიან, როცა კარგად გაირკვევა სიტუაცია და ვის მხარეს არის წარმატება. ეს დრო რომ დადგება, შეიძლება მერე ერთმანეთს დაასწრონ სიტყვის თქმა.

მე არ ვარ ის ადამიანი, რომელიც ძალიან სწრაფად იღებს გადაწყვეტილებას. ყველა დეტალს და წვრილმანს ვაქცევ ყურადღებას. არანაირი შეხება არ მქონია ბატონ ბიძინასთან, არ ვეკუთვნი მათ, ვისაც ხელფასს უხდიდა. შესაბამისად არანაირი ვალდებულება და დავალება მის მიმართ არ მალაპარაკებს. უბრალოდ, ვაკვირდები ამ ადმიანს და ვთვლი, რომ როგორც მომღერლისთვის არ არის საკმარისი კარგი ხმა და სმენა და არსებობს უამრავი კომპონენტი, რომელიც აუცილებელია ხელოვანისთვის, ისეა პოლიტიკოსიც. ამ ადამიანს კი გააჩნია უამრავი ისეთი თვისება, რაც საჭიროა, რომ იყოს კარგი, წარმატებული პოლიტიკოსი. თუ დავაცდით ამ ადმაიანს, ის იტყვის თავის სათქმელს.

# `meoTxe~, anu gvelsa xvreliT amoiyvans joxi SeCxikinebuli...



ამას წინათ ერთი უხვტირაჟიანი და „ნეიტრალური“ გაზეთის თანამშრომელმა, ახალგაზრდა ქალბატონმა თქვა — მართალია, მე პოლიტექნიკური დავამთავრე, მაგრამ დღეს ჟურნალისტი ვარ. ჩემი ნაშრომებით ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებს ასწავლიან, როგორც ქართული ჟურნალისტიკის საუკეთესო ნიმუშებსო...

მართლაცდა, სად იმუშაოს იმ ქალბატონმა? ტექნიკური დარგის სპეციალისტებისთვის საქართველოში სამუშაო არ არის, სამაგიეროდ, არსებობს მედია, რომელიც ყველას და ყველაფერს იტევს...

* * *

იმ ავადსახსენებელი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხელისუფლებაში ახალგაზრდები მოვიდნენ. უმაღლესი, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ბერკეტები მთლიანად გადავიდა ახალი თაობის ხელში. მედიაც გათავისუფლდა კომუნისტური მარწუხებისგან და ლაღად გაშალა ფრთები, რევოლუციური ტალღით მოგვრილი სიამოვნებისგან შვებით ამოისუნთქა...

საოცრებებს და უცნაურობებს რა გამოლევს საქართველოში, მაგრამ საინტერესო მაინც ის არის, რას ერჩიან ჟურნალისტები ივანიშვილს?

მოკლედ, რაც იმ დღეს ბიზნესცენტრში მოხდა, ყველამ საკუთარი თვალით ნახა.

რა მოხდა, კოლეგებო, თუკი ნამდვილი ჟურნალისტები, ანუ მიუკერძოებლები და დამოუკიდებლები ხართ, ახალი პოლიტიკური მოთამაშის გამოჩენამ თქვენ რატომ დაგაფრთხოთ და დაგაშინათ ასე, გული ყელში რომ გქონდათ მობჯენილი და რომ ხტუნავდით, თქვენც ეს მთავრობა ხომ არა ხართ, საფრთხე რომ დანახეთ ალტერნატიული ძალის გამოჩენისას?

ბედმა დაგვიფაროს და, ზოგი ფარული და ზოგი აშკარა მიშისტები ხომ არ იყავით იმ



დღეს იქ თავმოყრილი? არადა, ჟურნალისტი რომ არავის მომხრე არ უნდა იყოს?

კი, ოპოზიციამ დაკარგა ქალწულობა მიშასთან, მაგრამ ქართული ჟურნალისტიკაც ხომ არ გმინავს, ნეტავ, მიშას ბუდუარში?

იმ დარბაზში იმ დღეს, სხვათა შორის, თითო-ოროლა მედიაჯგუფი იყო, რომელიც ნეიტრალურად, დამკვირვებლის თვალით უყურებდა ივანიშვილს. „მტრები“ მეტი იყვნენ. რა არის ეს? ლუსტრაცია?

თუ ჟურნალისტები იქ იმიტომ იყვნენ, რომ ხალხისთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია, ხალხმა ვერაფერი გაიგო ივანიშვილისგან, რადგან ხელჩართულ ჩხუბს, კინკლაობას და ჟიჟილხივილს თავი ვერ დააღწიეს და „გამოცდა“, რომელიც თითქოს ივანიშვილისთვის უნდა ჩაეტარებინათ, ჟურნალისტებმა ვერ ჩააბარეს...

არაა ივანიშვილში საქმე, დავანებოთ თავი კონკრეტულ პირებს — 1 ნოემბერს ივანიშვილს რომ ეტიტინებოდით, გამოდით ერთი, რამდენი გაუბედავთ სააკაშვილს ერთ თამამ შეკითხვას მაინც...

* * *

ერთი 88 წლის ლოგინად ჩავარდნილი კაცი გვირეკავს რედაქციაში ყოველდღე. ბატონი ვაჟა, რომელიც ვერაზე, ყოფილი ბელინსკის ქუჩაზე ცხოვრობს, ყოველ დარეკვაზე წუხს, უნდა ავდგე და სამართალი გავარკვიოო. გელიმებათ, თქვენ, ბატონ ვაჟაზე, არა? იმ ადამიანს გული მიუწევს სიმართლის გასარკვევად და ვისაც შეუძლია ამის გაკეთება, ისინი მიშას დაკრულზე ცეკვავენ.

ზოგიერთი ჟურნალისტი „ვარდების რევოლუციის“ დიდებულად დაგვირგვინების შემდეგ „რედისონში“ გამართული გრანდიოზული „სამალარიჩო“ სუფრიდან „რევოლუციაში“ მონაწილეობისთვის ცინცხალი „ნივებით“ დასაჩუქრებული დაბრუნებულა სახლში. აბა, ამის მერე როგორ შეიძლება მიშას „მტერს“ ყელში არ ეცე გამოსალადრავად. მით უმეტეს ეს მტერი და მოწინააღმდეგე საქართველოს „დამაქცევარი“, „ქვეწარმავალი“ ბიძინა ივანიშვილი თუა?! ხალხო, ის მაინც არ გაგიგონიათ, „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარიო“?

ჩემი ისტორიის მასწავლებელი, არაჩვეულებრივად ენამოსწრებული, ცხონებული კარლო მამალაძე ამ ანდაზას ასეთი ინტერპრეტაციით ამბობდა: „გველსა ხვრელით ამოიყვანს ჯოხი შეჩხიკინებულიო“. რა ჯოხით და მიკროფონით მისდევთ ამ ადამიანს, თუ ასეთი ვაჟკაცები იყავით, „იმედში“ რომ სცემეს, ბეგვეს და დაწამლეს ჟურნალისტები თქვენი შეფების თქვენნაირმა ხელქვეითებმა, მაშინ რატომ არ ამოიღეთ ხმა და ასე ერთბაშად რატომ არ შეუტიეთ თქვენი კოლეგებისა და საერთოდ, მართალი სიტყვის დამთრგუნველებს.

სიმართლე ისაა, რომ კრიზისი ქართულ ჟურნალისტიკაში, რომელზე საუბარიც, რატომღაც მომაკვდინებელ ცოდვად ითვლება, 2003 წლიდან არ დაწყებულა. რა მემკვიდრეობაც მიიღო ქართულმა მედიამ, იმას ვერაფერი მიუმატა, პირიქით, უფრო გააცამტვერა და მიწასთან გაასწორა ჟურნალისტის სახელი.

I არხის თანამშრომელმა ახალგაზრდა ჟურნალისტმა რომ ერთ მომიტინგეს სასტიკად სცემა, ხელისუფლებამ დააწინაურა და I არხიდან შედარებით უსაფრთხო და თბილ ადგილას გადაიყვანა.

მთავარი კანონი, რასაც ჟურნალისტმა არასდროს უნდა უღალატოს — არ უნდა გახდეს ვინმეს მეხოტბე, არც აშკარა და არც ფარული მხარდამჭერი. ამით ის ინფორმაციის ობიექტურობას დიდ ზიანს აყენებს.

სიმართლე უნდა ვთქვა: 1 ნოემბერს ბიძინა ივანიშვილმა მოახერხა სრულად წარმოეჩინა ქართული ჟურნალისტიკის გალატაკებული და უბადრუკი სახე...

ჟურნალისტიკა, ანუ მეოთხე ხელისუფლება დღეს ძალად გა-



ფიცხებულ-გაწიწმატებული ნინო გომართელია, რომელსაც დავალება აქვს შესასრულებელი, ქართული ჟურნალისტიკა დღეს არის ლიკა ბერაია, რომელიც მიკროფონს მალავს ქვედატანის ქვეშ, რათა არ წაართვან და მერე გაუაზრებელი, მექანიკური შეკითხვები დასვას...

ქართული ჟურნალისტიკა არის გამომცემლობა „სამშობლოდან“ მუჯლუგუნებით გამოყრილი ჟურნალისტთა მთელი წყება, რომლებიც იგნორირებულნი და უგულებელყოფილნი არიან...

მე ვარ ჟურნალისტი...

მაგრამ მე არ ვარ „მეოთხე“...

ვხედავ და ვწერ, რომ დანგრეულია ქვეყანა, ისპობა ენა, სარწმუნოება, ხელიდან გვეცლება სამშობლო. და მე, როგორც ჟურნალისტი, ვარ მეოთხე ხელისუფლება?..

* * *

ახლახან წავიკითხე ჟურნალი „ტაბულა“, რომელიც ინტელიგენტს წარსულის გადმონაშთად მიიჩნევს და თითქმის ანტიკვარად თვლის. დიდი ეჭვი მაქვს, ქართული მედიის უმეტესი ნაწილიც ასე ფიქრობს.

ინტელიგენტი არის, სხვათა შორის, თვითონ ჟურნალისტი, მაგრამ, როგორც ივანიშვილის ბიზნეს-ცენტრში კიდევ ერთხელ დამტკიცდა, სამწუხაროდ, ქართველმა ჟურნალისტებმა ჯერ არ იციან, რომ არ არიან არც ყაჩაღები, არც ჩამშვებები, არც შსს-ს პაგონიანი ჯაშუშები, არამედ არიან, პირველ რიგში, ინტელიგენტები...

თუმცა მათ ჯერ არ იციან ამის შესახებ...

არც უთხრათ, დაუმალეთ, ჯერჯერობით, თორემ, ვისაც სინდისი კიდევ შერჩა, ძალიან შერცხვება...

სინდისზე გამახსენდა, საქართველოში, ნეტავი, რამდენი ჟურნალისტი იტყვის, რომ მის პროფესიაში ეს გასაცოდავებული სინდისი საჭირო არის?

ალბათ, ძალიან ცოტა და ვინც იტყვის, ისიც არ იქნება აგულწრფელი...

* * *

როგორც შევიტყვეთ, მალე ბიძინა ივანიშვილი სამოქალაქო მოძრაობას შექმნის, არჩევნებამდე კი ჯერ კიდევ დროა, ნაცმოძრაობას ოდნავ პატარა დისკომფორტი კი შეექმნა ივანიშვილის გამოცხადებით, მაგრამ, დიდად არ შეწუხებულან, როგორც ეტყობა, ნაცები კიდევ კარგა ხანს იბოგინებენ... სახელისუფლებო კასტად ჩამოყალიბებულ ჟურნალისტებსაც თავისუფლების სიო კიდევ დიდხანს არ დაუფრთხობს სიმშვიდეს და დემაგოგიის საზღვარიც კვლავ უსაზღვრო დარჩება მათთვის. მათი ზღაპარი აქ არ მთავრდება, როგორც ივანიშვილის პრესცენტრის ხელმძღვანელის ირაკლი ტრიპოლსკის ცხონებული მამა იაკობ ტრიპოლსკი ამთავრებდა ხოლმე I არხზე საღამოს ზღაპრის მოყოლას: „მშვიდ ძილს გისურვებთ, ჩემო პატარა გოგოცუნებოო“!...

სიმშვიდეს გისურვებთ, ჯერჯერობით...

**ირანდა კალანდაძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

**რედაქციისაგან:** ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუ, რომელსაც „საერთო გაზეთის“ დღევანდელ ნომერში გთავაზობთ, გაზეთ „ვედომოსტში“ 2005 წლის 7 აპრილს გამოქვეყნდა და იმთავითვე საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის განმავლობაში ეს იყო ბიძინა ივანიშვილის ერთადერთი ინტერვიუ, მისი სრული ტექსტი ქართულ ენაზე არ თარგმნილა და არ გამოქვეყნებულა (დაიბეჭდა მხოლოდ მცირე ფრაგენტი).

მართალია, ინტერვიუს გამოქვეყნებიდან ექვსმა წელმა გაიარა და ამ ხნის განმავლობაში, ცხადია, ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ, ვფიქრობთ ეს ინტერვიუ მაინც უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტია, თუნდაც იმის დასტურად, რომ ბიძინა ივანიშვილი ექვსი წლის წინათაც, ანუ მაშინ, როდესაც პოლიტიკაში მოსვლას არც აპირებდა, იმავე ღირებულებებსა და ფასეულობებს ემსახურებოდა, რომელთა დამკვიდრებას დღეს, როგორც პოლიტიკოსი, ქართულ სინამდვილეში ცდილობს.

აქვე გთავაზობთ ბიძინა ივანიშვილის მცირე კომენტარს ამ ინტერვიუსთან დაკავშირებით:

„ბედნიერი ვარ, რომ სუფთა წარსული მაქვს და გარწმუნებთ, ხელისუფლების იდეოლოგებს თავიანთი მცდელობანი სიკეთეს ვერ მოუტანს. მუდმივად ისეთ გვარებს ატრიალებენ, რომელიც ცნობილი არაა საქართველოს მოსახლეობისთვის. მუდმივად ცდილობენ, ხალხს ეჭვი გაუჩინონ ჩემზე.

ერთადერთ ინტერვიუში, რომელიც გაზეთ „ვედომოსტს“ მივეცი, ყველა ეს გვარია დასახელებული და პასუხიც იქვეა გაცემული. ეს ამბავი კარგა ხანია წარსულს ჩაჰბარდა. ჟურნალისტებმა მაშინ ვერც ერთი შავი ხაზი ვერ მიპოვეს. ერთი თვე არ ბეჭდავდნენ ჩემს ინტერვიუს. ვერ წარმოედგინათ, რომ რუსეთში შეიძლებოდა ასეთი კაცი ყოფილიყო, თანაც ქართული გვარით. როგორც აქ არ ვჩნდებოდი, უფრო მეტად არ ვჩანდი რუსეთში. დიდხანს ელოდნენ ჩემ გამოჩენას, ამის შემდგომ ყველა საინფორმაციო საშუალებამ გააშუქა ეს ინტერვიუ, გრამი ეჭვიც კი არავის შეუტანია ჩემს ნათქვამში, რადგან ინტერვიუში იმდენად გულწრფელად მაქვს პასუხები გაცემული, ეჭვის ნატამალიც კი არ რჩებოდა.“

დარწმუნებული ვართ, ეს ინტერვიუ ბიძინა ივანიშვილის ოპონენტებს ერთხელ და სამუდამოდ დაუკარგავს უსაფუძვლო ბრალდებების და სამარცხვინო ჭორაობის ხასიათს.

# `ar megona, rom miliarderi gavxdebodi~

*პარიზი. ბანკ „როსიისკი კრედიტის“ დამაარსებელი და მფლობელი ბორის ივანიშვილი ერთ-ერთი ყველაზე იდუმალებით მოცული მეწარმეა რუსეთში. იგი პრაქტიკულად არ მონაწილეობდა საჯარო ღონისძიებებში, არასოდეს მიუცია ინტერვიუ.*

*რას საქმიანობდა ივანიშვილი გარეშე თვალს მიღმა?*

*ქონებას აგროვებდა.*

*ახლახან ჟურნალმა „ფორბსმა“ მისი ქონება 2,6 მილიარდ დოლარად შეაფასა; თუმცა თავად ივანიშვილის სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ, „როსკრედიტის“ მეპატრონე 5 მილიარდზე მეტი ღირს. შარშან მის ბიზნესს გარდამტეხი ხანა დაუდგა. მსხვილი სამრეწველო აქტივების — სტოილენსკისა და მიხაილოვსკის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატების გაყიდვით 2 მილიარზე მეტი იშოვა. ეს სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა არა მარტო ბაზრის მონაწილეებისთვის, არამედ მათთვისაც, ვინც ივანიშვილს იცნობდა. რატომ მოიქცა ასე, როგორ აპირებს მიღებული თანხის განკარგვას — ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა „ვედომოსტის“ თავისი ცხოვრების მანძილზე მიცემულ პირველ ინტერვიუში პირადად უამბო.*

**— თქვენ არასოდეს მიგიციათ ინტერვიუ და თქვენი სამეწარმეო საწქმიანობის დასაწყისიდანვე ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდით. რას უკავშირდება ასეთი გასაიდუმლოება?**

— მე მართლაც არ ვარ საჯარო ადამიანი, რაც მხოლოდ და მხოლოდ ჩემს ხასიათს უკავშირდება. არ მიყვარს ჟურნალისტებთან შეხვედრა, თავშეყრის ადგილებში ყოფნა. იქ ნიღბის მორგებაა საჭირო, მე კი ვერ ვიტან ფორმალობებს. არ მსურს ვაკეთო ისეთი რამ, რაც ჩემს თავისუფლებას ზღუდავს. ზოგადად, არ მიყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა, არც დღესასწაულები, საკუთარ დაბადების დღესაც კი არასდროს ვიხდი.

**— რითი შეიძლება ავხსნათ, რომ „როსიისკი კრედიტი“ და „მეტალოინვესტი“ არც კი ადასტურებდნენ, რომ ეს სტრუქტურები თქვენ გეკუთვნით?**

— არასოდეს დამირღვევია კანონი და დასამალიც არაფერი მაქვს. უბრალოდ, „პერესტროიკის“ დასაწყისშივე, ჩვენ ყველანი, ბიზნესმენები, სამწუხაროდ, დაძაბულად ვცხოვრობდით იმის გამო, რომ შესაძლოა, ჩვენს ბიზნესს რამე დამუქრებოდა. თუკი საკუთარი პერსონითა და ქონებით ყურადღებას არ მიიპყრობდი, ბიზნესის მართვაც უფრო მშვიდად შეიძლებოდა.



**— 90-იანი წლების დასაწყისში რუსეთში მართლაც დაძაბული მდგომარეობა იყო, მაგრამ საზღვარგარეთ ყველა ბიზნესმენი როდი მიემგზავრებოდა თქვენსავით. როდის წახვედით ქვეყნიდან და რატომ?**

— რუსეთიდან პირველად 1993 წელს, საქართველოში ჩემი ძმის გატაცების შემდეგ წავედი. მისთვის გამოსასყიდს ითხოვდნენ. ერთი თვე ჰყავდათ, მაგრამ გამოსასყიდი არ გადამიხდია, რადგანაც ანალოგიურ საფრთხეში ჩავაგდებდი ჩემს მშობლებს, დებს. შემდგომში მათთვის ხელი არავის უხლია. ჩემთან კი საქართველოდან სხვადასხვა სახელმწიფო მოხელე ჩამოდიოდა, რომლებიც ჩემი ძმის მოძებნაში დახმარებას ცდილობდნენ, თანამშრომლობას მთავაზობდნენ. არ მსურდა მათი შემოშვება ჩემს ბიზნესში და მათთან ურთიერთობის თავიდან ასაცილებლად გადავწყვიტე, ფორმალურად ბანკს ჩამოვშორებოდი: განვაცხადე, რომ ბანკის პრეზიდენტის თანამდებობას ვტოვებდი, 1994 წელს კი 6 თვით ოჯახთან ერთად ახლობელთან ამერიკის შეერთებულ შტატებში გავემგზავრე. საქართველში ვითარება არ იყო მშვიდი, თითქოს საზღვარგარეთ უფრო შეიძლებოდა წყნარად ცხოვრება; ვფიქრობდით, შვილების გულისთვის, მათი მომავლისთვის ეგებ ღირდეს აქედან გამგზავრება. ვირჩევდით ქვეყანას, რომელიც ყველაზე მეტად მოგვეწონებოდა. საფრანგეთი შევარჩიეთ, პარიზის სიახლოვეს სახლი ვიყიდეთ. თუმცა იქ მუდმივად არ ვცხოვრობდით, ბიზნესის გამო, განსაკუთრებით კი დეფოლტის შემდეგ, ძირითადად მოსკოვში გვიწევდა ყოფნა.

**— მიუხედავად ამისა, საფრანგეთის მოქალაქეობა მაინც მიიღეთ?**

— ცოლმა და შვილებმა მიიღეს, მე — არა, რადგან ეს დიდ დროს წამართმევდა: გასაუბრება და ათასი სხვა რამ იყო საჭირო.

**— არ ნანობთ, რომ ადრე ინტერვიუს არ იძლეოდით? ნუთუ გულგრილად უყურებდით იმას, რასაც თქვენზე წერდნენ?**

— რასაკვირველია, არა. რუსეთის მასმედიისგან განსხვავებით, ქართველ ჟურნალისტთა მუდმივი ყურადღების ცენტრში ვიყავი. ზოგიერთი მათგანი დასაბეჭდად იყენებდა მასალას ინტერნეტიდან, სადაც კარგა ხნის განმავლობაში განთავსებული იყო თითქოსდა ჯგუფ „მოსტის“ უსაფრთხოების სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით შედგენილი ჩემი დოსიე. ოდესღაც სერიოზულ კონკურენციას ვუწევდით „მოსტ-ბანკს“, ამიტომაც არ იყო გასაკვირი, რომ ეს დოსიე „როსიისკი კრედიტსა“ და პირადად ჩემზე ათასგვარ სისულელეს შეიცავდა, თანაც ეს ყველაფერი კრიმინალური ჟარგონის გამოყენებით იწერებოდა. დოსიე იმდენად არასერიოზული იყო, რომ იგი რუსეთის არც ერთ გაზეთს არ გამოუყენებია. შევარდნაძის დროს ქართველი ჟურნალისტები განურჩევლად ლანძღავდნენ ყველას და მათ შორის მეც, ამიტომაც მათ სტატიებს ყურადღებას არ ვაქცევდი. ახალი ხელისუფლების მოსვლიდან ერთ წელიწადში ჩემ შესახებ წერილების გამოქვეყნება განახლდა და სწორედ მაშინ პირველად მოვახდინე მათზე რეაგირება: შარშან, ნოემბერში, ჩემს სამსახურებს დავავალე გაეგოთ, რას წარმოადგენდნენ იმ ინტერნეტ-საიტის მფლობელები, სადაც ეს დოსიე იყო

12 gv.

11 gv.

განთავსებული. პირველწყაროს მფლობელებმა — გამოძიების ფედერალურმა სააგენტომ — ამოიღო დოსიე და ბოდიშიც მოიხადა.

**— ანუ, რაც იქ წერია, სიმართლე არ არის?**

— იმ დოსიეს მთავარი „სენსაცია" ის არის, თითქოს მე ოთარ კვანტრიშვილთან ვიყავი დაკავშირებული, ყალბი ავიზოებით და მსგავსი ერთობლივი საქმიანობით ვიყავით დაკავებული. ეს სრული ბოდვაა. 90-იანი წლების დასაწყისში, როცა ბანკების უმრავლესობა, მათ შორის სახელმწიფო ბანკებიც, წალეკა ყალბმა ავიზოებმა (რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათობით მილიარდი დოლარი მოიპარეს), დიდი ძალისხმევის ფასად მოვახერხე, რომ „როსიისკი კრედიტი" გამყალბებელთა საქმიანობას წინ აღდგომოდა. ჩემი ბანკი აღმოჩნდა ერთადერთი, რომელსაც არც ერთი ავიზო არ გაუტარებია.

კვანტრიშვილის, ბენდუქიძის, მაღრაძის, სელიაშვილის გუნდთან ჩემი დაკავშირება ასეთივე ბოდვაა. არც ერთ მათგანს არ ვიცნობდი. ქართველ ჟურნალისტებს, რომლებსაც დღემდე მოსვენებას არ აძლევთ კვანტრიშვილთან ჩემი ურთიერთობის ეჭვი, შეეძლოთ ჩაეტარებინათ არც ისე რთული ჟურნალისტური გამოძიება, დაეწყოთ თუნდაც კვანტრიშვილის ცნობილი ახლობლებისგან. არც საქართველოში, არც რუსეთში პრობლემას არ წარმოადგენს კვანტრიშვილის ნათესავების, მეგობრების, „როსიისკი კრედიტის" თანამშრომელთა მოძებნა. დაე, იპოვონ თუნდაც ერთი მოწმე ან მტკიცებულება, რომ პირადად მე ან ჩემს სტრუქტურებს კვანტრიშვილთან იოტისოდენა შეხება მაინც გვქონია! არიან ისეთი ქართველი ჟურნალისტები, რომლებიც ჩემზე საუბრისას იყენებენ ასეთ გამოთქმას — „ვინმე ივანიშვილი", სხვები წერენ, რომ მე „საორიენტაციოდ" თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დავამთავრე, ზოგიერთი ჩემი გვარის ხსენებისას სხვის ფოტოებს ბეჭდავს. ჟურნალისტთა სხვა კატეგორია იმ ბიზნეს-ცენტრს, რომელსაც თბილისში ვაშენებ, საროსკიპოს უწოდებენ. რა აერთიანებთ მათ? ყველანი თითქოს უაღრესად აღშფოთებული არიან, რომ ჩემზე ინფორმაციის მოპოვება უჭირთ. ეს ხომ მზაკვრობაა. ქართველზე, რომელიც დაიბადა საქართველოში, რომელსაც მშობლები, უამრავი ნათესავი და მეგობარი ჰყავს, აბსოლუტურად ყველაფრის გაგება შეიძლება, თანაც უსწრაფესად. არასოდეს მიმიმართავს სასამართლოსთვის ჩემი ღირსებისა და პატივის დასაცავად, რადგან არასოდეს დამიკარგავს არც ერთი, ყოველთვის სინდისის კარნახით ვცხოვრობდი.

## „არმირებული შლანგების გამოშვება მინდოდა"

**— რომელი ქვეყნის მოქალაქე ხართ?**

— რუსეთისა და საქართველოსი.

**— ახლა სად ცხოვრობთ?**

— მომენატრა საქართველო და ერთი წლის წინ ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადავედი იმ სოფელში, სადაც ბავშვობა გავატარე. ოჯახი ჩემთვის უპირველესია. მამაჩემი ახლახან გარდაიცვალა, დედა ხანშიშესულია, მომინდა მის გვერდით ყოფნა. ახალი საცხოვრებელი იმ სახლის გვერდით ავაშენე, სადაც მშობლებთან ერთად ვცხოვრობდი. ვფიქრობ, იქ კარგა ხნით დავსახლდი.

**— გვიამბეთ, რას საქმიანობდით, ვიდრე „როსკრედიტს" დააფუძნებდით?**



— მე ქალაქ ჭიათურის ახლოს, სოფელ ჭორვილაში დავიბადე. მამაჩემი მეშახტედ მუშაობდა „ჭიათურმარგანეცში", რომელიც, სხვათაა შორის, ახლახან რუსულმა „ევრაზჰოლდინგმა" იყიდა. სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში წავედი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე ვსწავლობდი, იმავდროულად კამოს სახელობის სამსხმელო-მექანიკურ ქარხანაში ვმუშაობდი დამლაგებლად, დამხმარე მუშად, შემდგომში კი — მხეხავად. უნივერსიტეტი წარმატებით დავამთავრე და სამუშაოდ იმავე ქარხანაში დავრჩი, ოღონდ — ჯერ უფროს ინჟინრად, შემდეგ კი შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ლაბორატორიის უფროსად. 1982 წელს მოსკოვში გავემგზავრე შრომის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირატურაში სასწავლებლად, რამდენიმე წლის შემდეგ დავიცავი დისერტაცია სპეციალობით „შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და ეკონომიკა". თბილისში სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ადგილობრივ განყოფილებაში დავბრუნდი. და მალევე ჩემი პირველი ბიზნესის ორგანიზება დავიწყე.

**— როგორ გაგიჩნდათ ბიზნესის იდეა?**

— რას წარმოადგენდა 80-იანი წლების ბოლოს უფროსი მეცნიერ-მუშაკი? არც საინტერესო სამუშაო იყო და არც პერსპექტივას უჩანდა პირი. ბინა არ მქონდა, არც ოჯახი, სამსხმელო-მექანიკური ქარხნის საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი. რასაკვირველია, მაშინ აზრადაც არ მომსვლია, რომ ბანკს დავაარსებდი და მილიარდერი გავხდებოდი. უბრალოდ, მქონდა სურვილი, ფული მეშოვა. გადავწყვიტე, გამომეშვა იმ დროისთვის დეფიციტური არმირებული შლანგები. დავარეგისტრირე კოოპერატივი, კამოს სახელობის ქარხანაში შენობა იჯარით ავიღე და წარმოებისთვის მზადებას შევუდექი. საღამოობით თავად ვჩარხავდი საჭირო დეტალებს, მაგრამ შლანგების გამოშვებამდე საქმე არ მისულა — კომპიუტერებით ვაჭრობას მოვკიდე ხელი.

**— რატომ მაინცდამაინც კომპიუტერები?**

— ვაანალიზებდი, სავაჭრო სფეროში რა იქნებოდა წარმატების მომტანი და დავასკვენი — მომავალი კომპიუტერებს ეკუთვნოდა. მათზე მოთხოვნილება დიდი იყო, მაგრამ შოვნა ჭირდა.

დავუკავშირდი საზღვარგარეთ წასულ ნაცნობ თბილისელ ებრაელებს, რომლებსაც გაუხარდათ ბიზნესის წამოწყება. კომპიუტერების გამოგზავნა დაიწყეს, პირველმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ იყიდა; მაგრამ საქართველოს პროკურატურას არ მოეწონა ჩემი აქტიურობა, ის, რომ პირველივე გარიგებით ჩემი კოოპერატივის ანგარიშზე ერთ მილიონ რუბლზე მეტი ჩაირიცხა და პროკურატურამ ჩემს ანგარიშებს ყადაღა დაადო. მივხვდი, აქ გასაქანს არ მომცემდნენ და მოსკოვში გადაბარგება გადავწყვიტე.

ჯერ კიდევ ასპირანტურაში სწავლისას გავიცანი ვიტალი მალკინი, რომელიც მაშინ მოსკოვის რკინიგზის ინსტიტუტის ასპირანტი იყო. ერთ სტუდენტს მე მათემატიკაში ვუწევდი რეპეტიტორობას, ვიტალი — ფიზიკაში. როცა მოსკოვში დავბრუნდი, მალკინი უკვე ჩართული იყო ბიზნესში — რაღაცის გადაყიდვით იყო დაკავებული, კაფეს გახსნას ცდილობდა, მაგრამ მე ორგანიზებული ბიზნესი — კომპიუტერებით ვაჭრობა შევთავაზე.

მალკინს რკინიგზის ინსტიტუტიდან ჰყავდა მეგობრები — დოცენტი სერგეი მოსინი და ალექსანდრ ბრიანცევი. ისინი ნარო-ფომინსკში სათბურებს აშენებდნენ, მათ კოოპერატივი „აგროპროგრესი" ჰქონდათ. ახალი კოოპერატივის დარეგისტრირებაზე დრო რომ არ დახარჯულიყო, „აგროპროგრესის" მეშვეობით ვვაჭრობდით. ყველას თანაბარი წილი გვქონდა. ეს იყო 1988 წელი. ულიფტო შენობაში, მეხუთე სართულზე, სამოთახიან ბინაში ერთი ოთახი ვიქირავეთ — ეს იყო ჩვენი ოფისიც და საწყობიც. სრული სვლით მიიწევდა ბიზნესი წინ, რომელიც იმ დროს სხვანაირად ეწყობოდა: ბევრი რამ ნდობას ეფუძნებოდა, დიდ თანხას წინასწარ ვრიცხავდით. შემდგომში ვაჭრობა დავიწყეთ აგრეთვე ქსეროქსებით, მაგნიტოფონებითა და ტელეფონებით.

იმდროინდელ მოსკოვში უამრავი უცხოელი ცხოვრობდა, რომლებიც ათასნაირ საქონელს გვთავაზობდნენ, პირადად ჩემთან ჯგროდ, ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ, მაგრამ ვხედავდი, რომ ყველანი თაღლითები იყვნენ. ამიტომაც ჩვენვე წავედით საზღვარგარეთ პარტნიორების მოსაძებნად. შევიტყვეთ, რომ პარიზში მიმდინარეობდა მაღალტექნოლოგიური პროდუქციის გამოფენა. სწორედ იქ დავეკონტაქტეთ ჰონკონგის ერთ-ერთ ფირმას და მათთან გავემგზავრეთ — გარწმუნებთ, ჩვენ ვიყავით პირველი ბიზნესმენები რუსეთიდან, რომლებიც ჰონკონგში ჩავიდნენ. მათთან გავაფორმეთ ჩვენი პირველი დიდი კონტრაქტი. ტექნიკას მთლიანად ჩინეთში ამზადებდნენ, გავრისკეთ და ჩინეთში ღილაკებიანი ტელეფონებისა და კასეტიანი მაგნიტოფონების ფაბრიკა შევიძინეთ. 1990 წელს ჩვენი კომპანია ერთ-ერთი უდიდესი იყო ელექტრონული ტექნიკით ვაჭრობის დარგში, თუმცა სხვებიც მიხვდნენ, რომ ეს მომგებიანი ბიზნესი იყო და ამიტომაც გადავწყვიტეთ, სხვა საქმე წამოგვეწყო. სწორედ იმ პერიოდში გაჩნდა პირველი კერძო ბანკები, 1990 წელს „როსიისკი კრედიტი" დავარეგისტრირეთ.

**— ელექტრონული ტექნიკით ვაჭრობის გარდა, სხვა ბიზნესიც გქონდათ? ბანკის შექმნისას რა კაპიტალი დააგროვეთ?**

— სხვა ბიზნესი არ გვქონია. „როსიისკი კრედიტის" გახსნისას 100-120 ათასი დოლარი გვქონდა. ეს დიდი ფული იყო, ამით რამდენიმე ბანკის გახსნა შეიძლებოდა. ბრიანცევი ამ საქმეში არ გამოგვყვა, გვითხრა, უამისოდაც მდიდარი ვარო და სათბურების მშენებლობა განაგრძო. მე, მალკინმა და მოსინმა წილი თანაბრად გავინაწილეთ. შემდგომში მოსინის წილი გამოვისყიდე და ამგვარად, მე ბანკის 67 პროცენტი მეკუთვნოდა, მალკინს — 33 პროცენტი.

**— რა წილი აქვს ახლა მალკინს ბანკსა და სამრეწველო საწარმოებში?**

— მან თავისი წილი ორივე ბანკში შეინარჩუნა, ზოგიერთ სამრეწველო ობიექტში მისი წილი კი ახლახან გამოვისყიდე.

## „ჩვენ, უბრალოდ, იმას ვაკეთებდით, რასაც სხვები არ აკეთებდნენ"

**— გვიამბეთ, როგორ დაიწყეთ საბანკო ბიზნესი, როგორ მოახერხა „როსიისკი კრედიტმა", ლიდერებში მოხვედრილიყო?**

— ბანკის პირველი ოფისი საბავშვო ბაღის შენობაში განვათავსეთ და დღეღამეში 24-ივე საათი ვმუშაობდით. ვიდრე ბანკში ასამდე თანამშრომელი იყო, ნებისმიერ, თუნდაც უმნიშვნელო გადაწყვეტილებას პირადად მე ვიღებდი. მაშინ კრედიტი ყოველგვარი უზრუნველყოფის გარეშე გაიცემოდა, შესაძლებელი იყო, იგი არ დაებრუნებინათ, ამიტომაც თვითონ უნდა გადამეწყვიტა, ვისთვის მიგვეცა კრედიტი და ვისთვის — არა. ჩვენ, უბრალოდ, იმას ვაკეთებ-

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# `ar megona, rom mi l iarderi gavxdebodi~

დით, რასაც სხვები არ აკეთებდნენ. ნაღდი ფულის (ვალუტის) გაყიდვის მოცულობის თვალსაზრისით პირველები ვიყავით: ჩვენ, მაგალითად, საგანგებოდ ვუკვეთავდით დოლარის ახალ კუპიურებს, ვხსნიდით ვალუტის საცალო გაყიდვის საბითუმო ცენტრებს.

საერთოდაც, მაშინ ბევრ რამეს ინტუიცია წყვეტდა. მაშინვე მივხვდი, რომ ფსონი ფილიალების ქსელზე უნდა დაგვედო. საამისოდ უნდა მოგვეგვარებინა ორი საკვანძო პრობლემა — მოგვეძებნა შენობა და კადრები. ერთხელ, მთელი ღამის განმავლობაში ვფიქრობდი ამის შესახებ, დილით კი მზად მქონდა გადაწყვეტილება. ჩვენ მივდიოდით საწარმოების, ინსტიტუტების დირექტორებთან და ვთანხმდებოდით — ისინი გამოგვიყოფდნენ შენობას, ჩვენ კი მათ ორგანიზაციებს ბანკის მეწილეობას ვთავაზობდით (2-2 პროცენტს ვაძლევდით), შემდგომში ისინი ჩვენი კლიენტები ხდებოდნენ. მე დავაარსე პირველი საბანკო კოლეჯი რუსეთში, რომელიც ჩვენი ბანკის მომავალ თანამშრომლებს ამზადებდა. პირველ ეტაპზე ლექციებსაც თავად ვკითხულობდი. თუმცა ყველაზე მთავარი, რითაც ვამაყობ, ის არის, რომ ბანკში შევქმენით უნიკალური კორპორაციული სულისკვეთება, მაშინდელ თანამშრომელთა უმრავლესობა დღესაც ბანკში მუშაობს.

**— თქვენ პერიოდულად მიემგზავრებოდით ქვეყნიდან, ბოლო წელიწად-ნახევარი კი მუდმივად ცხოვრობთ საქართველოში. როგორ მართავთ ბიზნესს, რა საკითხებს წყვეტთ პირადად თქვენ?**

— „როსიისკი კრედიტის“ შექმნის დღიდან მოყოლებული დღევანდლამდე, მე ერთდროულად მისი აქციონერიც ვარ და ტოპ-მენეჯერიც, რუსეთში სხვანაირად არ შეიძლება. ბანკი დავაარსე თუ არა, პირველი 4 წელიწადი პირადად ვაკონტროლებდი ყველაფერს, რაც იქ ხდებოდა. როცა ბიზნესი გაფართოვდა, მართვის კოლეგიალური სტილი დავნერგე. ახლა, უმეტესწილად, სტრატეგიული საკითხების მოგვარებაზე ვარ კონცენტრირებული, მაგრამ ვიცი ყველაფერი, თუ რა ხდება ბიზნესის ყველა მიმართულებით. ახლაც კი, სადაც უნდა ვიმყოფებოდე, ყოველდღიურად სულ ცოტა 4 საათს სამუშაო საკითხების მოგვარებას ვანდომებ.

**— რა ფუნქციები ჰქონდა მალკინს?**

— იგი წარმომადგენლობით ფუნქციებს ასრულებდა: წარმოადგენდა ბანკს სახელმწიფო სტრუქტურებში, ჩემ მაგივრად დადიოდა ფორმალურ შეხვედრებზე, არაფორმალურ ღონისძიებებზე. იგი არასოდეს წყვეტდა, ფორსირებულად ბიზნესის რა მიმართულება უნდა განვითარებულიყო, რაზე გვეთქვა უარი, რა გვეყიდა, რა გაგვეყიდა, როგორ შეგვერჩია კადრები და რანაირად გვემართა იგი. ეს ჩემი გასაკეთებელი იყო, ვიტალიმ თვითონაც იცოდა, რომ ამ საკითხებში კომპეტენტური არ იყო.

ორივემ ერთად დავიწყეთ ბიზნესი, მაშინ არავინ იცოდა, რა შეეძლო მას. ვიტალი ჩემი მეგობარია, მას არასოდეს უღალატია ჩემთვის, ამიტომაც იგი კვლავაც ჩემი პარტნიორია, მე კი მოხარული ვარ, რომ მეგობარი მდიდარ კაცად ვაქციე.

**— ვასილი ანისიმოვს, რომელსაც „როსიისკი კრედიტში“ ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა ეკავა, ბანკში წილი ჰქონდა?**

— ანისიმოვის კუთვნილი ქარხნები მსხვილი კლიენტები იყვნენ ბანკისა, მაგრამ იგი მისი მესაკუთრე არასოდეს ყოფილა. მე პარტნიორები მყავდა სამრეწველო საწარმოებში, ბანკში კი, თუ არ ჩავთვლით მათ, ვინც შენობის სანაცვლოდ წილი მიიღო, თანამფლობელი მხოლოდ მალკინი გახლდათ. თითოეულ მსვილ კლიენტს მეწილეობა სურდა, მაგრამ ყველას უარით ვისტუმრებდი. საერთოდ, ვცდილობ, პარტნიორობას თავი ავარიდო. ჩემთვის პარტნიორი ძალზედ სერიოზული საკითხია, თანაც არსებობს რისკი, რომ პარტნიორი მოგატყუებს.

**— როცა თქვენ ბიზნესს იწყებდით, ნებისმიერი სტრუქტურა, რომელიც ფულს შოულობდა, ბანდიტების ყურადღებას იპყრობდა. თქვენ თუ გადაწყდომიხართ მსგავს პრობლემებს?**



— ჩვენ მეტისმეტად ადრე დავიწყეთ კომპიუტერების ბიზნესი, რეკეტირები იმ დროს თვლემდნენ და ის მომენტი უბრალოდ გამორჩათ. ბანკში კი მართლაც გვქონდა მსგავსი პრობლემები. ერთი რამ შესანიშნავად ვიცი: საკმარისია, ერთხელ გაურიგდე მათ (ბანდიტებს) და სამუდამოდ დაუკავშირდები. გავუძელი და სხვათა შორის, ჩემი მთავარი დამსახურებაა, რომ ჩემს ბიზნესში არ შემომიშვია არავინ, ვინც ბანდიტად მიაჩნიათ. მოგვიანებით ვთანამშრომლობდი სამართალდამცავ სტრუქტურებთან. 1993 წელს, რუსეთის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს (**ÐÓÁÎ Ï**) ხელმძღვანელის ვლადიმირ რუშაილოს თანადგომით (იგი ჩემი ძმის პოვნაში დამეხმარა), ამ სამმართველოში ჩემი ინიციატივით შეიქმნა სტრუქტურა, რომელსაც ჩემი ბანკი, მოგვიანებით კი ბევრი სხვა კომერციული სტრუქტურაც აფინანსებდა. საკმარისი იყო დაგვერეკა, რომ მისი თანამშრომლები უმალ ადგილზე მოსულიყვნენ. ეს სტრუქტურა დიდი ხნის განმავლობაში ეფექტიანად მუშაობდა. 1997 წელს კრედიტების დაუბრუნებლობის პრობლემას გადავაწყდით; იმის ნაცვლად, რომ დაგვხმარებოდნენ, ამ სამმართველოს თანამშრომლები ჩვენი მევალეებისგან ქრთამს იღებდნენ. ამის გამო ამ სტრუქტურის მაშინდელ ხელმძღვანელს ალექსანდრ კაჩურას ვუთხარი, რომ თანამშრომლობას ვწყვეტდი.

**— მაგრამ იმ დროს ხომ შეუძლებელი იყო ბიზნესის წარმართვა, თუკი სახელმწიფო მოხელეებსა და იმავე ბანდიტებს შორის „კრიშა“ არ გექნებოდათ?**

— შესაძლებელი კი იყო, მაგრამ იმავდროულად — რთულიც. ჩვენი ბანკი არასოდეს მოიაზრებოდა ეგრეთ წოდებულ „ბლატიან“ ბანკებს შორის. გადარიცხვების რაოდენობით „როსიისკი კრედიტი“ რუსეთის შემნახველ ბანკსაც კი აჭარბებდა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენი ძირითადი საყრდენი წვრილი და საშუალო კლიენტურა იყო. სახელმწიფო მოხელეთაამფარველობითაც არასდროს მისარგებლია.

**— ერთმა სახელმწიფო მოხელემ მაინც მოუტანა სარგებელი თქვენს ბანკს. როცა ევგენი ბიჩკოვი „როსკომძრაგმეტს“** (ძვირფასი ლითონებისა და ქვების რუსეთის კომიტეტი — მთარგმ.) **ხელმძღვანელობდა, „როსკრედიტმა“ მოახერხა, ოქროს ბაზარზე მსხვილი მოთამაშე გამხდარიყო, მოგვიანებით კი ბიჩკოვი ბანკის ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა.**

— ბანკთან ბიჩკოვის კავშირს შესაბამისი სახელმწიფო უწყება ამოწმებდა და ვერ მოძებნა ვერანაირი დარღვევა, რაც მას, როგორც ჩინოვნიკს, შეეძლო მოსვლოდა. ბიჩკოვი ბანკისთვის სასარგებლო მხოლოდ იმით აღმოჩნდა, რომ ორიოდე კლიენტი შესძინა მას.

**— „როსიისკი კრედიტი“ და „მეტალოინვესტი“ ბევრ მრავალპროფილიან აქტივს ფლობდა. რომელი ბიზნესი აღმოჩნდა ყველაზე უფრო მომგებიანი?**

— რენტაბელობით — სტოილენსკის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი, ჩადებული კაპიტალის უკუგებით — ქარხანა „კაუჩუკი“. მისი აქციები 1991 წელს 150 ათას დოლარად ვიყიდეთ, მისი გაყიდვით კი სულ ცოტა 500 მილიონ დოლარს მივიღებთ. ქარხანა მდებარეობს მოსკოვის ცენტრში დიდ ტერიტორიაზე, სადაც სულ მალე დიდი მშენებლობა გაჩაღდება.

**— როდის და რა პრინციპით ყიდულობდით სამრეწველო საწარმოებს?**

— დაიწყო პრივატიზაცია, ბანკს ფული ჰქონდა, პირადად ვეცნობოდი გასაყიდად გამოტანილ საწარმოთა სიას, ვაფასებდი მათ მაჩვენებლებს, პერსპექტივას. არჩევანის დრო მქონდა ერთადერთი შეზღუდვა: არასოდეს ვაცხადებდი პრეტენზიას ისეთ აქტივებზე, რომლის გამოც, შესაძლოა, კრიმინალური ომი გაჩაღებული და ამით საკუთარი და ჩემი თანამშრომლების სიცოცხლისთვის საფრთხე შემექმნა. ამიტომაც ბანკი ნავთობის, ალუმინის და ფოლადსასხმელ საწარმოებს არ ყიდულობდა.

**— „როსიისკი კრედიტი“ გირავნობის ბევრ აუქციონში იღებდა მონაწილეობას, მაგრამ არასოდეს გაუმარჯვია. რატომ?**

— ბანკს გირავნობის აუქციონებში განცხადება იმიტომ კი არ შეჰქონდა, რომ გასაყიდ აქტივებზე კონტროლი მოეპოვებინა, არამედ იმისთვის, რომ აუქციონები ჩაეშალა. ჩვენ რომ მოგვეგო, აქციებს სახელმწიფოს დავუბრუნებდით. მაშინ კომუნისტები პრივატიზაციას უტევდნენ, გირავნობის აუქციონები მათ მნიშვნელოვან „კოზირს“ აძლევდა, არსებობდა რისკი, რომ ისინი მთლიანად პრივატიზაციის პროცესს ჩაშლიდნენ. პრივატიზაციის კანონები ხომ ნაჩქარევად იწერებოდა, არასრულყოფილი იყო, ხოლო გირავნობის აუქციონზე ქონების გაყიდვა სულაც უკანონობა იყო.

**— ანუ თქვენ პრივატიზაციის გადარჩენას ცდილობდით?**

— არა მარტო ამას. გირავნობის აუქციონები ბაზარზე არსებული ძალების ბალანსს არღვევდა და გამარჯვებულები ჩემთან შედარებით უკანონო უპირატესობით სარგებლობდნენ. რასაკვირველია, მინდოდა ამისთვის ხელი შემეშალა. ხმაურს ვტეხდი, რომ ჩემი პოზიცია მთავრობის, პრეზიდენტის ყურამდე მისულიყო, მაგრამ სერიოზული მტრები შევიძინე მხოლოდ. იმ დროს მიმდინარე სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში კრახი განიცადა მოძრაობამ „ნაშ დომ — რასია“, რომლის ლიდერიც მაშინდელი პრემიერი ვიქტორ ჩერნომირდინი გახლდათ. ამან ელცინის კრიტიკა გამოიწვია და როგორც იმდროინდელი მინისტრთა კაბინეტის ერთ-ერთი წევრი მიყვებოდა, ჩერნომირდინი თავს იმართლებდა და არჩევნებში დამარცხების მიზეზად გირავნობის აუქციონების წინააღმდეგ ჩვენს გამოსვლებსა და მასმედიაში ატეხილ ხმაურს ასახელებდა. მართალია, არ შემიძლია, ვამტკიცო, რომ არსებობდა ჩერნომირდინის პირდაპირი მითითება, მაგრამ ერთი კვირის განმავლობაში, თითქმის ერთდროულად (ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია შემორჩენილი მაქვს), მოგვაკითხა რუსეთში არსებულმა ყველა მაკონტროლებელმა სტრუქტურამ: სავალუტო კონტროლმა, რაიონისა და ქალაქის საგადასახადო ინსპექციებმა, საგადასახადო პოლიციამ, საფინანსო კონტროლმა, ცენტრალურმა ბანკმა. და ეს ყველაფერი არჩევნების დამთავრებამდე მოხდა. ყველაზე მეტად საგადასახადო პოლიცია აქტიურობდა — ბანკს ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ამოწმებდა, მაგრამ არანაირი დარღვევა არ უპოვია. ამიტომაც საგადასახადო პოლიცია ცდილობდა, ზემოქმედება მოეხდინა საერთაშორისო აუდიტორზე (**Arthur Andersen**) და მათგან ბანკის შესახებ დოკუმენტები მოეპოვებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთში მუშაობის აკრძალვით ემუქრებოდა. საგადასახადო პოლიციის მაშინდელ უფროსს (სერგეი) ალმაზოვს მაშინვე დავურეკე. ჩვენ შევხვდით ერთმანეთს და არასდროს დამავიწყდება ის საუბარი. ვცდილობდი, გა-

14 gv.

13 gv.

# `ar megona, rom miliarderi gavxdebodi~

მეგო, რატომ ხულიგნობენ მისი თანამშრომლები, ბანკი ხომ ისედაც ყველანაირ დოკუმენტს აძლევდა, მან კი მიპასუხა: „ყველაფერი კარგად გექნებათ, ოღონდ მითხარი, როგორ ახერხებ ჩემი თანამშრომლების მოსყიდვას? უკვე მესამედ ვცვლი ჩემს საუკეთესო პერსონალს, რომლებიც შენ გამოწმებენ, და ვერანაირ შედეგს ვერ მიაღწიეს“. გამიკვირდა, თავიდან ვერც მივხვდი, რას გულისხმობდა. განმიმარტა: „როგორ ახერხებ მათ გადაბირებას და მათთან გარიგებას?“ ვუპასუხე: „ღმერთმა დამიფაროს! საგადასახადო პოლიციასთან არასდროს მილაპარაკია და არც მომავალში ვაპირებ ამას. ძალიან კარგად მესმის, რომ ეს ყველაფერი თქვენ შეგიკვეთეს!“ მან, რასაკვირველია, არ აღიარა, დაკვეთა რომ ჰქონდა. ასე დავშორდით ერთმანეთს.

**— ძნელი დასაჯერებელია, რომ თქვენ იდეური მოსაზრებების გამო ყველაზე მსხვილ გარიგებებში არ მონაწილეობდით...**

— მიუხედავად ამისა, ასეა. მაგალითად, გირავნობის აუქციონების შემდეგ ერთ წელიწადში ტიუმენის ნავთობკომბინატის (ÒÍ Ê) სახელმწიფო პაკეტი იყიდებოდა. პაკეტის ნახევარზე პრეტენზიას აცხადებდა მიხაილ ფრიდმანი და გერმან ხანი, ვიქტორ ვექსელბერგმა შემომთავაზა, მეორე ნახევარი ერთად გვეყიდა. დავთანხმდი და მასთან ერთად აუქციონისთვის ორი თვის განმავლობაში ვემზადებოდი; მაგრამ ნავთობკომბინატის დირექტორმა ვიქტორ პალიიმ ამ აუქციონის მიზანშეწონილობის გამო ხმაური ატეხა და სულ ბოლო მომენტში მასში მონაწილეობაზე უარი განვაცხადე.

**— ვექსელბერგმა და „ალფა-ჯგუფმა“ ტიუმენის ნავთობკომბინატის მეშვეობით დიდი ფული იშოვეს. არ ნანობთ, რომ მის ყიდვაზე უარი განაცხადეთ?**

— არ შემეძლო, მონაწილეობა მიმეღო ისეთ გარიგებაში, რომლის კანონიერებაში იოტისოდენა ეჭვი მეპარებოდა. მოგიტანთ კიდევ ერთ მაგალითს: საინვესტიციო კონკურსზე ჩემს პარტნიორებთან ერთად მიხაილოვსკის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის 20 პროცენტი შევიძინე. სულ მალე საინვესტიციო პროგრამაში აღმოჩნდა უზუსტო გათვლები, კანონმდებლობა კი პროგრამის შეცვლის უფლებას არ იძლეოდა და მისი თვითნებურად შეცვლა არც ჩვენ გვიცდია. ამიტომაც აქციები სახელმწიფოს დავუბრუნეთ. გარწმუნებთ, სახელმწიფო საკუთრებაში აქციების ნებაყოფლობითი დაბრუნების სხვა შემთხვევას ვერ იპოვით. მხოლოდ წელიწადნახევრის შემდეგ მოვახერხეთ და ფულის აუქციონზე ამ კომბინატის აქციები ხელახლა გამოვისყიდეთ. მე სრულიად განსხვავებული ტაქტიკა მქონდა: ვყიდულობდი ისეთ აქტივებს, რომლისთვისაც ბრძოლა არ იყო საჭირო, რომელსაც სათანადოდ არ აფასებდნენ ან საერთოდაც წამგებიანი იყო. ყველანი ფოლადსამსხმელო საწარმოებისთვის იბრძოდნენ, ნედლეულის მიმწოდებლები კი არავის აინტერესებდა; მაშინ ვიყიდე მიხაილოვსკის, სტოილენსკის, ლებედინსკის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატები.

**— სამთო-გამამდიდრებელი კომბინატები ახლა ფოლადსამსხმელ საწარმოებს აჭარბებენ, რენტაბელობით რომელი აღწევს 500 პროცენტამდე?**

— მართლაც იყო ასეთი რენტაბელობა, მაგრამ სამთო-გამამდიდრებელმა კომბინატებმა დიდი მოგება სამ-ოთხ წელიწადში მოიტანა. მანამდე კი ხუთი-ექვსი წელიწადი გვიხდებოდა მათი სუბსიდირება, ამ კომბინატების თანამშრომლებისთვის ხელფასიც კი მოსკოვიდან მიგვქონდა. მეტალურგები კომბინატებს კარნახობდნენ, რა ფასად შეისყიდდნენ ნედლეულს და ჩვეულებისამებრ, თვითღირებულებაზე უფრო იაფად ყიდულობდნენ. ვითარების შესაცვლელად დიდი ძალისხმევა დამჭირდა: ჩემი ინიციატივით, რუსეთის სამთო-გამამდიდრებელმა კომბინატებმა და ყაზახეთის ასეთივე საწარმომ დადეს კარტელური შეთანხმება და წარმოების მოცულობა შეამცირეს, ანუ ბაზარს ზედმეტი ნედლეული მოაცილეს და მეტალურგები მხოლოდ ამის შემდეგ გახდნენ სამთო-გამამდიდრებელ კომბინატზე დამოკიდებული.



**— თქვენ ამბობთ, რომ არასოდეს ჩნდებოდით იქ, სადაც რისკი იყო, 1997 წელს კი მაინც აღმოჩნდით ყველაზე ცხელ წერტილში — კრასნოიარსკის ალუმინის ქარხანაში.**

— ამ ქარხნის აქციები მეორად ბაზარზე ვიყიდე, თანაც ქარხნის ყველაზე მსხვილი აქციონერი არ ვყოფილვარ. ისე მოხდა, რომ კრასნოიარსკში მუშაობა ბევრად ადრე დავიწყე, ვიდრე ალუმინის ქარხანაში მოვხვდებოდი, ჯერ კიდევ 1992 წელს ბანკმა შეიძინა 30 პროცენტი კრასნოიარსკის მეტალურგიული ქარხნისა, რომელიც ალუმინის ქარხანას ესაზღვრება და სადაც ალუმინის პროდუქცია მზადდება. თუმცა იმ მომენტში ამ ქარხნით არავინ დაინტერესებულა და გაჩერებული იყო, რადგან არავინ აძლევდა მეტალს. ეს მდგომარეობა 1994 წლამდე გაგრძელდა, ვიდრე კრასნოიარსკის ალუმინის ქარხნის აქციონერებმა არ მიიღეს გადაწყვეტილება, მეტალურგიული ქარხნის ბალანსზე გადაეტანათ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ალუმინის ქარხნისა და აჩინსკის თიხამიწის კომბინატის აქციების 20 პროცენტი.

**— თქვენ ხომ არ წააშველეთ ამას ხელი?**

— მე არაფერი ვიცოდი. ალუმინის ქარხნის მესაკუთრეები ფიქრობდნენ, რომ შემდგომში ამ პაკეტებს გააკონტროლებდნენ. ისინი გაოცებულნი დარჩნენ, როცა შეიტყვეს, რომ კრასნოიარსკის მეტალურგიულ კომბინატს მსხვილი აქციონერი უკვე კარგა ხანია ჰყავს. მათ შემომთავაზეს ამ პაკეტის გაყიდვა და 1996 წელს ძალზე ძვირად გავყიდე. ერთი წლის შემდეგ ალუმინის ქარხნის აქციონერთა შორის თავი უთანხმოებამ იჩინა. ვასილი ანისიმოვი კარგად იცნობდა სამ მათგანს — ალექსანდრ კოლპაკოვს, ვლადიმირ რატნიკოვს და ოლეგ კიმს, რომლებსაც აქციების 28 პროცენტი ეკუთვნოდათ. ანისიმოვმა მითხრა, რომ კოლპაკოვი და რატნიკოვი ქარხნის აქციების 48 პროცენტის მყიდველებს ეძებდნენ, თუმცა მე და ვასილიმ მათგან აქციები მხოლოდ მას შემდეგ ვიყიდეთ, როცა მათ ანატოლი ბიკოვსა და გენადი დრუჟინინს 20 პროცენტი დაუბრუნეს და ბიკოვი დათანხმდა იმას, რომ ჩვენ ყველანი ერთად ვიმუშავებდით.

**— რატომ დანიშნეთ მაშინ ბიკოვი „როსიისკი კრედიტის“ ვიცე-პრეზიდენტად?**

— იგი არც ბანკის საბჭოს წევრი იყო, ხელფასსაც არ ღებულობდა და ბანკში არანაირ როლს არ ასრულებდა. ბანკში ყოველთვის ბევრი ვიცე-პრეზიდენტი იყო — ეს ჩემი იდეა იყო: ამ თანამდებობაზე ვნიშნავდით ბანკის კლიენტებს, მსხვილი საწარმოების ხელმძღვანელებს ან მესაკუთრეებს. ხალხს სიამოვნებდა, პრაქტიკულად კი ისინი იღებდნენ სავიზიტო ბარათებს წარწერით — „ვიცე-პრეზიდენტი“.

**— კრასნოიარსკის ალუმინის ქარხნის რამდენი პროცენტი გეკუთვნოდათ? როდის და რატომ წახვედით ქარხნიდან?**

— მე და ვასილიმ (ანისიმოვმა), ორივემ ერთად კოლპაკოვისა და ამხანაგებისგან 14 პროცენტი ვიყიდეთ. 5-5 პროცენტი **Glencore**-სგან და **Daewoo**-სგან გამოვისყიდეთ. ამგვარად, როცა ალუმინის ქარხნიდან მოვდიოდი, მე 12 პროცენტი მქონდა. ამ ქარხანაში ერთი წელიც არ ვყოფილვარ — მას შემდეგ წავედი, რაც ბიკოვსა და სხვა აქციონერებს (მხარის) გუბერნატორ ალექსანდრ ლებედთან კონფლიქტი შეექმნათ.

**— ამბობენ, რომ თქვენ ასპონსორებდით ლებედს.**

— ლებედს მაშინ დავეხმარე, როცა ყველასგან მიტოვებული პოლიტიკოსი იყო. ანატოლი ჩუბაისი ხელმძღვანელობდა ელცინის წინასაარჩევნო შტაბს, რომლის წევრებიც ლებედს სერიოზულად არ აღიქვამდნენ. მე კი ჩემს ოფისში მისი წინასაარჩევნო შტაბი განვათავსე, მის, ასე ვთქვათ, „რასკრუტკას“ ვაფინანსებდი. არჩევნებამდე ერთი თვით ადრე ყველა მიხვდა, რომ მე მართალი ვიყავი: ელცინს დაბალი რეიტინგი ჰქონდა, ლებედმა კი არჩევნებში თავისი ხმები ელცინს დაუთმო და ამით მისი გამარჯვებაც უზრუნველყო. მაშინ ჩემთვის მადლობაც კი არავის უთქვამს, ხოლო როდესაც ლებედს ხსნიდნენ (უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელის თანამდებობიდან), ყველამ გაიხსენა, რომ იგი მე მოვიყვანე (პოლიტიკაში) და გამინაპირეს (გამრიყეს). ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა პოლიტიკურ პროცესში ვმონაწილეობდი. მერე, როცა ლებედს გუბერნატორად ირჩევდნენ, ძველებურად, კადრებით კი დავეხმარე, მაგრამ უშუალოდ არ დამიფინანსებია და მასთან არც არანაირი კავშირი არ მქონია.

## „შეიძლებოდა, ყველაფერი დამეკარგა“

**— თქვენ სხვადასხვაგვარ აქტივს ყიდულობდით, თუმცა 90-იანი წლების ბოლოს თქვენი საინვესტიციო აქტივობა შემცირდა. რატომ?**

— 1998 წლის დეფოლტის შემდეგ ყველანაირი ძალისხმევა „როსიისკი კრედიტის“ პრობლემების მოგვარებას დასჭირდა. სხვათა შორის, მაშინ სახელმწიფო მოხელეებმა მოგვატყუეს. მსხვილი ბანკების მფლობელები დეფოლტის შესახებ მის გამოცხადებამდე გაგვაფრთხილეს. პირადად მე, დეფოლტის კატეგორიული წინაამდეგი ვიყავი, თუმცა ყველა მამშვიდებდა, ხოლო ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელი სერგეი დუბინინი დაგვპირდა, რომ თუ საჭირო გახდება, ბანკისთვის კრედიტს მიიღებთო. გამოცხადდა დეფოლტი და მენაბრეები თავიანთი ფულის წასაღებად ბანკებს მიაწყდნენ. სხვებივით რომ მოვქცეულიყავით, — ფული არ გაგვეცა, ჩვენი ბანკისთვის კრიზისის შედეგები ასეთი დამანგრეველი არ იქნებოდა. მიუხედავად ამისა, ჩვენ ორი კვირის განმავლობაში ყველა მსურველს პატიოსნად დავუბრუნეთ 180 მილიონი დოლარი. როცა ფული გაგვითავდა, დუბინინს თავისი დაპირება შევახსენე, მაგრამ კრედიტი არ მომცა.

**— რა შედეგები მოუტანა დეფოლტმა ბანკს? რა მოიმოქმედეთ ბანკის კრიზისიდან გამოსაყვანად?**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

— მაშინ რთული არჩევანის წინაშე აღმოვჩნდი — ან გავკოტრებულიყავი ან დამოუკიდებლად გამეტარებინა რესტრუქტურიზაციის პროცესი. ძნელი იყო ასეთი გადაწყვეტილების მიღება, თუმცა რესტრუქტურიზაცია ვარჩიე. ჩემთვის, როგორც ბანკის აქციონერისთვის, მას ეკონომიკური თვალსაზრისით, აზრი არ ჰქონდა — კარგად მესმოდა, რომ რესტრუქტურიზებული ბანკის საბაზრო ღირებულება ძალიან დაბალი იქნებოდა. პასივსა და აქტივს შორის განსხვავება დაახლოებით, ერთი მილიარდი დოლარი იყო.

პარადოქსულია, მაგრამ საფასური ყველა ჩემი აქტივისა, რომლებიც ბანკთან დაკავშირებული არ ყოფილა, იმ დროს ერთი მილიარდიც კი არ იყო. მაშინ მივიღე გადაწყვეტილება, ყველა ჩემი სამრეწველო საწარმოს — ლებედინსკის, სტოილენსკის, მიხაილოვსკის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატების, „ტულაჩერმეტის", ორლოვსკის ფოლადსაგლინავი ქარხნის, სასტუმროების აქციები ბანკის ვალების უზრუნველსაყოფად ჩამედო. ასეთი გირავნობის გარეშე, რომლის ნაწილის მოგვიანებით გამოსყიდვა მომიხდა, „როსიისკი კრედიტის" კლიენტები უკიდურესად დაზარალდებოდნენ, რასაც ჩემი ცხოვრებისეული პრინციპების გათვალისწინებით ვერ დავუშვებდი. ბევრს არ ესმოდა ჩემი — ნაცნობ ბიზნესმენებს ლამის თვითმკვლელად მივაჩნდი (*„როსიისკი კრედიტი" საკრედიტო ორგანიზაციების რესტრუქტურიზაციის სააგენტოს /[illegible]/ მმართველობაში გადავიდა. მიიღო რა ბანკის 25 პროცენტი + 1 აქცია საკუთრებაში, კიდევ 50 პროცენტი — მართვაში, სააგენტომ მას 4,5 მლრდ რუბლის საკრედიტო ხაზი გაუხსნა. იმ მომენტში „როსიისკი კრედიტის" საკრედიტო დავალიანება დაახლოებით, ერთ მილიარდს შეადგენდა. 2000 წლის აგვისტოში დამტკიცდა შეთანხმება, რომლის თანახმადაც, მეანაბრეებმა (მოთხოვნა — 1,8 მილიარდი რუბლი) ერთჯერადად 30 000 რუბლი და ბანკის ვექსილები მიიღეს, ხოლო კორპორაციულმა კლიენტებმა (მოთხოვნა — 21 მილიარდი რუბლი) — მოთხოვნის 10 პროცენტამდე ფულის სახით და ბანკის ვექსელები, რომლებიც ათ წელიწადში იყო დასაფარი. 2003 წლის ივნისში ბანკმა ფიზიკური პირების მიმართ არსებული ვალდებულებების 90 პროცენტი დაფარა. 2003 წლის ნოემბერში „როსიისკი კრედიტის" კაპიტალი კვლავ დადებითი გახდა. რესტრუქტურიზაციის სააგენტოს წარმომადგენელთა თქმით, ეს ყველაფერი დამატებითი ემისიის მიმდინარეობისას ბანკის კაპიტალში ვალების კონვერტაციის შედეგად მოხერხდა. — [illegible]*)

**— რა აქტივები გაყიდეთ კრედიტორების გასასტუმრებლად?**

— პაკეტები, რომლებითაც ლებედინსკის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის გაკონტროლება შეიძლებოდა, ორლოვის ფოლადსაგლინავი ქარხანა, „ტულაჩერმეტი". ვყიდდი იმას, რაზეც ყველაზე დიდი მოთხოვნილება იყო. სხვათაშორის, მიხაილოვსკის კომბინატის აქციები მაშინ არავის სჭირდებოდა, იმ დროს მათში 50 მილიონ დოლარსაც კი არავინ გადაიხდიდა. სულ ბანკის აქციონერებმა კრედიტორებს დაახლოებით, 450 მილიონი დოლარი გადაუხადეს — ამ თანხაში შედის აქციების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი და „არკოს" კრედიტები, რომლებიც ჩვენ მოგვიანებით საკუთარი ბიზნესის მეშვეობით დავფარეთ. სხვათა შორის, მაშინ რომ შემენარჩუნებინა და ახლა გამეყიდა, კიდევ 3 მილიარდს მივიღებდი.

შეიძლებოდა, ყველაფერი დამეკარგა. ქვეყანაში ეკონომიკის აღმასვლა კიდევ ნახევარი წლით რომ შეფერხებულიყო, იძულებული გავხდებოდი, ჩადებული ქონება გამეყიდა და არაფერი შემრჩებოდა. შარშან ბანკის რესტრუქტურიზაცია დასრულდა. დარწმუნებული ვარ, ამით არა მარტო „როსკრედიტისა" და მისი აქციონერების პრესტიჟი, არამედ მთლიანად რუსეთის საბანკო სისტემისადმი ნდობა ამაღლდა. უცხოელი ბანკირები გაფაციცებული აკვირდებოდნენ რუსეთში სიტუაციას, ხოლო ჩვენი ბანკის რესტრუქტურიზაციამ ყველას დაანახა, რომ მსგავსი პრობლემის ცივილიზებულად მოგვარების მაგალითები რუსეთში შესაძლებელი იყო.

**— დღეს ხომ არ ნანობთ, რომ ასეთი რესტრუქტურიზაცია გადაწყვიტეთ?**

— ვამაყობ, რომ ასე მოვიქეცი. შევინარჩუნე ჩემ მიერ შექმნილი ბანკი. „როსკრედიტის" რესტრუქტურიზაცია ერთადერთი შემთხვევაა მსოფლიო პრაქტიკაში, როცა მთავრობის მიზეზით წარმოქმნილი ვალები კერძო კომპანიამ გაისტუმრა. თუმცა, რასაკვირველია, ოდნავ გულსატკენია, რომ ძალიან ცოტამ დააფასა ის, რისი გაკეთებაც მაშინ მომიწია.



**— რა გაკავშირებდათ ბიზნესმენ არკადი გაიდამაკთან, რომელმაც 2000 წელს „როსიისკი კრედიტის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა დაიკავა? გქონდათ თუ არა ერთობლივი პროექტები? ამბობენ, რომ რომ მას სურდა, თქვენთან ერთად ორლოვის ფოლადსაგლინავი ქარხანა ეყიდა.**

— გაიდამაკი 1991 წელს გავიცანი. მას რუსეთში ქონების ყიდვა უნდოდა, მასთან, ისევე როგორც ათას სხვა მეწარმესთან ერთად, შესაძლო ერთობლივ ინვესტიციებზე ვმსჯელობდი. მას მართლაც სურდა, ორლოვის ფოლადსაგლინავი ქარხნის აქციების ყიდვა, მაგრამ საბოლოოდ, ფული არ გაიღო. მასთან არანაირი ერთობლივი ბიზნესი არ მქონია. სამაგიეროდ, მისი წყალობით, უძრავი ქონებით დავკავდი. 1992-1993 წლებში გაიდამაკმა „მინსკისა" და „ცენტრალნაიას" აქციების უზრუნველყოფით, ბანკიდან გამოიტანა კრედიტები, რომლებიც არ დაუბრუნებია.

**— და მაინც — იყო თუ არა გაიდამაკი „როსიისკი კრედიტის" აქციონერი? 2000 წელს ბანკში ამბობდნენ, რომ იგი აქციონერია.**

— ჩვენი ნაცნობობის პირველივე დღიდან უნდოდა დავეყოლიებინე და მისთვის ბანკის თუნდაც 10 პროცენტი მიმეყიდა, მაგრამ უარს ვეუბნებოდი. 2000 წელს კი გამოჩნდა და მეუბნება, რომ თანახმაა, 200 მილიონ დოლარად 25 პროცენტი იყიდოს. ბანკს მაშინ რესტრუქტურიზაციის სააგენტოს მართავდა. ფული რომ მოეცა, უფრო დიდ პაკეტს მივცემდი ნაკლებ ფასად. მაშინვე დოკუმენტები არ გაგვიფორმებია, ხელი არ მოგვიწერია, მაგრამ იგი საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნეს — სწორედ მაშინ (ალექსანდრ) ლივშიცი თანამდებობას ტოვებდა, მის ადგილზე სხვა ვინმე უნდა შეგვერჩია. გაიდამაკს, როგორც ჩანს, არ სჯეროდა, რომ ბანკს არ გავაკოტრებდი. სამი თვე იმუშავა ჩვენთან, საკუთარი თვალით ნახა ყველა გირავნობა და წავიდა. როცა შევიტყვეთ, რომ იგი იარაღით ვაჭრობდა, ვთქვი, ბანკში აღარ დავინახო-მეთქი.

## „გადავწყვიტე, ჩემს დიდ მეურნეობაში წესრიგი დავამყარო"

**— რა გეგმები გაქვთ თქვენი ბანკების შემდგომი განვითარების შესახებ? ხომ არ აპირებთ „იმპექსბანკის" გაყიდვას? შესაძლებელია თუ არა „როსიისკი კრედიტისა" და „იმპექსბანკის" შერწყმა?**

— ვიდრე მიხაილოვსკის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატთან დაკავშირებით გარიგებას დავდებდი, „იმპექსბანკის" გაყიდვის ვარიანტს განვიხილავდი, მაგრამ ახლა გადავწყვიტე, ფინანსური სექტორი ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ვაქციო. ახლახან „როსიისკი კრედიტის" საწესდებო კაპიტალი გავზარდე 100 მილიონით 350 მილიონამდე — „ტულაჩერმეტის" გაყიდვით ამონაგები თანხა ჩავდე. არც ისე დიდი ხნის წინ 50 მილიონი „იმპექსბანკშიც" ჩავდე. უახლოეს პერიოდში ორივე ბანკში კიდევ 150 მილიონის დაბანდებას ვაპირებ. მათ გაერთიანებას არ ვაპირებ, ეს ეკონომიკურად გამართლებული არ არის, უფრო ხელსაყრელია ორი ბანკის ქონა — ერთი, „იმპექსბანკი", სპეციალიზდება საცალო მომსახურებაზე, ხოლო „როსიისკი კრედიტს" რამდენიმე წელიწადში ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო საინვესტიციო ბანკად ვაქცევ. საამისოდ კი დიდი ძალისხმევაა საჭირო, უწინარესად, ეს ეხება ბანკის იმიჯს — ყველას ახსოვს, რომ „როსიისკი კრედიტი" რამდენიმე წლის განმავლობაში თვლემდა.

**— რამდენად გამართლებულია „იმპექსბანკის" განვითარება, როცა უცხოური ბანკების პოზიციები ძლიერდება და მათთან კონკურენცია სულ უფრო რთულდება.**

— უცხოური ბანკების კონკურენციას რომ წინ აღუდგე, ერთ-ერთი მათგანი პარტნიორად უნდა გაიხადო. ჩვენ (აქციების) 25 პროცენტის გაყიდვა გვინდოდა, მაგრამ პოტენციურმა მყიდველებმა დაგვარწმუნეს, რომ დამბლოკავზე ნაკლები არ აინტერესებდათ. ამიტომაც ახლა მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ 25 პროცენტს + 1 აქციის გაყიდვის შესახებ. ეს გარიგება ბიძგის მიმცემი იქნება ბანკის განვითარებისთვის, შემდეგ კი ბიზნესის სწორად გამართვაა საჭირო.

**— ვისთან გაქვთ მოლაპარაკებები?**

— საფრანგეთის, გერმანიის, ჰოლანდიის ბანკებთან. არჩევანი უახლოეს ხანში გაკეთდება.

**— რატომ გაყიდეთ მიხაილოვსკის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი?**

— ჯერ კიდევ 90-იანი წლების შუა პერიოდიდან მოყოლებული, სამთო-გამამდიდრებელი და ფოლადსაგლინავი კომბინატების გაერთიანებას ვესწრაფვოდი, რათა სრული საწარმოო ჯაჭვი შექმნილიყო. აქტივების გაერთიანების შესაძლებლობაზე ვმსჯელობდი ყველა მსხვილი კომბინატის მფლობელებთან — ვლადიმირ ლისინთან, ვიქტორ რაშნიკოვთან, ალექსეი მორდაშოვთან. თითოეულ მათგანს გაერთიანებულ კომპანიაში საკონტროლო პაკეტის შენარჩუნება სურდა, რაც ჩემთვის ხელსაყრელი არ იყო. ყველაზე მეტად წარმატებული გამოდგა მოლაპარაკებები ალექსანდრ აბრამოვთან („ევრაზჰოლდინგის" თანამფლობელთან). შარშან მასთან მივაღწიე შეთანხმებას „ევრაზჰოლდინგისა" და მიხაილოვსკის კომბინატის გაერთიანების შესახებ. გაერთიანებულ კომპანიაში მე მივიღებდი 40 პროცენტამდე, რითაც მისი უმსხვილესი აქციონერი გავხდებოდი (*„ევრაზჰოლდინგის" აქციები კომპანიის მენეჯმენტს შორის არის განაწილებული. — [illegible]*). დოკუმენტები მზად იყო ხელმოსაწერად, როცა ჩემმა ძველმა მეგობარმა ვასილი ანისიმოვმა და ალიშერ უსმანოვმა სხვა წინადადება შემომთავაზეს.

**— თავდაპირველად ითქვა, რომ აქტივებს გააერთიანებდით, რამდენიმე თვის შემდეგ კი ყველა სახტად დატოვეთ იმით, რომ კომბინატი 2 მილიარდ დოლარად გაყიდეთ.**

— ჩვენ ერთობლივი ბიზნესის შესაძლებლობაზე, მათ საკუთრებაში არსებული მეტალურგიული კომბინატის „ნოსტას" ბაზაზე ახალი მეტალურგიული წარმოების შექმნის შესახებ დავიწყეთ მსჯელობა. მე მინდოდა მიხაილოვსკის კომბინატის აქციების საკონტროლო პაკეტი შემენარჩუნებინა, ისინი კი, ასეთ შემთხვევაში, „ნოსტაში" — საბოლოო მზა პროდუქციის მწარმოებელ კომბინატში დაჟინებით მოითხოვდნენ პარიტეტს. ასეთი ვარიანტი ჩემთვის მიუღებელი იყო და გადავწყვიტე, მათთვის მთლიანი პაკეტი მიმეყიდა — აბრამოვისგან განსხვავებით, მათ ეს წინადადება შემომთავაზეს.

**— იქნებ მეტალურგიულ ბიზნესს თავი იმიტომაც დაანებეთ, რომ რუსეთში სულ უფრო და უფრო მკაცრდება ბიზნესისთვის აუცილებელი პირობები?**

— მიხაილოვსკის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის აქციები იმოტომ გავყიდე, რომ კარგი ფული შემომთავაზეს. პოლიტიკის კომენტირება კი არ მსურს.

**— როდის უფრო მუშაობდით კომფორტულად — თქვენ ხომ ეგრეთ წოდებული საბაზრო ურთიერთობების თითოეული პერიოდის თავისებურებანი საკუთარ თავზე გაქვთ გადატანილი?**

16 gv.

# `ar megona, rom miliarderi gavxdebodi~

15 gv.

– ყველაზე კომფორტულად მაშინ ვგრძნობდი თავს, როცა „როსიისკი კრედიტი“ ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი ბანკი იყო, რომელიც განვითარების მწვერვალზე იმყოფებოდა.

**– ვიდრე მიხაილოვსკის კომბინატთან დაკავშირებულ გარიგებას დადებდით, მანამდე სტოილენსკის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი გაყიდეთ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ თქვენ ქონებას ყიდით.**

– გადავწყვიტე, ჩემს დიდ მეურნეობაში წესრიგი დავამყარო. აღარ მაქვს ძველებური ენერგია, რომ ყველაფრით ერთბაშად დავკავდე. ძალიან ბევრი სხვადასხვაგვარი აქტივი მაქვს, რომელთაგან ბევრი პრივატიზაციის დასაწყისშივეა ნაყიდი. წლის ბოლომდე ყველა არაპროფილური აქტივის გაყიდვას ვაპირებ, დავიტოვებ მხოლოდ „სტოილენსკაია ნივას“, ბანკებს, უძრავ ქონებას, საავთიაქო ბიზნესს, აღმოსავლეთ ციმბირის ნავთობისა და გაზის კომპანიას (ÂÑÍ Ê).

**– რამდენად აფასებთ „უნიკორის“ აქტივებს? რა თანხას მიიღებთ არაპროფილური ქონების გაყიდვის შედეგად?**

– ჩემი აზრით, ახლა ყველა აქტივის ღირებულება 1,5-2 მილიარდი დოლარია, არაპროფილური აქტივებისა კი – დაახლოებით 500 მილიონი დოლარი.

**– თქვენ სტოილენსკის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი 510 მილიონ დოლარად გაყიდეთ, მიხაილოვსკის კომბინატი და „ტულაჩერმეტი“ – 2 მილიარდად. ბაზარი დაინტრიგებულია – როგორ განკარგავთ ამონაგებ ფულს?**

– მიხაილოვსკის კომბინატის აქციებიდან ამონაგები თანხის ნახევარს ახლანდელ პროექტებში დავაბანდებ. ჩემთვის ახლა პრიორიტეტი სოფლის მეურნეობაა. „სტოილენსკაია ნივაში“ უკვე ჩადებულია 200 მილიონი დოლარი, დამატებით კიდევ 200-300 მილიონის ინვესტირებას ვაპირებ. ახლა მოლაპარაკებებს ვმართავ კომპანიის შეძენის შესახებ, რომელიც „სტოილენსკაია ნივას“ მასშტაბისაა. მისი დასახელება ჯერჯერობით არ შემიძლია.

**– რატომ არის პრიორიტეტული სოფლის მეურნეობის ბიზნესი? გაგაჩნიათ რამე გათვლა, რომ იგი პერსპექტიულია?**

– ახლანდელ პირობებში მსგავსი გათვლა შეუძლებელია, ბევრ რამეს მთავრობის პოზიცია განსაზღვრავს. ერთგვარი სპორტული ინტერესი მამოძრავებს – რთულ სექტორში წარმატებული კომპანია შევქმნა.

**– გაამართლა თუ არა საავთიაქო ბიზნესმა თქვენი მოლოდინი?**

– ჩვენ იგი არაფრისგან დავიწყეთ. ჯერჯერობით მოგება ჩადებულ ინვესტიციას ვერ აჭარბებს, მისი რეინვესტირება მიმდინარეობს, მაგრამ ეს მიმართულება პერსპექტიულად მიმაჩნია. კიდევ 100-200 მილიონის ჩადებას ვაპირებ. შარშან სამხრეთის ფედერალურ ოლქში უკვე ვიყიდეთ დიდი საავთიაქო ქსელი, ახლა მის რებრენდირებას ვახდენთ. დღეს ბევრია ამ ბიზნესით დაინტერესებული – ჩვენ განვაცხადეთ, რომ მზად ვართ ვიყიდოთ საავთიქო ქსელი, მაგრამ არავის უნდა მისი გაყიდვა.

**– უძრავ ქონებასთან დაკავშირებული რა პროექტების რეალიზებას აპირებთ?**

– დაიწყო „მინსკის“ რეკონსტრუქცია“, შემდეგი სასტუმრო „ცენტრალნაია“ იქნება. მეორად ბაზარზე სასტუმროების ყიდვის შესაძლებლობას ვსწავლობ. „კაუჩუკის“ ტერიტორიაზე, რომლის საერთო ფართობი 10 ჰექტარია, სულ მალე დაიწყება მრავალფუნქციური დიდი კომპლექსის მშენებლობა – ოფისებით, საცხოვრებელი სახლებით და სხვ. უძრავი ქონებით შემდგომშიც დავკავდებით, უკვე ვეძებთ ძველ ნაგებობებს, მიწას მშენებლობისთვის. უძრავ ქონებაში ყველაზე დიდი ინვესტიცია ჩაიდება – დაახლოებით 500 მილიონი დოლარი.

**– თქვენს მფლობელობაშია დიდი სატრანსპორტო კომპანია „წიაღისეულის გადაზიდვს ცენტრი“. ხომ არ აპირებთ მის გაყიდვას? რამდენად აფასებთ მას?**

– ვფიქრობ, მისი ფასი 250 მილიონი დოლარია. ეს კომპანია სარკინიგზო გადაზიდვებში უმსხვილესია, მის პარკში 4 000 ვაგონია. უახლოეს ათ წელიწადში მას ვერავინ შეავიწროებს. ჯერჯერობით არ გამომაქვს გასაყიდად, მაგრამ თუ მყიდველები მოიძებნებიან, გავყიდი.



**– რაში უნდა დახარჯოთ მიხაილოვსკის კომბინატის გაყიდვით მიღებული თანხის მეორე ნახევარი? რაიმე მსხვილი აქტივის ყიდვას აპირებთ? იქნებ რუსეთის საზღვრებს მიღმა?**

– ყველანაირ შესყიდვას ვაპირებ მხოლოდ რუსეთში, რომელსაც კარგად ვიცნობ. ვიყიდდი ახალ დიდ კომპანიას, მაგრამ საინტერესო წინადადებები არ ჩანს. ერთ-ერთი ვარიანტი იქნება აღმოსავლეთ ციმბირის ნავთობისა და გაზის კომპანიის საკონტროლო პაკეტის ყიდვა. „უნიკორს“ ამ კომპანიის აქციების 28,5 პროცენტი აქვს. იგი აღმოსავლეთ ციმბირის, კერძოდ, ჩემთვის კარგად ნაცნობი კრასნოიარსკის მხარის ბოლომდე გამოუკვლეველი, მაგრამ ნავთობის პერსპექტიული მარაგების ათვისებით არის დაკავებული.

**– როგორ აღმოჩნდით ამ პროექტში?**

– „იუკსის“ (*1998 წლის გაზაფხულზე „სიბნეფტისა“ და „იუკოსის“ მფლობელები ამ სახელწოდებით გაერთიანებული კომპანიის შექმნას აპირებდნენ. – ´□□□□æ□Ł)* დაშლის შემდეგ, „სიბნეფტის“ აქციონერებმა აღმოსავლეთ ციმბირის ნავთობისა და გაზის კომპანია, აღარ მახსოვს, რომელ ნავთობრეიდერებს მიჰყიდეს. ისინი ამ კომპანიის აქციების 100 პროცენტს მე მთავაზობდნენ; ვფიქრობდი, რომ მარტო ვერ გავწვდებოდი და (აღმოსავლეთ ციმბირის ნავთობისა და გაზის კომპანიის) საკონტროლო პაკეტის „იუკოსისთვის“ მიყიდვის ორგანიზება გადავწყვიტე. ამ პროექტის ბედი ჯერჯერობით გაურკვეველია. თუკი სახელმწიფო გამოხატავს თავის პოზიციას აღმოსავლეთ ციმბირის ნავთობისა და გაზის კომპანიის მიმართ, შესაძლოა, პრეტენზია გამეცხადებინა საკონტროლო პაკეტის შესყიდვაზე, მაგრამ ხომ უნდა ვიცოდე, ვისთან ვაწარმოო მოლაპარაკებები – „იუკოსთან“ თუ სახელმწიფოსთან?

**– აღმოსავლეთ ციმბირის ნავთობისა და გაზის კომპანიის აქციების საკონტროლო პაკეტის შესაძენად „იუკოსთან“ მოლაპარაკებები მიმდინარეობს?**

– ჯერჯერობით – არა.

**– რითი გხიბლავთ ეს პროექტი?**

– კარგად ვიცნობ ამ კომპანიას, იგი წარმატებით ვითარდებოდა, მის მიმართ პრეტენზიები არ ჰქონიათ (და ახლაც ასეა) იმ სახელმწიფო ორგანოებს, რომლებიც ბუნებათსარგებლობის საკითხებს არეგულირებენ. აქციონერებმა მასში უკვე ჩადეს 190 მილიონი დოლარის ინვესტიცია. აღმოსავლეთ ციმბირის ნავთობისა და გაზის კომპანიის განვითარების სტრატეგია ჩვენ, როგორც მინორიტარულ აქციონერებს, ხელს გვაძლევს. თუკი აღმოსავლეთ ციმბირის ნავთობისა და გაზის კომპანია გაიყიდება, ამ პროექტის ათვისებას მხოლოდ ჩემი ფული არ ეყოფა, დამატებითი სახსრების მოზიდვა იქნება აუცილებელი.

**– თუკი აღმოსავლეთ ციმბირის ნავთობისა და გაზის კომპანიის ყიდვა ვერ მოხერხდა?**

– პორტფელურ ინვესტორად დავრჩები. კარგად ვიცნობ საინვესტიციო ბიზნესს. მე უკვე მეკუთვნის „გაზპრომის“, „ლუკოილის“, სხვა კომპანიების თითოთითო პროცენტი. მომავალში რუსული კომპანიების ლიკვიდური ქაღალდების ყიდვას კვლავ გავაგრძელებ.

**– საქართველოში ახლახან დაბრუნდით. დიდი ხანია, იქ ბიზნესი გაქვთ?**

– დაახლოებით ათი წელია, რაც საქართველოში ბიზნესი მაქვს. აქტივები სხვადასხვაგვარია. ჩემს მფლობელობაშია კვების დარგში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია – „თოლია“, რომელიც ამზადებს ნაყინს, პელმენს, ნამცხვრებს. მაქვს ბანკი „ქართუ“, აგრეთვე საქართველოში უდიდესი სამშენებლო კომპანია, რომელიც ოფისებსაც აშენებს და საცხოვრებელ სახლებსაც; სასოფლო-სამეურნეო კომპანია, რომელსაც 600 ჰა მიწა ეკუთვნის. ჩემს საკუთრებას წარმოადგენს საქართველოში ყველაზე დიდი მარანი, რომელიც მთაშია გაჭრილი. იქ ღვინით სავსე უზარმაზარი ცისტერნებია. 300 ჰექტარზე ვაზი გავაშენეთ, განვითარებას ვფიქრობდით, მაგრამ ახლა ყველაფერ ამას ვყიდი, მყიდველებიც გამოჩნდნენ. მხოლოდ ბანკს დავიტოვებ.

**– რატომ გადაწყვიტეთ საქართველოში ბიზნესის გაყიდვა?**

– მალე 50 წლის ვხდები და ახლა აუცილებელია მთავარზე კონცენტრირება, ყველაფრის ერთად გაძღოლას სხვა ენერგია სჭირდება. ერთადერთი პროექტი, რომლის დასრულებაც მსურს, ეს არის სამთო-სათხილამურო კომპლექსი „ბაკურიანი-2“. რამდენიმე წლის წინ ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო მთიან მხარეში, ბაკურიანში, მიწის დიდი ნაკვეთი შევიძინე. კანადურმა და ავსტრიულმა კომპანიებმა უკვე შეადგინეს საკურორტო კომპლექსის განვითარების გენერალური გეგმა. კომპლექსი მოიცავს სათხილამურო ტრასებსა და გასართობ ცენტრს. წლეულს პროექტის პირველი ეტაპის – გონდოლებიანი საბაგირო გზის მშენებლობის დაფინანსებას ვიწყებ, გაისად კი მთლიანი ინფრასტრუქტურა მზად უნდა იყოს. თვითონ ვერ დავკავდები ამ პროექტით. იქ ძირითადად რუსი ტურისტები ჩავლენ. მინდა, რომ რუსმა ტუროპერატორებმა სასტუმროების მშენებლობა დაიწყონ და მზად ვარ, მათ მშენებლობისთვის მიწა უსასყიდლოდ გადავცე და დაფინანსების შეღავათიანი პირობებიც შევთავაზო.

**– საქართველოში თქვენს დაბრუნებას ქვეყანაში სერიოზული ცვლილებები დაემთხვა. როგორ აფასებთ ამ ცვლილებებს?**

– ხელისუფლებაში მოვიდა ახალგაზრდული ძალა, მაგრამ მე მათი არც მომხრე ვარ და არც მოწინააღმდეგე. სულ ეს არის, რისი თქმაც შემიძლია. საერთოდ კი, ძალიან ვწუხვარ, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობები ასეთ კალაპოტში მიედინება.

**– რამდენად საჯარო ცხოვრებას ეწევით საქართველოში, როგორი დამოკიდებულება აქვთ ადგილობრივ პოლიტიკოსებს, ბიზნესმენებს თქვენ მიმართ?**

– არც ერთ მათგანთან არ მაქვს კონტაქტი, განცალკევებით ვცხოვრობ, მხოლოდ ნათესავებთან, ახლო მეგობრებთან ვურთიერთობ. არანაირი პოლიტიკური ამბიცია არ გამაჩნია, უბრალოდ, მინდა, საკუთარ ოჯახთან ერთად მშვიდად ვიცხოვრო. ჩემს სოფელ ჭორვილას ხანდახან ბიზნესის საკითხების მოსაგვარებლად თუ ვტოვებ.

**– თუ ეს ყველაფერი მართლაც ასეა, მაშინ რატომ მიმართეთ სასამართლოს პატივისა და ღირსების დასაცავად?**

– იმიტომ, რომ არასოდეს დამიკარგავს პატივი და ღირსება, სინდისის კარნახით ვცხოვრობდი. ამ ფასეულობების აღდგენაზე კი ისინი დაფიქრდნენ, ვინც ჩემზე სიცრუეს წერდა.

**მარია როჟკოვა, Âåäî ì îñòè**
**7 აპრილი, 2005 წელი**

იმ მხარეს, სადაც ჩვ.წ. აღ-ით I საუკუნეში ანდრია პირველწოდებულმა და მატათა მოციქულებმა იქადაგეს, სააკაშვილმა და მისმა ყაჩაღებმა პირისაგან მიწისა აღგვა გადაუწყვიტეს. სააკაშვილის უნიჭო ფანტაზიით "დამშვენებული" ბათუმი შარშან ვიხილე. ამიტომ წელს, უნივერსიტეტიდან გამოგდებული და მოწაფების ანაბარა დატოვებული დედაჩემის შეთავაზებას დავთანხმდი. "ნაჩუქარ ცხენს კბილებს ან უსინჯავენ" და დაპატიჟებაზე უარი არ ვთქვი, ქობულეთში გავყევი. სააკაშვილის "ნაქები და აყვავებული აჭარის" ნასახს — ქობულეთში ვერ ნახავთ. ლამაზი და ზრდილი აჭარლებით განთქმულ მხარეში, გაჭირვების მიუხედავად, ხალხი ისეთივე თბილი და გულღიაა, როგორც ადრე. გაკვირვება სააკაშვილზე საუბარმა გამოიწვია. დაშინებული თბილისელებისგან განსახვავებით, ვერ ვნახე აჭარელი, რომელმაც ობიექტური და მართალი შეფასება არ მისცა სააკაშვილის უთავბოლო ბოგინს საქართველოში. ერთმა აჭარელმა სინანულით ისიც მითხრა— სააკაშვილი ქობულეთს ისე არ წყალობს, როგორც ბათუმსო. მეორემ კი დააყოლა, შესაძლოა, კარგიც არის, თორემ აქაურობასაც გაათურქებდაო. აჭარის გათურქების დასაწყისს კი, 5-5-წუთის შუალედით ჩამოქროლებული"გელი,,", "შეშ-თაზ"-ის წარწერებიანი თუქრული ტრაილერების მეშვეობით, საქართველოში თურქული პორდუქციის ექსაპანსიაც მეტყველებს. კოლხეთის უძველეს მიწაზეც ალისა და ნინოს დისტროფიული ქანდაკებებიც ამისთვის დადგა და დიდად ამაყობს. სიმბოლოებისადმი მასონთა განსაკუთრებული მიდრეკილებების გათვალისწინებით, ამ ქანდაკებების დადგმასაც სიმბოლური დატვირთვა უნდა ჰქონდეს. მაინცა და მაინც ნინო (სახელი)- ქართველთა განმანათლებლის, მოციქულთა სწორის და არაბი "ალის" დადგმა, შემთხვევითობა არ უნდა იყოს! ანუ რამდენადაც ალი, იდეაში, ნინოს "ერთ ხორც ხდება", უნდა ვივარაუდოთ, რომ "ალი ბაბა გარეკილ I-ს თავისი ნაციონალი ყაჩაღებიანად" ნინოს სახით ალისგან საქართველოს გახარჭება განუზრახავს. მუსლიმთაგან არაერთგზის აოხრებულ-დაპყრობილ აჭარაში არაბული არქიტექტურის ელემენტებისა და წელს უკვე ჩადრიანი ირანელი და არაბი ქალების სიმრავლეც — ამაზე მიუთითებს. ინვესტორებად შემოსულ თურქ ბიზნესმენებსაც მშენებლებად თურქები შემოჰყავთ. ინვესტორებმა საქართველოში "მონათმფლობელი პლანტატორების" ფუნქცია იტვირთეს. მათ კომპანიებში დასაქმებული ყველა ქართველი, ფაქტობრივად, მონის პირობებზე მუშაობს. დაპირებული მაღალხელფასიანი სამუშაო ადგილების ნაცვლად, ერაყში საკონტრაქტო ხელშეკრულებით გაგზავნილ ქართველთა მსგავსად, აჭარაშიც ქართველთა დისკრიმინაცია ხდება. თურქი ბატონების სასტუმროების მშენებლობებისას, მათი ჩამოყვანილი მუშა, უფასო საცხოვრებლითაც და სამჯერადი კვებითაც უზრუნველყოფილია. ხელფასსაც ერაყში "ამერიკელი ნატოელების" მსგავსად, ქართველზე ორჯერ მეტს იღებს. სასტუმროში ექიმ-მასაჟისტის ადგილზე მუშაობის დასაწყებად მისულ ქალბატონებს კი სამუშაოს იმ შემთხვევაში სთავაზობენ, თუ სექსმომსახურებაზეც დათანხმდებიან.?! ანუ ხალხური ენით რომ ვთქვათ, ექიმი დოტის მსგავსად "იბოზებენ". "გარეკილ ალი ბაბა I და მისი ნაციონალური ყაჩაღებიც", რომლებიც, "კიკუს" მსგავსად "ფული ბაბა, ბევრი ფულიო" ეძახიან თავიან "მიშა ბაბას". თანახმა არიან ფულის სანაცვლოდ საკუთარი დედ-მამაც კი გაჰყიდონ, არათუ სამშობლო და სარწმუნოება. სააკაშვილი ქობულეთს არმენებით ავსებს, ბათუმს კი თურქებით. საბოლოო ჯამში კი, საქართველოს დიდ ჰარამჰანად გადაქცევას გეგმავს, სადაც მსოფლიო სექსინდუსტრიაში ქართველ გოგ-ბიჭებს ჩააბამს. აბა ბათუმის გეი-აღლუმისთვის სახლდახელოდ გაკეთებულ საიტებზე, სხვადასხვა სასტუმროებში, უცხოელებს, სხვადასხვა მომსახურეობას ტყუილად ხომ არ სთავაზობდნენ? ან "მსოფლიოში სახელგანთქმულ ანაკლიაში" "ნუდისტური პლაჟის" მოწყობას ტყუილად ხომ არ გეგმავს? "პირველი ქალბატონიც," 90-იანი წლების დასაწყისში, 8 გოგონასთან ერთად, არეულ საქართველოში შემთხვევით ხომ არ ჩამოსულა? იგივე მეგრული, სვანური და ქართული დიალექტებიც შემთხვევით ხომ არ უსწავლია? არც "ალი ბაბა გარეკილს", საქართველოს მომავალ პრეზიდენტს "შემთხვევით" რომ არ შეხვედრია სტრასბურგში — ამაშიც ეჭვი აღარავის უნდა ეპარებოდეს. "ამერიკული პროექტის ეს წყვილი თავის ყაჩაღებიანად" მიზანმიმართულად ანგრევს და ანადგურებს საქართველოს. "პირველი ქალბატონი" სირინოზის ხმით და ანგელოზის სახით ახლა სამეგრელოსთვის გაკეთებული კლიპიდან გვიმღერის. "გამარჯობა, აფახაზეთო შენის" და "კოკითი ფანდარასტის" სამაჩაბლოზე გადაღებულმა კლიპებმა ეს მხარეები დაგავაკარგვინა. ახლა, შესაძლოა, სამეგრელოსაც, რაღაც ამდაგვარს უპირებდნენ. პრაქტიკა ასე ადასტურებს. მით უფრო მაშინ, როცა ცხირვალში გამარჯვების აღსანიშნავ აღლუმში რუსი სამხედროებიც აპირებენ მონაწილეობას. ვინ იცის, გარეკილს კიდევ რა გარიგება აქვს მათთან?!

სააკაშვილი დაფიჟვინებული "კალიგულას სახით" ტურიზმის აყვავებას გვპირდება. მისი "პირველი ქალბატონი" კი საქართველოში განხორცილებეული ჯანდაცვის ყველა დამანგრეველი პროექტის მონაწილეა. თუმცა სააკაშვილის გვერდით იმდენი "სირინოზის ხმიანი" ქალბატონი მომრავლდა, რომ ხალხი უკვე ველარ არკვევს, რომელია პირველი და რომელი მეორე, ან მესამე?! "ამ სირინოზთა გალობას" ა"ალი ბაბა გარეკილის" გულის მოსაგებად მიშავიზიები 24-საათიან რეჟიმში ატრიალებენ. არც ისაა გამორიცხული, 24 000 000-ად შეფასებული ტურისტებისთვის ასაშენებელი საავადმყოფოც, სწორედ ის აღმოჩნდეს, რომელსაც საქართველოში ორგანოების ტრანსპლანტაციისთვის აშენებენ და არც, როგორც ბოროტი ენები საუბრობენ, რომ "ორგანოებით ვაჭრობის ამ საერთაშორისო ქსელის საქართველოში მთავარი კურატორი" სწორედ სტატუსით "პირველი ქალბატონია". იმიტომ, რომ ჯანდაცვის პროექტებზე ექსკლუზივი საქართველოში მას გააჩნია! სააკაშვილს საქართველო და ქართველები ისე სძულს, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში, საქართველოს გულსაც ამოგლეჯდა. თუმდა აგვისტოს ომით ეს ნაწილობრივ გააკეთა კიდეც. აფხაზეთს კი, როგორც ძირძველ დაკარგულ მიწა-წყალს, უკვე აღარც კი ახსენებს. ამბობენ, მის აღიარებასაც აპირებს კიდეცო?! ახლა კი "'აჭარის სიყვარულის ბუშტი აქვს გახეთქილი". სპეციალურად, რამდენიმე ასიათასად გადაღებულ ფილმში "მზიანი საქართველო" ორ ჟურნალისტს ბათუმში გამოყენებულ ევროპული არქიტექტურის ელემენტებზე ესაუბრება. ევროპულზე მეტად ბათუმში ისლამური ელემენტები რომ სჭარბობს, ამაზე არაფერს ამბობს.




"გარეკილი ალი თავისი ნაციონალი ყაჩაღებიანად" თბილისსა და თბილისელებს არჩევენების წაგების გამო რომ ვერ იტანს, ახალი არაა. თუმცა საპრეზიდენტოდ გამზადებული უგულავას საწინააღმდეგოდ, აჭარაში მეტად საინტერესო ფაქტი აღმოვაჩინე?! ნუ იტყვით და დენზე მიბმული ნაგვის ტარიფიც და სამრშრუტო ტაქსების გაძვირებაც თურმე მხოლოდ თბილისელების სულის ამოსაძრობად საგრიალო ფულების ამოსაქაჩად, ექსკლუზიურად თბილისისთვის შემოიღეს.

# ali baba da nacionali yaCaRebi

"ალი ბაბა გარეკილ I-ს" ქობულეთის გათურქების საკითხზე მეტად სჩანს ქობულეთის გაარმენება აქვს განზრახული, ნათელია. არმენიაში სწავლა პირველ სექტემბერს იწყება. ჩემისთანა ქართველებიც, მშვიდი დასასვენებისთვის, და ქართულ მხარეში დასვენებას ამ დროს არჩევს. სწორედ სექტემბრის დასაწყისში ჩადის აჭარაში. მიუხედავად ამისა, სრული შეგრძნება იყო, რომ არმენიის მიერ ოუპირებულ რეგიონში იმყოფებოდი. არმენული წარწერები, სიმღერები და ყველგან არმენული საუბარი ამის სრულ განცდას იწვევდა. მართალია, ჩვენმა მთავრობამ, საქართველოში და აჭარაში "ტურიზმის აყვავებით" ყურები გამოგვიჭედა. თუმცა ის არ იცის, რომ ამ ტირაჟირებული ტურიზმის ინფრასტრუქტურას აჭარაში მტრები გამოუჩნდა. ჩვენი სასტუმროს წინ მდებარე ბუნგალოს რესტორანში შუალამემდე ერთმანეთს გამაყრუებელი ხმით, ქართული, რუსული და სომხური სიმღერები ცვლიდა. დასასვენებლად ჩამოსული ტურისტებისადმი ასეთმა ადგებულმა დამოკიდებულებამ, კერძო ვიზიტით ჩამუსული ამერიკელი ტურისტებიც კი აღაშფოთა და მათ სასწრაფოდ დატოვეს ქობულეთი. აღსანიშნავია, რომ ხსენებული ბუნგალო ყოფილ გამგებელს— ვინმე ნოღაიდელს ეკუთვნის. მიუხედავად "ალი ბაბა გარეკილ I-ის" დაქადნებული არაკლანურობისა, ყოფილი გამგებლის "სვიაზები"ქობულეთში ისევ "ჭრის". შეწუხებული დამსვენებლებისგან არაერთგზის გამოძახებული პატრული კი, ხშირად ღამეულ ღრიანცელში მონაწილეობას თავად აგრძელებდა. რაც არა მარტო "სააკაშვილის ტურიზმის ინფრასტრქტურას", არამედ მერაბიშვილის პოლიციის მიერ მოპოვებულ ავტორიტეტსაც ლახავს. მიუხედავად იმისა, რომ ღამის ყოველი ღრეობა პოლიციის ჰიმნით იწყებოდა და სრულდებოდა. ღამის სამ საათზე მაინც გასაკვირი მოსასმენი იყო, გამაყრუებელი ხმით ნამღერი — "დღეს სიმსშვიდე არის ჩვენი მიზანიო". განსაკუთრებული ინტერესი ჩემში სიმღერამ — "ß ëþáëþ òåáÿ Ðîññèÿ"-მ გამოიწვია. მართალია, "რუსეთის" ნაცვლად, მომღერლების "როსტოვს" ამბობდნენ, მაგრამ როსტოვიც რუსეთის ნაწილად არ მოიაზრება? ააი, გარეკილ როგორ პატივს სცემენ შენს ტურიზმს და ამავე დროს, როგორ უყვართ შენი "საძულველი რუსეთი"?!



ჩვენს სასტუმროში ერევნიდან ჩამოსული ორი ქალიშვილი ისვენებდა. ქართული სტუმართ-მასპინძლობიდან გამომდინარე, საკმაოდ თბილი და კარგი უთიერთობები დაგვიმყარადა. საკმაოდ, განათლებულმა და კარგად აღზრდილმა 34 წლის ქალბატონმა, არმენების უარყოფითი დამოკიდებულება გარეგინ II-ის მიმართ ღიად დააფიქსირა. გარეგინ II-ს თურმე იეღოველებისა და მორმონების სექტები, სხვა სექტებთან ერთად, რელიგიის რანგში აუყვანია და თავად არმენულ ეკლესიაშიც განხეთქილებაა ამის თაობაზეო. სტეფანიანის პროვოკატორულ საქმიანობაზეც ვისაუბრეთ და სწორი ინფორმაციის გაცვლისთვის, ერთმანეთის "იმეილებიც" გავცვალეთ. "წარმოშობით ჯავახეთიდან ვარ, იქ დავიბადე, ერევანში ვცხოვრობ და ყოველ ზაფხულს მე და მამაჩემი ჩვენს სოფელში, "ჩვენს ფარავნის" ტბაზე დავდივართო". მოგვიყვა 15 წლის გენოცდიზეც. როგორია? არმენიიდან, ადამიანები როგორც საკუთარ სოფელში, ისე დადიან საქართველოს ტერიტორიაზე. ან გასაკვირი რაა, როდესაც " ალი ბაბა გარეკილ I-ისა და მისი ნაციონალი ყაჩაღების ხელში, საქართველოს საზღვრების დემარკაციაც არ არის გაკეთებული. რომელ მეზობელს, როგორც უნდა ისე მოიწევს და გვაჭრის მიწა-წყალს. "ორმაგი მოქალაქეობა უნდა ავიღო და ქართული უნდა ვისწავლოო"— მითხრა არმენმა ერმინემ. "ის კი არა, კარგ ქართველ ბიჭსაც შეიძლება გავყვე, ოღონდ ცოტა არმენული სისხლიც უნდა ერიოსო". არმენების პრეზიდენტის, სერჟ სარქისიანის განცხადებას თუ გავითვალისწინებთ, ის ჯავახეთის მოსახელობისთვის არმენულის რეგიონალურ ენად აღიარებას მოითხოვს, ოღონდ პრინციპით — "ინტეგრაცია ასიმილაციის გარეშე". ეს კი კარგ ქართველთან, თუნდაც "ცოტა არმენული სისხლით ნარევთან" ურთიერთობას გამორიცხავს. ასე რომ, ჩემს ახალ ნაცნობს — ერმინეს ქართველზე გათხოვება არ უწერია?! მისივე მონათხრობით, არმენებს ჰგონიათ, რომ საქართველო ყვავის. არმენიაში ისეთივე გაჭირვება ყოფილა, როგორც ჩვენთან. (ჩვენი რეგიონების მსაგავსად, რასაც ტელევიზიით უყურებენ სჯერათ, რომ ბიზნესები დამოუკიდებელია, გადასახადები დაბალი და პენსია უზარმაზარი. "მე აქ ჩამოვდივარ და ვიცი, სიმართლე რაც არისო". იქნებ არმენიაში სიმართლე რომ გაიგონ — საქართველოს თავი დაანებონ?! "ჯავახკში", როგორც ერმინე უწოდებს ჯავახეთს, ბევრსაა აქვს არმენული პასპორტი. ეს კი აფხაზეთში და სამაჩაბლოში მეზობელი ქვეყნის პასპორტების დარიგების ანალოგიას წააგავს. "გარეკილ ალი I და ნაციონალი ყაჩაღები" არც ამაზე "იბარტყუნებენ ყურს". მეტიც, საქართველოს ისტორიას ამახინჯებენ და ცვლიან. ჩემს ახალ ნაცნობთან საუბრებისას მივხვდი, რომ მათ დაბადებიდან არასწორ ისტორიას ასწავლიან და უნერგავენ, რომ ჯავახეთი მათი ისტორიული მიწაა?! როგორ, ჯავახეთში 30-იან წლებში დასახლდით-თქო ვუთხარი. თქვენს გენოციდზე რომ საუბრობ, 18-19 წლის, თბილისში არმენების შემოჭრა და ახალგაზრდა ოფიცრების ამოწყვეტაც გაიხსენე-თქო. ამის შესახებ არაფერი სმენია და გაოცებული მისმენდა. ვკითხე, აქ დაიბადე. მოგწონს. არავინ გაგდებს აქედან. გათხოვებასაც კი აპირებ და საბოლოოდ, საქართველოში ჯავახეთის ბედი როგორ წარმოგიდგენიათ ჯავახეთის არმენებს-თქო? ჩვენ, არმენებს, ყარაბაღის მსაგავსად, "ჯავახეთის" ავტონომია წარმოგვიდგენია, ოღონდ გვეშინია ფერგანის მსგავსი მოვლენები არ განმეორდესო. აუცილებლად განმეორდება-მეთქი. ჩვენ იმდენი მიწა-წყალი დავკარგეთ, სხვათა შორის, ნაწილი თქვენს ტერიტორიად ითვლება, რომ ქართველები დღეს ამას აღარ დათმობენ-მეთქი. ამ ახალგაზრდა ქალს ჯავახეთი მართლა თავისი მიწა-წყალი ჰგონია. ბავშვობიდან ასე ასწავლიან და მისი ბრალი არ არის. სერიოზული მუშაობა, სამეცნიერო დონეზე ისტორიული წყაროების წამოწევაა საჭირო. ფაქტია, რომ ასეთი ადამიანების უკან ბევრია "დაშნაკური ორგანიზაციების" პროვოკატორი აგენტები.

ქვეყნის რეალური აღმშენებლობა და ისტორიული კანონიერების აღდგენა და ქვეყნის სამართლებრივ, საერთაშორისო ჩარჩოებში ჩასმა, პირველ ეტაპზე, 1801 წლის კანონიერების აღდგენით უნდა დავიწყოთ და თანდათან მივყვეთ ყველაფერს. ანუ კონსტიტუციურ მონარქიაზე გადავიდეთ. ამით ჩვენს მიწა-წყალზე მეზობელი სახელმწიფოების უზომო მადასაც ავლაგმავთ. ევროპულ მონარქიულ ოჯახში შესვლით კი ავტომატურად იმ განვითრებადი ქვეყნის სტატუსიდანაც გამოვალთ, რის გამოც გაანადგურეს ყველაფერი. ამას, თავისთავად, განათლების, ჯანდაცვისა და ა.შ ნორმალური დონე მოჰყვება. ავცდებით მონა-მოსამსახურე ერად ჩამოყალიბებასაც. არაქართული წარმომავლობის მმართველის თავგასულ პარპაშსა და უცხო ქვეყნიდან მართულ, მარიონეტ პრეზიდენტსაც. იმიტომ, რომ "ალი ბაბა გარეკილ I-ისა და მისი ნაციონალი ყაჩაღებისა" და იგივე ოპოზიციონერი პოლიტიკოსების ხელში, საქართველოში ქართველ კაცს ბედნიერი ცხოვრება არ უწერია. ახალ მოსული პრეზიდენრიც, საბოლოოდ, სათავისოდ მოიხმარს საქართველოს და ვინ იცის, კიდევ რას მოიმოქმედებს.

ბაია ამაშუკელი

# imedi meore sulia



### ჭკვიანმა იცის და გკითხავს

ჩემი მიზანი დღეიდან აღარ არის დიდ ქართულ პოლიტიკაში გამოჩენილი ბიძინა ივანიშვილის ღვაწლსა და კაიყმობაზე წერა. ჩვენ ამაზე უკვე საერთო, ჩამოყალიბებული მოსაზრება გვაქვს. პანეგირიკას უნდა შევეშვათ, ეიფორიიდან გამოვიდეთ და საქმეს მივხედოთ, საქმით დავდგეთ ამ კაცს გვერდით და არც ის დავივიწყოთ, რომ ამით მას კი არ დავეხმარებით, არამედ მამულს, მომავალს და საკუთარ თავს.

რაში უნდა გამოიხატოს ეს თანადგომა?

უწინარესად, ამ ეტაპზე, საქმიანი წინადადებებისა და რჩევების გაცხადებაში. ქართველმა საზოგადოებრიობამ საინფორმაციო საშალებებით უნდა შექმნას რჩევებისა და იდეების თავისებური ბანკი, რომელსაც ბატონი ბიძინა და მისი შტაბი დაამუშავებენ, რითაც ერთის მხრივ სწორად დაინახავენ და თავიდან აიცილებენ რისკებს, მერეს მხრივ კი ეფექტურად „დააზიანებენ“ მოწინააღმდეგის „საცეცხლე წერტილებს“.

გასაგებია, რომ ახლა უამრავ პატრიოტს აქვს ბატონ ბიძინასთან შეხვედრის და გასაუბრების სურვილი, მაგრამ ეს გამორიცხულია ორი მიზეზის გამო: პირველი – უზარმაზარი ნაკადის ახლო ხანებში მიღება პრაქტიკულად განუხორციელებელია; მეორე – ეს მიზანშეუწონელია უსაფრთხოების თვალსაზრისით.

ამდენად, ვფიქრობთ, თანამშრომლობის ასეთი ფორმა პირველ ეტაპზე ყოველანაირად გამართლებულია, ხოლო ბატონი ბიძინა, იმედია, ერთი სპარსული სიბრძნით გამოგვეხმაურება: „ჭკვიანმა იცის და გკითხავს, უჭკუომ არ იცის და არ გკითხავს“.

## მამული, ენა, სარწმუნოება

ბატონო ბიძინა, ის, ვინც თქვენი მიმართვები და ინტერვიუები წაიკითხა, შეუძლებელია თქვენს სიქველეში (სიქველე მარტოოდენ ქველმოქმედება არაა, იგი უშიშრობა და ვაჟკაცობაც არის – გავიხსენოთ ფარსმან ქველი) და მამულიშვილობაში დაეჭვდეს. მაგრამ ეს იმედი და ნდობა კიდევ უფრო გაიბრწყინებს თუ სიტყვებთან –„დემოკრატია“, „თავისუფლება“, „თანამეგობრობა“ და სხვა მისთანასთან ერთად ხშირად გაიჟღერებს: „ერი“, „მამული“, „სამშობლო“, „ქართული ცნობიერება“, „ილია“ და სხვა. პირველი ნოემბრის პრესკონფერენციაზე მართლაც სანიმუშო გამოსვლის გვირგვინი იყო წინადადება: „მე ვხედავდი, რომ ვკარგავდი სამშობლოს და პოლიტიკაში ამიტომ მოვედი“. გულის სიღრმიდან დაძრულმა ამ სიტყვებმა მილიონობით ქართველის გულში გაიარა. არ დაგაეჭვოთ იმან, რომ ღირსეული წინაპრების სახელის ხსენების გამო ვინმემ ფარისეველი ხელისუფლების წევრებთან გაავლოს პარალელი. მთავარია, რომელი ჭურჭლიდან გადმოედინება სიტყვა.

სამშობლოს რომ სიყვარულში გამოუტყდები ადამიანი, ამას რას სჯობს, მითუმეტეს მაშინ, როცა ბოლომდე გაქვს შეგრძნობილი მისი ფესვები და ამ ფესვების ნაჟური. საქართველო არ არის ის ქვეყანა, რომელმაც ევროპელობით უნდა იკეკლუცოს (სულ სხვაა მასთან მჭიდრო თანამშრომლობა, რისკენაც ყოველთვის ისწრაფვოდა ჩვენი ქვეყანა). მახსენდება მარკიზ დე კიუსტენის სიტყვები: „მე რუსებს არ ვკიცხავ იმისთვის, რაც ნამდვილად არიან, მაგრამ ვგმობ მათ სურვილს თავი ევროპელებად მოგვაჩვენონ... შეიძლებოდა იმედი არ დაგვეკარგა მათი კულტურული შეთვისებისა, რომ მაიმუნებივით არ ბაძავდნენ სხვა ერებს და იმავდროულად არ დასცინოდნენ მათ, ვისაც ბაძავენ“. ეს ნათქვამი მარტოოდენ რუსებს როდი შეეხება. მიმბაძველობა განსაკუთრებით დამამცირებელია ისეთი ერისთვის, რომელიც უძველესი მსოფლიო ცივილიზაციის წიაღში წარმოიშვა და ჩამოყალიბდა. ჩვენი სისხლისმიერი განცდა, სულიერი მიმოქცევა და წარმოსახვა, ჩვენი ქმედება ჩვენს ენაში, სიმღერაში, როკვაში, სამიწათმოქმედო კულტურაში და კოსმოგონურ წარმოდგენებშია. აი, ამას გულისხმობს ილიასეული ტრიადა „მამული, ენა, სარწმუნოება“ (და არა „ენა, მამული სარწმუნოება“, როგორც ე.წ. „ცნობადი სახეები“ წარმოსთქვამენ შეცდომით). აი, ამ ტრიადას უნდა დავუბრუნოთ ბოლო ჟამს დაბეჩავებული ჩვენი ერი, რათა კვლავაც მარადისობას გაუსწოროს თვალი.

## თუ გსურს მშვიდობა, ემზადე ომისთვის!

მისასალმებელია „ხელისუფლების“ (რატომ ვსვამ ამ სიტყვას ბრჭყალებში, ოდნავ ქვევით მოგახსენებთ) მშვიდობინად, არჩევნებით შეცვლის სურვილი, ქუჩის აქციებზე და მიტინგებზე უარის თქმა. კი, როგორ არა, ოღონდ იმ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს ცუდ ან თუნდაც ძალიან ცუდ ხელისუფლებასთან, ახლა კი ჩვენ შინაურ მტერს ვუპირისპირდებით. სხვათაშორის, ეს თქვენს მიერაც იყო გაცხადებული პირველი ნოემბრის პრესკონფერენიაზე.

XIV საუკუნეში ცნობილი ქართველი თავადი და საზოგადო მოღვაწე ქუცნა ამირეჯიბი ნიადაგ აღმა-დაღმა დაჰქროდა და დიპლომატიით ცდილობდა ლანგ-თემურის ლაშქრობების შეკავებას, ავადმყოფური ფსიქიკის დამპყრობმა კი მაინც რვაჯერ ააოხრა საქართველო. მე არა მგონია, რომ სულიერი მდგრადობით სააკაშვილი ბევრად უკეთესი იყოს ლანგ-თემურზე.

ბატონო ბიძინა, როგორც ხსენებულ პრესკონფერენციაზე ბრძანეთ, იმ შემთხვევაშიც კი თუ სააკაშვილს თუნდაც მის მიერ მორგებულ კონსტიტუციურ ჩარჩოებში ვერ დააბრუნებთ და იგი ხალხის ნებას წინ აღუდგება, თქვენ სხვა საშუალებებით შესძლებთ მის „დაშოშმინებას“ (ეს უკანასკნელი ჩემი სიტყვა – გ.ქ.).

ინტუიცია მკარნახობს, რომ თქვენ მარტოოდენ საერთაშორისო ზეწოლისა და ხალხის ნების გამოხატულების იმედი არა გაქვთ, და არ გაქვთ იმიტომ, რომ, I. თუნდაც აშშ-ის ზეწოლისა თუ რჩევის მიუხედავად სააკაშვილის გადადგომის იმედი მინიმალურია. მას მოულოდნელად რომც გაუჩნდეს ასეთი სურვილი, ძნელი დასაჯერებელია, „საქმეში გასულმა“ თუ გასვრილმა თანაგუნდელებმა ამის ნება დართონ. II. ხალხის ნების მშვიდობიან გამოხატულებას ეს რეჟიმი ფიზიკურ ძალას დაუპირისპირებს. სიმართლე მოგახსენოთ, დიდი დაძაბულობითა და შიშით ვუყურებდი პრესკონფერენციას, რომელსაც შეიძლებოდა „ჟურნალისტთა“ შორის დაპირისპირება და ინსპირირებული ჩხუბი მოჰყოლოდა, რაც, ალბათ, თქვენს რეზიდენციაში სპეცნაზის შემოჭრით დასრულდებოდა. გავიხსენოთ „კავკასიის“ მაგალითი. თუ ამ მცდელობას თქვენს ტერიტორიაზე ნაკლები წარმატება ელის, სხვაგან წინ ვერაფერი დაუდგება.

ღრმად ვიყოთ დარწმუნებული, რომ სათანადო უწყებებში რამდენიმე მზაკვრული პროექტი იგეგმება, მათ შორის ტერაქტები და თვითტერაქტები, ფსევდოოპოზიციური პარტიების მიერ მოწყობილი მანიფესტაციები და არეულობები, თქვენი „მომხრეების“ აღიარებითი ჩვენებები და თქვენ წარმოიდგინეთ, საომარი მოქმედებებიც კი რომელიმე აჯანყებული რეგიონის“ წინააღმდეგ. ამ უკანასკნელ ვარაუდს მხარს უბამს რუსეთის დაზვერვის შეფის ალ. შლიახტუროვის ბოლო განცხადება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მოსალოდნელი პროვოკაციების შესახებ. ერთი სიტყვით, საბოლოოდ, ხალხის ქუჩაში გამოსვლას და ძალასთან ძალის დაპირისპირებას მხოლოდ სასწაული თუ აგვაცილებს, პოლიტიკურ ბრძოლაში კი სასწაულები არ ხდება. მწამს, ამ ამბავს არც თქვენ გამორიცხავთ, მაგრამ ორი მიზეზის გამო ვერ ამხელთ: ერთი იმიტომ, რომ გულწრფელად არ გსურთ ე.წ. კადაფიზაცია და მეორეც იმიტომ, რომ... ეს მეორე მიზეზი, მოდით, მარტო ჩვენ ვიცოდეთ.

## ყველას მეგობარი არავის მეგობარი არაა

სიცრუეა ის, რომ ვითომდაც პოლიტიკაში მეგობრობა არ არსებობს, – პოლიტიკანების მოჭორილი ამბავია ეს. როცა პოლიტიკაში ერისკაცები მიდიან, მაშინ სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ადამიანები, თუნდაც განსხვავებული ხასიათისანი, აუცილებლად მეგობრდებიან. ამის მაგალითი ზვიადი და მერაბი იყვნენ. მაგრამ ამასთანავე „ყველას მეგობარი არავის მეგობარი არა არის“-ო ამბობდა პლატონი.

დიახაც, საქართველოს გამთლიანებისა და გამარჯვების მოსურნე კაცმა ყველასთან უნდა ითანამშრომლოს, მაგრამ ყველასთან, განსაკუთრებით კი ისეთ პოლიტიკურ ძალებთან დამეგობრება, რომელთაც კვირაში შვიდი პარასკევი აქვთ და ვითარცა ლერწამნი ნიავის მცირეოდენ დაქროლვაზეც აქეთ-იქით ირწევიან, მიუღებელია. მიუღებელია ეს იმიტომ, რომ საზოგადოება მათ საფუძვლიანად არ ენდობა.

მლიქვნელების ამოცნობა იოლია, ფარისევლებისა კი რთული.

ფარისევლები ღუპავენ იდეებს, საქმეებს, ქვეყნებსა და ხალხებს.

ფარისევლებმა აწამეს მაცხოვარი.

ფარისეველი ის კაცია, რომელიც არ მლიქვნელობს და იმანჭება თავკაცთან, მაგრამ ყველაფერს საკუთარ ინტერესებს ანაცვალებს, სიტყვით და გამოხედვით ერისკაცია, მაგრამ თვალს მიეფარება თუ არა, სათავისოდ ჭრის და კერავს.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ თქვენი და თქვენი ფონდის სახელითა და ღვაწლის ხსენებით ერთმა დიაცმა თქვენს მონა-მორჩილს ცუდი საქმე მოსწია – ეროვნული საქმის კეთებაში ხელი შეუშალა. ამ ამბის გამოწვლილვით თქმა ახლა არც ეგების და არც ამის დროა, მაგრამ გახსენებით იმიტომ გავიხსენე, რომ მომავალში ასეთი რეციდივები ავიცილოთ თავიდან.

აგერ, ბატონო, მერე ფაქტი: თქვენ რომ ერთ-ერთ პოლიტიკურ პარტიას თანამრომშლობა შესთავაზეთ, იმავე თუ მეორე დღეს მისმა ერთ-ერთმა ლიდერმა „კავკასიის“ ეთერში ისე ისაუბრა, თითქოს, სხვა პოლიტიკური ძალების არჩევა, თქვენთან ერთად მისი პარტიის პრეროგატივაც იყო. აი, ფარისევლობის ერთი აშკარა მაგალითი! ღვთის გულისათვის, მენდეთ, რასაც ვამბობ – ასეთია ყველა პატრიოტის განცდა, მენდეთ ასევე, რომ პატრიოტთა უმეტესობა, რომელიც უაღრესად გახარებულია ბიძინა ივანიშვილის დიდ პოლიტიკაში და ბრძოლის ველზე გამოჩენით, გულის კუთხეში მცირე ტკივილს მაინც განიცდის უყურადღებობის გამო. ისინი იმასაც ხვდებიან, რომ შესაძლოა, ბრძოლის პირველ ეტაპზე, „პოლიტიკური ჩალმაც“ აუცილებელია, მაგრამ თუ სახლის ბალავარი სწორად არ დაიდო, კედელი, რკინისაც რომ იყოს, მაინც გადაიქცევა. არის ერთი ასეთი ჭეშმარიტებაც: ნიჭიერი კაცი ერთხელ

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

თუ შემოგთავაზებს საკუთარ სამსახურს, უნიჭო კი კარს აგიტალახებს. ამიტომ ნიჭიერ კაცს, გულანთებულ პატრიოტს შენ უნდა დაუძახო. ყველაზე ნიჭიერი ის არის, ვისაც ნიჭიერი უყვარს.

ენდეთ, მაგრამ შეამოწმეთ თქვენი ახლობელი პოლიტიკური თანამზრახველები: ვის უწევენ და ვის არა რეკომენდაციას. თავადაც თქვით და აქამდეც იცოდა ხალხმა, რომ ბიძინა ივანიშვილი კადრებს ჯერ პროფესიონალიზმის, მერე კი პატიოსნებისა და მეგობრობის მიხედვით არჩევს. გთხოვთ, ამ ჩამონათვალს თავში დაუმატოთ „პატრიოტიზმი", ან არადა, როგორც ცხონებული რევაზ თაბუკაშვილი იტყოდა, ვისურვებდი პროფესიონალიზმი პატრიოტიზმის ერთ-ერთი უმთავრესი გამოხატულება იყოს თქვენთვის.

### ენა უკლიტოდ მორბედი

ღვთის განგება ასეთია: ჭკვიანი კაცი მცირედს საუბრობს, სულელი ან ავანტურისტი – ბევრს. კარგად უთქვამს ლა ოძის – „ბრძენი დუმს, უმეცარი ლაყბობს"-ო, მაგრამ არც ვახტანგ VI-ის ნათქვამია ნაკლები: „ენა უკლიტოდ მორბედი, ჭირია ულხინობელი". ქართველმა კაცმა კარგად იცის ამ სიბრძნის ყადრი – ერთხელ კი მოუსმენს სოფლის შარაზე გამომდგარ „ოქროპირს", მაგრამ მერე და მერე ყურს აღარ ათხოვებს და ყეენივით გაამასხრავებს. შვიდი წელია ამ დღეშია ქართველი კაცი, შვიდი წელია ნერონის უსამართლობით, ტაკიმასხარობითა და სისულელეებით იტანჯება. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენით და მისი სიდარბაისლით გულზე მოეფინა საზოგადოებას: ამპარტავნების წილ დიდსულოვნება, მტრობის წილ სიყვარული, მშიშრობის წილ ვაჟკაცობა, ლაყბობის წილ მოზომილი სიტყვა გაიგონა და დაინახა. იმაზე დიდი პიარი რა უნდა იყოს თქვენთვის, რომ საკუთარი პერსონით არასდროს შეგიბეზრებიათ თავი ხალხისთვის. მერწმუნეთ, ეს 5,5 მილიარდზე ნაკლები ქონება არ არის და მისი გაფლანგვა პოლიტიკური გაკოტრების ტოლფასი იქნება.

ჩემი, როგორც ერთი რიგითი ქართველისა და ამომრჩევლის სურვილია, რომ თქვენი სახე და სიტყვა არც ამას აქეთ გაცვთეს. ხალხის წინაშე საჯარო და სატელევიზიო გამოსვლები კვლავაც მკაცრად რეგლამენტირებული იყოს, ხოლო სიტყვა ძალიან მოკლე და კონკრეტული. შეიძლება არ გესიამოვნოთ ან იუცხოოთ, მაგრამ ამ მხრივ, სტალინის გამოცდილება უნიკალურია. ზევით ნათქვამიდან გამომდინარე, შეიძლება გაკვირვება გამოიწვიოს ჩემმა მეორე სურვილმა: საჭიროა კიდევ უფრო გააქტიურება, ოღონდ ისე, რომ კულმინაციას საჭირო დროს მიაღწიოს. ისმის შეკითხვა: როგორ უნდა გააქტიურდეთ თუ ტელევიზიით და საჯარო გამოსვლებით იპასიურებთ. აი, აქ არის საჭირო ისეთი გუნდი პოლიტიკური მოციქულებისა, რომელთაც დარბაისელი ორატორებისა და ჭეშმარიტი მამულიშვილების რეპუტაცია აქვთ. აღებული ტემპის დაგდება არ შეიძლება. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ე.წ. ხელისუფლება საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე გადაერთო და თამაში მის ნახევარზე მიმდინარეობს. საფეხბურთო ენაზე რომ ვთქვათ, შეტევები უნდა გაგრძელდეს მანამდე, სანამ მოწინააღმდეგე საბოლოოდ არ დანებდება, ჯერჯერობით კი ანგარიში მხოლოდ 1:0-ია. საკმარისია, სერიოზული კონტრშეტევა გამოგვეპაროს, რომ ყველაფერი წყალში გადაიყრება.

ზევით რამდენიმე ხიფათი და კონტრშეტევა კი ვახსენეთ, მაგრამ არაფერი გვითქვამს ისეთ სიბილწეებზე, როგორიცაა პირადად თქვენი და თქვენი ოჯახის შეურაცხყოფის სურვილი, ჭორების აგორება, დაქირავებული პიიტიკოსების სკაბრეზული გააქტიურება და ა.შ. თუ სიმშვიდეს შევინარჩუნებთ, ამ შეტევების მოგერიება არ გაგვიჭირდება, რადგან ამ მხრივ აქეთ გაცილებით დიდი რესურსია. თანაც ხომ ვიცით, რომ, როცა საყანედ ჭაობიან ნიადაგს ვამზადებთ, ბაყაყების ყიყინსაც უნდა შევეგუოთ.

შეიძლება ბევრმა გაიკვირვოს თუ როდიდან მოვკიდე ხელი ისეთ უმადურ საქმეს, როგორიც მრჩევლობაა და რომელი სოლომონ ლიონი- ძე ვარ, მაგრამ არის ჟამი, როცა უმოქმედობა და დუმილი ღალატია. მე აქ ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს!

ჩვენი სამშობლო ახლა ძალიან გაჭირვებულია, გაჭირვებულისათვის კი იმედი მეორე სულია.

იმედი გამოჩნდა, მაგრამ თუ იგი დაიკარგა, საქართველო ერთხანს სულით დაობლდება.

**გელა ქოქიაშვილი**

# ukavSirdeba Tu ara vasil sanoZis daWris ambavi totalizatorebSi momxdar saerTaSoriso xasiaTis afioras?



შსს-ს გენერალური ინსპექციის უფროს ვასილ სანოძის დაჭრის ამბავმა მეხის გავარდნის ეფექტი გამოიწვია. ოფიციალური ვერსიით, თითქოს მას ტაბელური იარაღი გაუვარდა და თავის არეში დაიჭრა, თუმცა საზოგადოებამ ეს ინფორმაცია ნაკლებად დაიჯერა. ისიც ითქვა, რომ დაჭრამდე სანოძე რესტორან „პურის სახლში" იმყოფებოდა და იქაურობა ნასვამ მგომარეობაში მყოფმა დატოვა. ამ სუფრაზე რამდენიმე ადამიანი იყო, მათ შორის ფრანგი სტუმრებიც. შსს-ს ადმინისტრაციის უფროსმა შოთა ხიზანიშვილმა ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა, რომ სანოძეს იარაღი საკუთარ ბინაში გაუვარდა.

სანოძის მეზობლების თქმით, მისი ბინიდან ხმაური კი შემოესმათ, თუმცა იარაღიდან გასროლის ხმა არ გაუგონიათ. ამ ინფორმაციამ გარკვეული ეჭვი მაშინვე გააჩინა. ისე ვრცელდებოდა ხმები, რომ სანოძეს ან ესროლეს, ანდა თავის მოკვლა აიძულეს. უფლებადამცველები ამ ინციდენტს სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეს უკავშირებდნენ, რადგან სწორედ იმ პერიოდში გამოიტანა ევროსასამართლომ ამ საქმეზე გადაწყვეტილება. მკვლელობის მცდელობაა თუ თვითმკვლელობის, ამ საქმეში ხელისუფლების ხელი ურევიაო.

სანოძე „სასწრაფო დახმარების" ავტომანქანით გადაიყვანეს ღუდუშაურის კლინიკაში და დაცვის ზომები ისე იყო გაძლიერებული, საავადმყოფოში პაციენტებსაც კი არ უშვებდნენ. მოგვიანებით, მძიმედ დაჭრილი სანოძე ისრაელის ერთ-ერთ კლინიკაში გადაიყვანეს და მალე ეს ამბავი ყველას მიავიწყდა. სად იმყოფება სანოძე და რა მდგომარეობაშია, ამის შესახებ ხელისუფლება დუმს. „საერთო გაზეთს" ისიც უთხრეს, რომ იგი გამოჯანმრთელდა, საქართველოში დაბრუნდა და შსს-ში თანამდებობაზეც დანიშნეს, თუმცა ამ ფაქტს არ ახმაურებენო.

სანოძის ირგვლივ რომ შავი ღრუბელი გროვდებოდა, ამის შესახებ ბევრად ადრე გახდა ცნობილი. მას პროკურატურასთან დაპირისპირება, რომ ჰქონდა და მის წინააღმდეგ ეს უწყება კომპრომატებს რომ აგროვებდა, ეს ინფორმაცია მასმედიით ზაფხულში გავრცელდა. სანოძის დაჭრასაც ამ ფაქტს უკავშირებდნენ. სანოძემ პროკურატურის რამდენიმე თანამშრომელი დააჭერინა და შურისძიების მიზნით, პროკურატურას მისი დაჭერაც უნდოდა ქრთამის აღების ბრალდებითო. საბოლოოდ ამ ყველაფერს ყოფილი პოლიციელი შეეწირა, რომელსაც ე.წ. თაღლითობისთვის 12 წელი მიუსაჯეს, რადგან მან სანოძის საწინააღმდეგო ჩვენება არ მისცა.

ცოტა ხნის წინ „საერთო გაზეთს" ანონიმურმა წყარომ საგულისხმო ინფორმაცია მიაწოდა, რომელიც სანოძის დაჭრის მიზეზებს კი არა თავად დაჭრის ფაქტსაც ეჭვქვეშ აყენებს. ჩვენ ამ ინფორმაციის სიზუსტეზე თავს ვერ დავდებთ, მაგრამ ყველა ვერსიას აქვს არსებობის უფლება, ამიტომ თავს ვალდებულად ვთვლით მკითხველს მივაწოდოთ. მითუმეტეს, რომ, როგორც გვითხრეს, ეს სამთავრობო წრეებიდან გამოჟონილი ინფორმაციაა.



საზოგადოებას კარგად ახსოვს იმ ფეხბურთელების ამბავი, რომლებიც ე.წ. გაყიდულ მატჩებს თამაშობდნენ. ეს ფეხბურთელები კი დასაჯეს, მაგრამ საქმე აქვე შეწყდა. ვინ უკვეთავდა მათ ასეთ თამაშებს საზოგადოებისთვის უცნობი დარჩა. წყაროს ინფორმაციით, ამ „ბიზნესში" კარგად გათვლილი სქემა მუშაობდა, რომელსაც მერაბიშვილის უწყება კურირებდა. უშუალოდ კი ვასილ სანოძე ხელმძღვანელობდა.

ახლა კი კონკრეტულად ამ სქემაზე ვისაუბროთ. მოგეხსენებათ, ტოტალიზატორები მთელ მსოფლიოში და მათ შორის აზიის ქვეყნებშიც მუშაობს. უცებ აღმოჩნდა, რომ ყაზახეთში, უზბეკეთში, ყირგიზეთში და უფრო მეტიც, ჩინეთში ვიღაცვიღაცები ძალზე სერიოზულ ფსონებს დებდნენ ქართულ საფეხბურთო გუნდებზე, თუმცა ჯობს, ჩვენს წყაროს მოვუსმინოთ:

„100.000 აშშ დოლარზე ნაკლები არცერთი ფსონი არ ყოფილა. რანაირი გულშემატკივარი უნდა იყოს თბილისელი კაცი თუნდაც თბილისის „დინამოსი", რომ ყაზახეთსა და ჩინეთში ჩავიდეს ტოტალიზატორში ფსონის დასადებად. გახსოვთ, გაყიდულ თამაშებზე რუსთავის „ოლიმპიკის" და სხვა გუნდების ფეხბურთელები ჩავარდნენ. ჩინელებმა და ყაზახებმა მგონი ისიც არ იციან, სად არის რუსთავი და სამტრედია. ცხადია, რომ ამ გუნდებზე ქართველები დებდნენ ფსონს, რომლებიც შსს-ს თანამშრომლები იყვნენ, მათ შორის ყოფილა სანოძეც. იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამ ყველაფერს. ეს ფსონები ისეთ ხალხის სახელით იდებოდა, რომელთა გაშიფვრაც, ცხადია, ხელისუფლებას არ აწყობდა. დადებდნენ ამ 100.000-ს თუ მილიონს და ზუსტად ისე დამთავრდებოდა თამაში, როგორც წინასწარ იყო გათვლილი. ამით კი ორმაგ თანხას იგებდნენ. ხსენებულ ქვეყნებში უზარმაზარი ტოტალიზატორებია, სადაც ძალზე დიდი ფული ტრიალებს. სპეციალურად შეარჩიეს ისეთი ქვეყნები, სადაც უფრო გულუბრყვილო ხალხი ცხოვრობს. ამხელა ფსონებმა და მოგებებმა ზედა ეშელონებში ეჭვი გააჩინა და დაიწყო გამოძიება. ცხადია, ვიღაცაზე უნდა გასულიყვნენ. გავიდნენ კიდეც, მაგრამ მათი გაშიფვრა არ აწყობდათ. ადგნენ და ამ ყველაფერს შესწირეს სანოძე, ისევე როგორც, თავის დროზე ირაკლი კოდუა. კი იმიზეზებენ რაღაცებს, მაგრამ ყველამ ხომ იცის, რომ კოდუა რეალურად, იარაღის ბიზნესს შეეწირა. სოდი ფაქტობრივად, გააუქმეს და მას შსს-ში საკმაოდ მოკრძალებული თანამდებობა მისცეს.

სანოძე რომ დაეჭირათ, ალაპარაკდებოდა, რაც ხელისუფლებას არ აწყობდა. ამ ქვეყნებიდან უზარმაზარი თანხებია წამოღებული და საეჭვოა, რომ ამით მარტო იგი სარგებლობდა. ამიტომაც გაითამაშეს ეს დაჭრის სცენა, რომ სანოძე საქართველოდან მოეშორებინათ. საქმე იმაშია, რომ თურმე ის სასიკვდილოდ დაჭრილი არც ყოფილა. ან იყო კი საერთოდ დაჭრილი (სანოძის მეზობლებმაც ხომ თქვეს, რომ გასროლის ხმა არ გაუგიათ – მ.ს.)? სხვათა შორის ექიმებისგან გამოვიდა ეს ინფორმაცია. მერე ისე გააფორმეს ყველაფერი, რომ თითქოს ქორწილიდან წამოსულ სანოძეს შემთხვევით გაუვარდა იარაღი და უცებ მოაშორეს აქაურობას, ვითომ სამკურნალოდ გაუშვეს. თუ არ ჩაცხრებოდა ამ ტოტალიზატორებთან დაკავშირებული ამბები, მერე ალბათ, იმასაც იტყოდნენ, რომ მოკვდაო. სულაც აღარ ჩამოვიდოდა იგი საქართველოში და რომელიმე ქვეყანაში იცხოვრებდა.

ჩააწყვეს ეს ყველაფერი და იმ რამდენიმე ფეხბურთელზე გადატეხეს ჯოხი, მოლაპარაკებული იყვნენ და ჩაწყობილ თამაშებს თამაშობდნენო. ვისთან იყვნენ მოლაპარაკებული, იმაზე რატომ არ გავიდნენ? აქ ჩააწყობდნენ საქმეს, ვის როგორ უნდა ეთამაშა, მისცემდნენ მათ 5-5 ათას დოლარს, თვითონ კი მილიონებს იგებდნენ. მერე დაიჭირეს ეს საწყალი ხალხი, ვიღაცას სამუდამოდ აუკრძალეს ფეხბურთის თამაში და ამით დამთავრდა ყველაფერი".




ვერაფერს ვიტყვით, მშვენიერი სქემაა ფულის საშოვნელად და მით უმეტეს გასათეთრებლად. ისე, საეჭვოა, ხელისუფლება ამ მოგებების კანონიერებით დაინტერესებულიყო, მაგრამ თურმე აზიის ქვეყნებში ისეთი სისწრაფით კოტრდებოდა ტოტალიზატორები, რომ თავად ამ ქვეყნებში გაჩენილა ეჭვი. ეტყობა, კვალმა საქართველოსთან მოიყვანა და ნაცხელისუფლება იძულებული გახდა „გადამჭრელი ზომები" მიეღო.

**მანანა სუხიშვილი**

# Saliko, valiko da yvela gaCumdes da visac rogor SeuZlia, ise dadges ivaniSvilis gverdiT...

*გვესაუბრება*
*ლელიკო ჯაფარიძე.*

**— ბატონო ლელიკო, ხელისუფლებაში არეულობა დაწყებულა, თქვენ ხომ არაფერი იცით ამის შესახებ?**

— მინდა დანამდვილებით გითხრათ ის, რაც ჩემი ყურით მოვისმინე. მირეკავენ გურიიდან, სამეგრელოდან, სვანეთიდან, სამცხე-ჯავახეთიდან ისეთი ხალხი, სულ რომ ცალი ფეხით ჩამომკიდონ, მაინც ვერ ვიტყვი მათ გვარ-სახელებს. ეს ხალხი მეუბნება: ამზადებენ ჯარს, წვრთნიან და არ იკითხავთ, ვის აგროვებენ? — პრობაციონერებს. ემუქრებიან: არ წამოხვალთ, ისევ ციხეში შეგაბრუნებთო.

ყველასთვის ცნობილია, სასროლეთი რომ გამართეს და იქ ავარჯიშებენ ხალხს. სამოქალაქო ომისთვის ემზადებიან ბიჭები. არეულობა სჭირდება, ეტყობა, მიშას ახლა, ამ თმაშეღებილ დეგენერატს... მაგრამ ამ ბოლო დროს ველარ ილებავს, თმებს რეზო ამაშუკელის შიშით.

მიშა სააკაშვილის საქმე, ბატონებო, მოთავებულია უკვე, გვამია ეს კაცი და ვერავითარი თმის ღებვა და ვიზაჟისტი ველარ უშველის.

**— სასიკვდილო დარტყმა ივანიშვილმა მიაყენა, თქვენი აზრით?**

— დიახ, ბატონო და აფერუმ, ბიძინას ვაკაცობას, აქამდე რომ საიდუმლოდ შეინახა თავისი განზრახვა და მოულოდნელად რომ ჩასცა მახვილი.

აწი, ველარაფერი ვერ უშველის სააკაშვილს, ისეა დაზაფრული თვითონ და მისი გარემოცვა. კარუსელებით ცდილობენ ვითომ სიტუაციის გამოსწორებას. აგერ ახლა კვეზერელი გაუშვა და გოროზია მოიყვანა. კვეზერელი რაც იყო და ვინც იყო, დაინახა მთელმა საქართველომ, მაგრამ გოროზიამ რა იცის სოფლის მეურნეობის? ექიმი ვარო, რომ ამბობს, მაგას კლიზმა რომ დააჭერინო ხელში, ტ...ს ვერ მიაგნებს.

ეს უბედურები რაღაცას ეპოტინებიან, მაგრამ აღარაფერი უშველით. არეულობა აქვთ შიგნით, მთავრობაში და ეს ამბები გამოაქვთ იქედან. ყველაფერი ვიცით, რაც იქ ხდება.

**— თქვენ საიდან იცით, იქ, მთავრობაში რა ხდება?**

— მირეკავენ და მეუბნებიან: რა ვქნათ, რას გვირჩევ?! მე ვეუბნები: დაჰკარით ფეხი და გაიქეცით, სანამ კიდევ დროა-მეთქი.

სასტიკად ეშინიათ ივანიშვილის და ხალხის. მალე ვიხილავთ ყველა მათგანს სოროებში შემძვრალს, ან ჩემოდანზე შემომჯდარს და გაქცეულს, მაგრამ როცა მოვა სამართლიანი ხელისუფლება და ეროვნული ხალხი. არავის შერჩება ქვეყნის გაღლეტა და გაძარცვა.

**— ივანიშვილი თუ მოვიდა ხელისუფლებაში, თქვენი აზრით, სამართალი იზეიმებს? აქა-იქ, სხვათა შორის, არ ვიცი, რა ინფორმაციაზე დაყრდნობით, მაგრამ მაინც, ამბობენ, თუკი ხელს სააკაშვილისკენ იშვერთ, არც ივანიშვილი გახლავთ ქართველიო.**



— მეცინება პირდაპირ, ვინ, კაცო, ეს ჭორვილელი კაცი არაა ქართველი? კარგით, რაა. არაქართველი და კერძოდ, პირწავარდნილი სომეხი არის მიხეილ სააკაშვილი, ამას წყალი არ გაუვა და ყველამ იცის დღეს ეს ამბავი.

არჩევნებში სააკაშვილი ყველგან აგებდა, მაგრამ საბოლოოდ მარნეული, გარდაბანი და ეს მხარე შველოდა, რატომ? იმიტომ, რომ, სომხეთის და აზერბაიჯანის მთავრობა მოუწოდებდა თავიანთ ხალხს, მიეცით ხმა სააკაშვილის და შეღავათებს და პრივილეგიებს მიიღებთო. აქვთ კიდევაც არაქართველებს ქართველებთან შედარებით პრივილეგიები იმ რეგიონებში, მაგრამ ერთხელ და სამუდამოდ, სარქისიანმა და ალიევმა დაანებონ თავი სააკაშვილის მხარდაჭერას, პოლიტიკური გვამია უკვე თქვენი მიხეილი!

ქვეყანა თავზე ენგრევა ამ არანორმალურს და კიდევ პიარზე ფიქრობს? საქართველო — სომხეთის საზღვარზე რომ მიწისძვრა მოხდა, გამოვიდა ეს უბედური და კიდევ იმაზე დაიწყო ლაპარაკი: სომხეთის ტერიტორიაზე გზები არაა გაკეთებული და იმიტომ მოხდა ეს ტრაგედიაო.

კაცია, ახლა, ეს? და ხალხი არიან, ვინც ამ გადარეულის გვერდით დგანან? კეთილდღეობა წარმავალია და ამაში მე თვითონაც დავრწმუნდი. 40 წლის განმავლობაში მოსკოვში არაჩვეულებრივად ვცხოვრობდი, არ მაკლდა არაფერი, ახლა თითქმის მათხოვრად ვარ ქცეული, მაგრამ კაცობა და ადამიანობა არ დამიკარგავს.

ბარგიანი მკვდარი გინახავთ სადმე? საფლავში ვერავინ ვერაფერს ჩაიტანს და ეს შესანიშნავად იცის ივანიშვილმა, ამიტომაც აქვს გაკეთებული არაერთი კეთილი საქმე, ქველმოქმედება, ჭორვილადან და საჩხერიდან დაწყებული მთელი თბილისით დამთავრებული.

**— ახლა ამ ყველაფერს პოლიტიკური აქტივობაც მიემატა და მოითმენს ამდენს ხელისუფლება?**

**— დღეს რომ ვიყო 30 წლის ახალგაზრდა, დავდგებოდი ივანიშვილის კარებთან და სადაც წავიდოდა, გვერდიდან არ მოვცილდებოდი, რომ მისთვის დამიზნებული ტყვია მე მომხვედროდა.**

ბადრი პატარკაციშვილის საფლავს ვენაცვალე, ისეთი რამ კიდევ რომ მოხდეს, დამთავრებულია საქართველოს ამბავი.

ბადრის პერიოდის სიტუაცია დღევანდელისგან მკვეთრად განსხვავდებოდა, დღეს ხალხი თვითონ არის მზად ყველაფრის შესაცვლელად.

ზოგიერთი ამბობს, მიტინგები და გამოსვლები არ უნდა ივანიშვილს და არჩევნებამდე ჯერ კიდევ შორიაო. ვინ უნდა გამართოს მიტინგი. ისევ იმ ოპოზიციამ? რომლებსაც არაერთხელ და ორჯერ ერთი და იგივე აქვთ ნათქვამი? არც მე და არც ჩვენი მოსახლეობა მიტინგზე დღეს აღარ დადგება ამ გატიალებული ოპოზიციის გვერდით. ყველამ ერთნაირად მოიჭრა თავი, ქალბატონმა ბურჯანაძემაც, რომელიც საბოლოოდ დამთავრდა 26 მაისს თავის „კრებიანად“ და მომხრეებიანად.

კაი, ბატონო, გასაგებია, ამ ბოდიში და, ქლვინტიან სააკაშვილს თვალში ეჩხირება ივანიშვილი, მაგრამ ლეიბორისტებს რა ბზიკმა უკბინათ, რომ გამოხტებიან და ტლიკინებენ. ვერ ხედავენ, ვინ არიან თვითონ და ვინაა ბიძინა ივანიშვილი?

**— ბატონო ლელიკო, ასე ყველაფერი მოგწონთ ივანიშვილის? საერთოდ უნაკლოდ მიგაჩნიათ?**

— ჩემო ირანდა, მე ჩემი ქვეყნის ბედ-იღბალს დადარაჯებული კაცი ვარ და ჩემი ხალხი მინდა გავაფრთხილო — ვიცი, ივანიშვილმა იმედი გამოუფხიზლა ხალხს, მაგრამ, ხალხო, ბიძინა არის ბიძინა და ღმერთი ჩვენთვის არის ერთი. არ გავაღმერთოთ ივანიშვილი, კერპად ნუ წარმოვიდგენთ, არც ის დავღუპოთ და თავსაც გავუფრთხილდეთ.

რაც შეეხება იმას, მაქვს თუ არა შენიშვნა. მაქვს. ბიძინა ივანიშვილი არის ზედმეტად ინტელიგენტი. ამ მთავრობას კი მუშტი უნდა ცხვირში. ამას ვერ გააკეთებს ივანიშვილი და ეს უნდა გავაკეთოთ ჩვენ, ხალხმა.

ბიძინა კულტურით აღსავსე კაცია და ეს გამოჩნდა პრესკონფერენციაზე. გაფაციცებით ვუმზერდი, სად შეეშლებოდა, ყველამ ვნახეთ, რაც მოხდა. ეს რა ვნახე, რა ამბავი იყო, კაცო.

**— პრესკონფერენციაზე?**

— დიახ, ბატონო, დიახ. ვინ იყვნენ ის ხალხი, ჟურნალისტები ერქვათ იმათ? სად იყავით, რატომ არ ჩანდით, მაგალითად, თქვენ, ანდა ჯაბა ხუბუა, სხვა პატიოსანი ჟურნალისტები?

**— ბატონო ლელიკო, თქვენი აზრით, რატომ აღმოჩნდა ზოგიერთი ჟურნალისტი იმ დღეს ივანიშვილსა და ხალხს შორის ბარიერის, დამაბრკოლებლის როლში? რატომ ჩადგნენ შუაში, თქვენი აზრით?**

— იმიტომ რომ, მთავრობა, ხელისუფლება, პარლამენტი კარგად ხვდება საფრთხის სერიოზულობას, რადგან მათი არსებობის ვადა თანდათან იწურება. ვინც იმ დღეს ივანიშვილს შეუპოვრად უტევდა, ასე ვთქვათ, ყველა არის გამძღარი ფულით ამ ხელისუფლებისგან, ზოგი ფარულად, ზოგი — აშკარად.

რომ ლაპარაკობდნენ, ივანიშვილმა ფული რუსეთში იშოვა და ამიტომ რუსეთის კაციაო. ფული ტაშკენტში რომ ეშოვა, ბიშკეკში, ანდა სხვა პლანეტაზე, რას იტყოდნენ მაშინ?! ივანიშვილი უცხოპლანეტელიაო?!

გამინაწყენდებიან ამ სიმართლისთვის ის ჟურნალისტები თუ არა, სულ არ მაინტერესებს — I არხისთვის, „რუსთავი-2“-სთვის, „იმედისთვის“ არასდროს მიმიცია ინტერვიუ და არც ვაპირებ, სიმართლე თუ გინდათ.

**— ჟურნალისტმა უნდა დასვას კითხვა, ამის გამო გაბუტვა არ შეიძლება, ბატონო ლელიკო.**

— გასაგებია, თქვენ ჟურნალისტი ხართ და მხარს უჭერთ კოლეგებს, მაგრამ ის სიმართლე, რაც უნდა ჰქონდეს ჟურნალისტს, ვამჩნევ, რომ არა აქვს ყველას.

კი, აუცილებელია მძაფრი შეკითხვები, მაგრამ გააჩნია დროს, ვითარებას, სიტუაციას. ივანიშვილს ჯერ არაფერი დაუშავებია ისეთი, მტრად რომ გადაეკიდოს ვინმე და ჯიბრში ჩაუდგეს.



ჟურნალისტები იმ დღეს ყვავების ხროვას ჰგავდნენ, რომლებსაც სადღაც საკბილო ეგულებოდათ. ეს იგივეა, ცხენს რომ ვერ მისწვდე და უნაგირს დაუწყო ცემა. სალანძღავი და ჯიბრში ჩასადგომი საქართველოში ცოტაა?

როგორც გავიგე, ივანიშვილი აპირებს ქართულ ოპერას ძველი დიდება დაუბრუნოს. მე ვიცი, როგორ იმართება მეტროპოლიტენ-ოპერა, კოვენგარდენი, ლა სკალა, იმათ ვერავინ დაურეკავს და უბრძანებს: დღეს ეს სპექტაკლი გაუშვი, ხვალ — მეორეო. რობიკო სტურუა თეატრიდან იმიტომ დაითხოვეს, რომ გზა გაეთავისუფლებინათ იმ იდიოტური „ქეთო და კოტესთვის“, რომელსაც მე უკვე ვუწოდე „ქეთო და კუტუ“. ვის რა ჯანდაბად უნდა ის უაზრობა, რეპერტუარში ყოველდღე მიყოლებით რომ არის ჩასმული.

დავანებოთ თავი სისულეეებს. გამოვფხიზლდეთ და ჩვენს საქმეს მივხედოთ. დაანებონ ამ ე.წ. ოპოზიციონერებმა ივანიშვილს თავი, ნუ აქვთ კუდი ყავარზე გადებული, არაფრის მაქნისი არაა არც ერთი და ნუ იქაჩებიან. არასაპარლამენტო და საპარლამენტო ოპოზიცია ერთნაირია თითქმის —„მე თვითონ“ თუ „შენ თვითონ“, პარტიაა ახლა ეს? სახელი შეუცვლია ახლახან, მაგრამ ეს არ უშველის მაგათ. თორთლაძე, რომ არის კიდევ, ეს კაცობის ანომალია, ესა...

**შალიკო, ვალიკო და ყველა გაჩუმდეს და ვისაც როგორ შეუძლია, ისე დადგეს ახლა ივანიშვილის გვერდით, ერთი საქმისთვის — საქართველოსთვის.**

**ირანდა კალანდაძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# fu l i Tu `u fa l i~, saxe l ad akaki?!

ორიოდე დღის წინ ვერის ბაღში საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება „სრულიად საქართველოს ხსნის ეროვნული ფრონტის" რიგგარეშე საგანგებო ყრილობაზე გახლდით მიწვეული, სადაც „ფრონტის" მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები გვამცნეს.

კითხვა: — ვის აირჩევდით წინამძღოლად, ვის ანდობთ ქვეყნის მართვის არსებული სისტემის და ხელისუფლების ახლით შეცვლას; თუ, დარჩეს არსებული სისტემა ამ ხელისუფლებით?

**გამოკითხვის შედეგები ასე გადანაწილდა: — 1. სახელისუფლებო (საააკაშვილი, ბოკერია, უგულავა...) — 7%; 2. სახელისუფლებო ოპოზიცია (თარგამაძე, ალასანია...); 3. რადიკალური ოპოზიცია (ბურჯანაძე, გაჩეჩილაძე, სანიკიძე...) — 0,4%; 4. ნათელაშვილი შალვა — 1%;; 5. ოპოზიციური ინტელიგენცია (გაფრინდაშვილი, ჩხარტიშვილი, ხაჭაპურიძე) 6. ივანიშვილ-ივანაშვილი ან მისი პარტია-გაერთიანება — 17%; 7. აკაკი ჯორჯაძე — 62%; 8. არავის — 10%**



მარტივი გამოთვლაა, რა პროცენტებიც დარჩა, გადაანაწილეთ მათზე, რომელთაც პროცენტები არ მივუწერე, — მაპატიეთ და, ე.წ სოციოლოგიური კვლევით მიღებულმა პროცენტებმა ისე გამაოგნეს, იმ პაწაწუნებს ველარ „ჩავუღრმავდი."

ფაქტია, ბატონ აკაკის ხელთ უპყრია ორი კვირის მანძილზე გამოკითხვაში მონაწილეთა მიერ შევსებული ბლანკები, მაგრამ ვინ არიან გამოკითხულები? — 62%-ის შემხედვარეს ისეთი აზრი გამიჩნდა, რომ ისინი ბატონი აკაკის გაერთიანების წევრების ახლობელ-ნათესავები უნდა იყვნენ. ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე ყველანაირ სოციალურ ჯგუფთან თუ ცალკეულ პირთან მიწევს ურთიერთობა, — რა ვქნა, თუკი უდიდეს უმრავლესობას, არათუ ხსენებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, ბატონ აკაკის პიროვნების შესახებ არ სმენიათ არაფერი...

როგორც იტყვიან, „ეს მათი პრობლემაა", მაგრამ 1 ნოემბრს სპეციალურად გამოცემული (ასეთი წარწერა აქვს) „სიტყვა" №7 რომ წავიკითხე, პირსკატა მეცა, — ბატონი აკაკი უცნაურად აკავშირებს ერთმანეთთან საკუთარ მისიას და ქართველი ერის არჩევანს: ფული თუ უფალი?

„ფიზიკურად შეიქმნა პირობა, თითქოს „იქით" პირისპირ დადგნენ სააკაშვილი და ივანიშვილი, და თითქოს მათ შორის უნდა გაკეთდეს არჩევანი, ასე ხდება ამ თემის „აჟიტირება"; მაგრამ, სინამდვილეში ერს, ქვეყანას, ქართველობას ასარჩევი გვაქვს უფრო დიდი, უფრო მნიშვნელოვანი: ფული, თუ უფალი?"

გასაგებია, რომ ფულში ივანიშვილ;ი იგულისხმება, მაგრამ ვინ არის შეფარული უფლის სახელქვეშ, ვინ მოიაზრება უფლის სიტყვის მომტანად? — პატრიარქი რომ არ იგულისხმება, ცხადია, სამოქალაქო-პოლიტიკურ სარბიელზეა საუბარი.

ბატონი აკაკი ბრძანებს, მაისის ბოლოს განცდილი მარცხის შემდეგ და მანამდეც, გვპირდებოდნენ სექტემბერში გამოჩენას, მოალპარაკებებიც მაშინ განვაახლოთო, მაგრამ საერთოდ გაქრა ასპარეზიდან „რადიკალური ოპოზიცია", პოლიტიკური არენა მთლიანად მოსუფთავდაო. ოქტომბრისთვის, როცა უკან მოვბრუნდი (უარვჰყავი ჩემი ნათქვამი „დავამთავრე" და სოფელში წავედი) და მზად ვიყავით ერი არჩევანისთვის, საგანგებო ყრილობაც დავნიშნეთ, ივანიშვილიც გამოვიდა ბრძოლის ასპარეზზეო, — რას ნიშნავს ეს განაცხადი, ივანიშვილი ანუ ფული დაუპირისპირდა ჯორჯაძეს, ანუ უფალს? — სხვა არაფერი იკითხება ამაში...

„პირდაპირ, შიშვლად გამოჩნდა მილიარდელი, დღემდე ხალხში მხოლოდ მეცენატად ცნობილი პიროვნება საკმაოდ თამამი, ამბიციური განცხადებებით და დაისვა საკითხი: ან სააკაშვილი და მისი რეჟიმი, ან ერთი ივანიშვილი, რომელიც ამბობს: ჩემთან მოდით, მე გადაგარჩენთ! — სატყუარა ამ დროს, რა თქმა უნდა, ფულია!"




როგორც მახსოვს, უფალი ფულში კი არ ხედავს ბოროტებას, არამედ ფულის ბოროტად გამოყენებაში...

„არ დგას საკითხი, სააკაშვილი თუ ივანიშვილი, ეს ორივე ერთი მხარეა სხვადასხვა პიროვნებით წარმოდგენილი. ვიმეორებ: პიროვნულად ივანიშვილთან არავითარი პრეტენზია არ მაქვს, პირიქით, მივესალმები მის ნაბიჯს, თუმცა ვერ გეტყვით, იცის თუ არა მან, რაში გაყო თავი. თუ იცის (მე მგონია იცის!), მაშინ ეს სხვა სალაპარაკო თემაა... მთავარია, ერი, ქართველობა მივხვდეთ, რა თამაშია, დროში რა მოვლენასთან გვაქვს საქმე, პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოსული ყველა „მხსნელი" რატომ ითხოვს ჩვენს მხარდაჭერას", — კითხვას სვამს ბატონი აკაკი.

ნუთუ ვინმეს, სადმე გაუგონია ან უნახავს ერთი კაცის გაერთიანება? ბატონი აკაკიც ხომ საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერას ითხოვს, თანამოაზრეებს იკრებს, მაშ რაშია საქმე? გარდა ამისა, თუ „ესალმება" ივანიშვილის გამოჩენას, იქვე რატომღა „ემშვიდობება?"

„ფულზე და ერთ ფულიან ადამიანზე ნუ ავაგებთ ჩვენს მომავალს!" — ლოზუნგივით სტყორცნა გაზეთის მკითხველს ბატონმა აკაკიმ.

მომიტევეთ, თუ აზრობრივ წყობას ერთგვარად არეულად იღებთ, გორმახებიან უკიდეგანო ილუზიის ველზე დავქრივარ ბატონ აკაკისთან ერთად, მითუმეტეს, რომ ბატონი აკაკი ფლობს საიდუმლოს, ხსნის რა გზას დავადგეთ, მაგრამ არ ამხელს...

ბატონ აკაკის არ ემეტება პატივცემული ივანიშვილი (ბ-იძინა!) შარში გასახვევად და გასაწირად, მითუმეტეს, რომ იცის, იგი არ არის მხსნელი. „მდიდარს" გადასაწყვეტი ჰქონია, დადგეს ხალხთან თუ ხალხი მიიხმოს და ულტილატუმის სტილში არჩევანის საშუალება მისცეს, უთხრას: მემსახურეთ, ქვეყანა ჩამაბარეთ და საფასურს მიიღებთ.

„დროის მოთხოვნა ასეთია: ყოველ „სავლეს" შეუძლია იქცეს „პავლედ"; „ეროვნული ფრონტის" კარი ღიაა ყველასთვის! რას იზამს ბატონი ბიძინა?... — ვფიქრობ, საფიქრალი მასალა მივეცით, თუ წაიკითხა მან გულდასმით ჩვენი გაზეთი თავისი „მრჩეველებისგან" განმარტოებით."

ამგვარი მსჯელობა დაპატიჟებას უნდა წააგავდეს, არა? — მაგრამ აქვე გვახსენებს ბატონი აკაკი, რომ ბიძინა ივანიშვილი პატარკაციშვილი — კვანტრიშვილის დუეტის ბანია, „ტრიოს" წევრი და კიდევ ერთხელ გვაფრთხილებს, არ გავცვალოთ სამშობლო ფულზე. ამას ისევ ის მოსდევს, რომ არაფერი იქნებოდა უფულო ივანიშვილი და, რომ „ეროვნული ფრონტის" კარი ღიაა ყველასთვის და ყველას ყველაფრად გადაქცევა შეუძლია.

რა თქმა უნდა, ყველას შეუძლია განიცადოს მეტამორფოზა და სხვათაშორის, „ეროვნული ფრონტის" კარში შეუსვლელადაც...

არიან ადამიანები, ჩვენი საზოგადოების წევრები, რომლებიც ინტერესდებიან, რატომ ამბობს ბატონი ჯორჯაძე, რომ მის საგანგებო ყრილობას „დაამთხვია" ივანიშვილმა საკუთარი „პოლიტიკური ვნებების" გამომზეურება და რატომ არ უნდა ჩათვალონ, რომ პირიქით, ჯორჯაძემ დაამთხვია თავისი ყრილობა სწორედ რომ საგანგებოდ ივანიშვილის გამოჩენას?

მოქალაქეებს აინტერესებთ, 1 ნოემბერს, როცა ივანიშვილს პრესკონფერენცია ჰქონდა დანიშნული, ჯორჯაძემ იცოდა ამის შესახებ თუ ივანიშვილმა იცოდა რომ მისი განმაქიქებელი გაზეთის სპეცნომერი გამოდიოდა 1-ში და სპეციალურად დაამთხვია?

მოქალაქეები კითხვას სვამენ: — ჯორჯაძის გაერთიანებას რომ ჰკითხო, ყველაფერს დაიფიცებენ, ხელისუფლებასთან რა კავშირი გვაქვსო, მაგრამ საკითხი ასე დგას, — კავშირი გაქვს თუ არა, არსებული ხელისუფლების საქმეს რომ აკეთებ, ხომ ფაქტია? შეიძლება, არ მოგწონდეს ვიღაც, ამ შემთხვევაში ივანიშვილი, მაგრამ მისი „არმოწონების" გამო ხელისუფლების საქმე უნდა აკეთო?

„ფრონტის" წევრები (მათ კრებაზეც დასწრებული ვარ), ისე ნთქავდნენ ბატონი აკაკის ყველა სიტყვას, ვგონებ ტრანსში იყვნენ ჩავარდნილები...

ვფიქრობ, ასეც არ შეიძლება თანამოაზრეთა გამეტება, ცოდვანი არიან, მითუმეტეს, რაიონებიდან ჩამოვიდნენ, გაისარჯნენ, დაიხარჯნენ...

**მაია ჭელიძე**

facebook

# xa l xis az r i T

ნაციონალი ვაიჟურნალისტების საწყალობელი ღავღავისა და წკმუტუნის ფონზე რა ადამიანურად და ბუნებრივად გაისმა ივანიშვილის ღიმილნარევი, ლაღი ფრაზა ტრიპოლსკის მიმართ: "ე, ბიჭო, შენ მაინც გაჩერდი, რა!" ეს ეპიზოდი არასოდეს დამავიწყდება.

თემურ იაკობაშვილმა თქვა„სამოქალაქო საზოგადოება დღეს უფრო სუსტია, ვიდრე იგი რევოლუციამდე იყოო", მგონი, ნელა-ნელა ესეც იპარება მიშას ნავიდან! :)))))

უბრალოდ, როცა ამბობენ, ქუჩის საპროტესტო აქციები არ გვინდაო, ძაან უცნაურია. დემოკრატიული ბრძოლა პროტესტის მრავალ ფორმას იცნობს. ვინმეს ხომ არ ჰგონია, რომ პარლამენტი უფრო მშვიდობიანია ვიდრე ქუჩა? მე განახებთ რამდენიმე მაგალითს, სადაც კარგად ჩანს, რომ რიგ შემთხვევაში, პარლამენტში უფრო დიდი შეტაკებები ხდება, ვიდრე ქუჩაში

ჩემი აზრით, ქუჩაში გამოსვლის ლოგიკური დროა საპარლამენტო არჩევნები, თუ ნაცები აყალბებენ და იმარჯვებენ, ქუჩა გარდაუვალია. ოღონდ ამ ქუჩას კეთრივით ნუ ვუყურებთ, ქუჩაც დემოკრატიის ისეთივე გამოვლინებაა, როგორიც პარლამენტი. თავს გვახვევს ნაცისტურ-პროპაგანდისტული მანქანა, რომ ქუჩა ცუდია და ბოროტებაა. ცუდი ქუჩა კი არ არის, არამედ სისხლისღვრა, რომელიც, შეიძლება, ნაცისტურმა რეჟიმმა მოაწყოს!

მე მეგონა რომ, საზოგადოება შექმნილ სიტუაციას სწორად გამოიყენებდა, წინა წლებში დაშვებულ შეცდომებს გააანალიზებდა და მის გამოსწორებას შეეცდებოდა, ნაცვლად კი ერთი თვეა უკვე იმაზე ვდაობთ, აქვს ნაკლი ბიძინა ივანიშვილს თუ არა...

ციყვებივით ბორბალში ვტრიალებთ და, როგორც ვატყობ, კიდევ დიდხანს ვიტრიალებთ...

თუ ხედავ, რომ ადამიანში ყველაფერი ადამიანური პირუტყვმა ჩაკლა და მხოლოდ პირუტყვული ინსტინქტებით ცხოვრობს. მხოლოდ ჭამა-მონელება აინტერესებს და არ აღელვებს რა ფასად და ვისი. მხოლოდ პირუტყვული ვნებებით ცხოვრობს, სადაც მოუნდება და ვისთანაც მოუნდება..დორბლი და ცინგლი ერთნაირად გასდის... ასეთი ადამიანისადმი რა გრძნობა უნდა გაგიჩნდეთ ქართველებო, ქრისტიანებო..უნდა შეგეზიზღოთ თუ უნდა შეგეცოდოთ? (მითუმეტეს თუ დაფიქრდებით რატომ გახდა ის ასეთი ან როგორ მოხვდა იქ სადაც არის). თქვენი აზრი მაინტერსებს: ზიზღი თუ სიბრალული?

დღეს მომიყვნენ ერთი საინტერესო ამბავი ქართუ ბანკთან განვითარებულ მოვლენებზე. ვაკის ფილიალში 2 დღის წინ მოხუცი ქალბატონი მდგარა, ვიღაც ახალგაზრდა მისულა და უკითხავს — ქალბატონო, რამით ხომ არ დაგეხმაროთ, ანგარიშის გახსნა თუ გნებავთ, დაგეხმარებითო, ქალბატონმა უპასუხა: — სამწუხაროდ, ფული არ მაქვს, შვილო, თორემ ძალიან მინდა ანგარიშის გახსნაო, ამ ახალზრდამ საკუთარი ჯიბიდან დადო ფული და ანგარიში გაუხსნა უცნობ ქალბატონს „ქართუ ბანკში". პ.ს. ეს ფანატიზმი არ არის. ეს რწმენაა, რწმენა უკეთესი მომავლისა — რწმენა ქართული ოცნების რეალობისა.

საყოველთაო დაუმორჩილებლობის გამოცხადება უპრიანი იქნებოდა მომხდარი უბედურების მომდევნო დღეებში ან 26 მაისს მომხდარ დარბევის შემდგომ, მაგრამ, როცა ქვეყანაში გამოჩნდა მიშას საპირწონე ძალა ივანიშვილის სახით, რომელმაც ღიად განაცხადა არავითარი მიტინგები ხელისუფლების შესაცვლელად, არამედ მხოლოდ არჩევნებიო, რატომ აპირებთ არეულობის შემოტანას მაშინ, როცა სწორედ არეულობა აწყობს მიშას და მის ხროვას, იქნებ დაფიქრდეთ, რომ თქვენ ავტომატურად ხდებით იარაღი მიშას ხელში, ხალხის დასასჯელად და მიშას წისქვილზე წყლის დამსხმელად.



„ამ რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას ვიწყებთ არა ცივი იარაღით, არამედ უფრო ძლიერი იარაღით — გონებით, გულით, საქმით“ — მიმართა ფილარმონიაში საგანგებოდ შეკრებილ ხალხს **ნანა გულუამ**.

ქალბატონი ნანა რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენის მინდია გულუას დაა. თავად მინდია საქართველოში რამდენიმე თვის წინ ჩამოვიდა, თუმცა აეროპორტში დააკავეს და სამშობლოში დაბრუნების საშუალება არ მისცეს. რუსეთიდან დახმარების უფლებაც ჩამოართვეს: 100 მლნ.-იან ინვესტიციაზე, რასაც გულუა სოფლის მეურნეობის აღორძინებაში აბანდებდა, სააკაშვილის ხელისუფლებამ უარი თქვა.

სხვათა შორის, გულუა რუსეთში დაფრთიანებული ზოგიერთი ბიზნესმენისგან იმითაც გამოირჩევა, რომ სამშობლოში ჩამოსვლისა და დაბრუნების სურვილი გაუჩნდა.

თავად ფესვებს მოწყვეტილი თანამემამულეების ნუგეში შეიქნა და მოსკოვში ქართულ სათვისტომო „იბერიას“ ჩაუდგა სათავეში. უშურველად პატრონობდა, მატერიალურად ეხმარებოდა თითოეულ ქართველს. ახლა სააკაშვილის ჩინოვნიკებისაგან უფლებააყრილი, კონკრეტული მიზეზის გარეშე მოქალაქეობაჩამორთმეული, მაინც არ კარგავს იმედს.

საქართველოში კი მინდია გულუას დაწყებულ საქმეს მისი და-ნანა გულუა ჩაუდგება სათავეში. აი, ამ ახალი საქმის ირგვლივ იყო რამდენიმე დღის წინ ფილარმონიისთვისაც კი უჩვეულო ხალხმრავლობა. ქართველობა „განახლებული საქართველოს“ იმედით შეიკრიბა.

ფოიეში ჟურნალისტები გადიგამოდიოდნენ, ე.წ. ცნობად სახეებს ეძებდნენ. სანამ მედია „საკბილოს“ დასდევდა, შეხვედრის მასპინძელს თადარიგი დაეჭირა და იქვე ბუტერბროდებით, ნამცხვრით, ტკბილეულით, გაზიანი სასმელით ელოდა მოზღვავებულ ხალხს.





ე.წ. „პრეზენტაცია“, (როგორც ამ ბოლო დროს პარტიების დაფუძნებას ვუწოდებთ,) „ხორუმით“ გაიხსნა. ქართულ ცეკვას ჰიმნი მოჰყვა. ჰიმნს სიმღერა „ქრისტეშობაზე“, რაც ანსამბლ „თუთარჩელას“ გოგონებმა იმდენად მშობლიურად, იმდენად ემოციურად დამუხტულებმა შეასრულეს, ისედაც ერთი იდეით — „საქართველოს განახლებით“ შეკრებილებს ქართული ძარღვი კიდევ ერთხელ სამშობლოს განცდით შეუტოკდებოდათ. პირადად ჩემზე დარბაზში ჩემი კუთხის ხალხის-მეგრელების საუბარიც მოქმედებდა ემოციურად (იმედია, ქსენოფობიად არ ჩამეთვლება) როგორც გაირკვა, ორგანიზატორებს აფხაზეთიდან დევნილებისთვისაც მოეყარათ თავი. ბოლოს და ბოლოს, ამ ტკივილგამოვლილ ხალხსაც მიაქციეს ყურადღება-მეთქი, გავიფიქრე. შეხვედრა დიმა ჯაიანმა გახსნა. ის იყო ამ კრების კონფერანსიე.

# da ZmisTvisao, orive ki `ganaxlebuli saqarTvelosTvis~

**დიმა ჯაიანი, მსახიობი „საერთო სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობის“ წარმომადგენელი:**

— „ჩქიმი ჯიმა, ცოტა გვიჭირს, მაგრამ მაინც დავბრუნდებით“ — ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსით გაამხნევა სტუმრები.

პოეტმა **ერეკლე საღლიანმა** რუსოფობიის წინააღმდეგაც ისაუბრა და შენიშნა, რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენების არაეროვნულობაში დადანაშაულება, ისეთივე სიბეცე იქნებოდა, თავის დროზე ილიასთვისაც თერგდალეულობა გვესაყვედურაო. „პოლიტიკაში ავტორიტეტს არ წარმოვადგენ. თუმცა მაინც ვიტყვი, დღეს, ყველა რესურსი უნდა შევკრიბოთ საქართველოსთვის. მივესალმები ნანა გულუას პარტიის დაფუძნებას, ასევე მივესალმები ბატონი ბიძინას პოლიტიკაში მოსვლას. ამასაც ვიტყვი, მტრების სურვილის მიუხედავად, იმ დახმარებების და „გრანტების“ მიუხედავად, რასაც გავწვდიან, ყველამ იცოდეს, სამშობლოს ვერ ჩაგვადებინებენ. საქართველოს არ გავყიდით“

**რეჟისორი ლევან ანჯაფარიძე:** — „საკუთარ თავს და თქვენ, ქართველებო, გილოცავთ ისეთი პარტიის ჩამოყალიბებას, რომელიც საბოლოოდ დაძრავს ამ გაყინულ რეალობას. „განახლებული საქართველო“ თითოეული ქართველის ხსნა და იმედი იქნება. დღეის ამას იქეთ, აღარასოდეს ვნახავ ჩემს ხალხს დამფრთხალსა და შეშინებულს. საქართველოს ნამდვილად სჭირდება განახლება“

რეჟისორმა პარტიის სიმბოლიკაზეც ისაუბრა და შენიშნა: ალამზე გამოსახულ ფერებს რაც შეეხება: თეთრი-სისპეტაკის, ზნეობის, ლურჯი-ჩვენი შავი ზღვის, ხოლო ოქროსფერი- იმ ტერიტორიების სიმბოლოდ შეირჩა, რასაც ჯერჯერობით ვერ ვაკონტროლებთ. თუმცა მათ დაკარგვას ვერაფრით შევეგუებითო. „თითოეული თქვენგანი უზომოდ მიყვარხართ“ — საუბრის ბოლოს გამოგვიცხადა წუთის წინ „გაპოლიტიკოსებულმა“ რეჟისორმა.

სიმბოლიკის განმარტების მერე, შეხვედრა ისევ კლასიკურ, ოღონდ უკვე მოჭარბებულად ზეოფიციალურ სტილში გაგრძელდა. ჩანს, მასპინძლებს უნდოდათ საკუთარ გულწრფელობაში სტუმრებიც დაერწმუნებინათ და პარტიის პროგრამა, წესდება, დელეგატთა სია, ასე განსაჯეთ, „განახლებული საქართველოს“ წევრების კენჭისყრა სულ „პატაკით“ ჩაგვაბარეს. როცა ჯერი გამგეობის წევრთა არჩევაზე მიდგა, 5 პირის შემადგენლობით ვაკომპლექტებთო, დარბაზის უკანა რიგებიდან თითქოს ერთდროულად იხუვლეს- ხუთი არ ვარგა, ხუთი ცუდი რიცხვიაო. მაშინ ყრილობის თავმჯდომარე ვალერი გაბელიამ „ექსპრომტად“ შეაგება წინადადება-კარგი, პრობლემა არ არის, შვიდკაციანი იყოს გამგეობაო. ჰოდა, ახალი წევრების წარდგენაც აუცილებელი შეიქნა. დარბაზმა მყისიერად მოიფიქრა კანდიდატები: ირაკლი ქარდავა და გიორგი ვანიშვილი. ვალერი გაბელიამ ვანიშვილის ნაცვლად, ივანიშვილი გამოაცხადა. -ივანიშვილიც კარგი იქნებოდა-ენამოსწრებულად იხუმრა ვიღაცამ დარბაზიდან.

ბოლოს და ბოლოს, პარტიის თავმჯდომარეც წარგვიდგინეს. ახალგაზრდა, ენერგიული ქალბატონი სწრაფად გამოჩნდა დარბაზში და ემოციურად დამუხტული სიტყვა შეაგება სტუმრებს.

**ნანა გულუა: „განახლებული საქართველოს“ თავმჯდომარე:**

— „ვარ ქართველი დედა, ქართველი მეცნიერი. ეს რეგალიებიც კი ჩემი სამშობლოს გადარჩენისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. კიდევ უფრო მეტად მიყვარს ჩემი საქართველო და მივიღე ქვეყნის გადარჩენისათვის საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება.

ღრმად მწამს, ჩვენ ერთად მეტის გაკეთება შეგვიძლია. ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ საქართველოს აყვავებას მხოლოდ ტურიზმის განვითარება უშველის. სოფლის მეურნეობის აღორძინებაშია საქართველოს ხსნა, რწმენადაბრუნებული მშრომელი კაცია ჩვენი იმედი.

ბედნიერი ვარ, რადგან სოხუმში ვცხოვრობდი და ვსწავლობდი, თუმცა მეორე მხრივ, უბედურებაა, როცა იქ ჩასვლის უფლება დაკარგული გვაქვს, მჯერა- დროებით.

საქართველოში ერთი უბედურება არ გვაკმარეს. სამჯერ და მრავალჯერ დევნილები ხდებიან ჩვენი თანამოქალაქეები. ვისაც არ გეშინიათ, ვისაც ჩემებრ და ჩემზე მეტად უყვარს სამშობლო, იმათ გასაგონად ვაცხადებ- ვიწყებთ ბრძოლას ქვეყნის გათავისუფლებისათვის.



თითოეული მიმართულებით გვაქვს კონკრეტული გეგმები, კონკრეტული იდეები. დაფინანსებასთან დაკავშირებითაც განსაკუთრებული იდეა. ამიტომ ძალიან გთხოვთ მოვითმინოთ.

ჩემი ძმა არის ჩემი ძმა, ნანა გულუას ძმა და ის ჩემთან ერთად არის, როგორც ძმა. თქვენ როგორ გგონიათ, მე, შეიძლება მყავდეს ისეთი ძმა, რომელიც არ მეხმარება?“—

**გურამ ფირცხალავა: მსახიობი „სახალხო კრების“ წარმომადგენელი და „წინააღმდეგობის მოძრაობის“ წევრი:**

— „კიდევ ერთი ახალი პარტია შეიქმნა, შეიქმნა ქვეყნისთვის, რომ ბოლოს და ბოლოს, გვეშველოს.

მივესალმები ყველა პარტიას, რომელიც ცოტათი, თუ ბევრად წინ წასწევს ჩვენს საქმეს. ნანა გულუამ თქვა, დავიბრუნოთ ჩვენი სამშობლო აფხაზეთიო და სიმართლე გითხრათ, ცრემლები წამომცვივდა. რატომ უნდა ვიყოთ ჩვენ უსამშობლოდ? თანაც დაუმატა: სამჯერ დევნილებად გადაგვაქციესო, ესეც გულზე მომხვდა, ასე არ უნდა ხდებოდეს საქართველოში. გაუმარჯოს ამ პარტიას“

**ვალერი გაბელია:** — ლოიალური და ლიბერალური მიმართულების პარტია ვიქნებით. არ არის გამორიცხული ბიძინა ივანიშვილთანაც ვითანამშრომლოთ, რადგან მის პარტიას დიდი ავტორიტეტი აქვს საქართველოში. ყველა ჭეშმარიტ ოპოზიციურ ძალასთან ვითანამშრომლებთ, ოღონდ ფსევდოოპოზიციასთან — ვერა. სხვათა შორის, ივანიშვილის პარტიის რიგებიდან ბევრი ჩვენ შემოგვიერთდა. ამბობენ-აქ უფრო ფასობს თავისუფალი სიტყვა და მოქმედების თავისუფლებაც მეტიაო.

**— რა ფორმით იქნება მინდია გულუა ამ პარტიაში ჩართული?—**

— ბატონი მინდია ჯერჯერობით აბსოლუტურად არ არის ჩართული ამ პარტიის საქმიანობაში, არც ვიცი, რას იზამს მომავალში. პარტიას უშუალოდ უხელმძღვანელებს მისი და, ნანა გულუა. მართალია, იგი პოლიტიკაში პირველ ნაბიჯებს დგამს, თუმცა საკმაოდ წარმატებული მეცნიერია. ქალბატონ ნანას დიდი ავტორიტეტი აქვს თანამემამულეებში. ბევრი საქველმოქმედო საქმე გაუკეთებია.—

**— დღევანდელ შეკრებაზე ჭარბად იყო აფხაზეთის თემა, გაჩნდა იმედი-ბოლოს და ბოლოს, დევნილების პრობლემებითაც დაინტერესდება ვინმე?**

—მინდია გულუა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის იბრძოდა აფხაზეთში, მრავალჯერ იყო დაჭრილი, მაინც გადარჩა ღვთის ნებით და დევნილის სტატუსით წავიდა რუსეთში.

ახლა მოქალაქეობის პრობლემა აქვს საქართველოში. ჩვენ და ჩვენთან ერთად სრულიად საქართველოს უნდა მისი ჩამოსვლა, რომ საკუთარი შრომით და ოფლით ნაღვაწი დააბანდოს სამშობლოში. მისი სურვილია, ამ მეტად მძიმე ყოფიერებაში დაეხმაროს და გვერდში დაუდგეს ქართველ ერს .

ჯერჯერობით მინდია გულუა ამ პარტიას არ აფინანსებს.

მოქალაქეობასაც მიაღწევს. ამისთვის უკვე დაიწყო ბრძოლა.

თუ მიეცა საშუალება, საქართველოში ჩამოვა და აუცილებლად იბრძოლებს ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის. რა თქმა უნდა, პირველ რიგში დევნილების პრობლემებს მოაგვარებს, ასევე პრიორიტეტული იქნება მისთვის სოფლის მეურნეობის აღორძინება.

**ნათია ნოდია**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

facebook

# xalxisazriT

ამ ბოლო პერიოდში ისმის ბრალდება, რომ ივანიშვილმა საქართველოს ომის დაწყება დააბრალა პრესკონფერენციაზე. საინტერესოა ისიც, რომ არცერთი მხარე არ დააკვირდა იმ ტერმინოლოგიას, რაც ივანიშვილმა გამოიყენა. სხვა პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, ივანიშვილმა თქვა "2008 წლის საომარი მოქმედებები'' ეს კი უკვე გამორიცხავს ომის დაწყებას, რადგან საომარი მოქმედებები ადრე დაწყებული ომის გაგრძელებაა.

ნოდიაც კი პროგნოზებით გამოდის მომავალი ხელისუფლების პერსონალურ შემადგენლობაზე და პირველი შემთხვევაა, მგონი, რომ ვეთანხმები: პრეზიდენტი – ალასანია, პარლამენტის თავმჯდომარე – უსუფაშვილი, პრემიერი ივანიშვილი. ზოგმა ექსპერტმა მთავრობის პერსონალურ შემადგენლობაზე დაიწყო საუბარი. ძალიანაც კარგი. ნოდიას შესავალმა გამაცინა:''ალბათობა, რომ ისინი ხელისუფლებაში მოვლენ, არ არის მაღალი, მაგრამ ვარაუდები შეიძლება გამოვთქვათ'' :)

მიშამ მიხალკოვის ქალიშვილის ქორწილში მისვლით და რუსული რომანსების ტკბობით რა ,,სატოპკე'' აუგდო შალვას დარდუბალასთვის! ისე, კალმახელიძე რომ მივათხოვოთ ჟირინოვსკის? ხომ ხდებოდა ხოლმე ასეთი პოლიტიკური ქორწინებები? დათბობა და თვალებიდან გადმოღვრილი ,,ჩუვსტვები'' მერე ნახეთ:)).

მიშას პრესკონფერენცია ბუნებაში არ არსებობს. შევარდნაძის ტრადიციული ყოველკვირეული პრესკონფერენციების შემდეგ საქართველოს პრეზიდენტს, რეალურად, პრესკონფერენცია არ ჰქონია. მიშას უყვარს მონოლოგები, როცა კითხვას არავინ უსვამს და რასაც უნდა, იმას ლაპარაკობს - თავისთვის მიერეკება. ან უარესი - უყვარს დავარცხნილი, ,,ჩაწყობილი'' ბრიფინგები, სადაც წინ მხოლოდ მისი რჩეული სამი ტელევიზიის დაქოქილი სათამაშო უზის, თვალებს უფახულებს და წინასწარ ჩამოწერილ, ათასჯერ შეთანხმებულ კითხვებს უსვამს. მიშა ასეთია.

ხოლო ბიძინა - კაცი, რომელიც აქამდე არ ჩანდა და მისი პერსონის შესახებ თითქმის არაფერი ვიცოდით, გაცილებით კომუნიკაბელური და ღია აღმოჩნდა, ვიდრე წარმოგვედგინა. კოიოტებმა ამით ბოროტად ისარგებლეს...

საოცრება იცით, რაშია?ამ არამზადებმა იმდენს მიაღწიეს, მილიარდერს ხალხი იქით უხდის ფულს!:)))ესეთი რამ კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს, სწორედ ამას ჰქვია ბოროტების სიყვარულით დამარცხება!!!

ერთადერთი ქვეყანა ვართ მსოფლიოში, სადაც ცირკი არაა უკვე 3 წელია. არადა, რამდენი მასხარა გამოჩნდა... ამ ხალხს დასაქმება არ უნდა? ამხელა აუდიტორია, მსოფლიოს არც ერთ ცირკს არ ღირსებია არასოდეს !!! 20 წელია მსოფლიო ჩვენს ცირკს უყურებს, თავისი უთვალავი კლოუნებით !!! გარედან ვინც უყურებს, ეცინებათ, შიგნიდან ვინც ვუყურებთ – არა.

ნაცების კვნესა ვნახე და მაგათი თვალის დაფსობა, მთელ საქართველოს აჰკიდეს პოლიტიკური ყაბზობა.

ამ სააკაშვილის ნახმარ ლამაზმანებს რაღა ეშველებათ, ნეტა, უპატრონოდ რომ რჩებიან. მიშა რომ ქალთან გულაობს და მერე თავის ნათრევ ქალს ხელისუფლებაში მყოფ ჩინოვნიკს გაატანს ცოლად, თურმე ეს ვაჟკაცობა ყოფილა და რუსეთთან დიალოგი – ჯაშუშობა.

**რა ვქნა, ვაღიარებ: სააკაშვილს და მის სატანურ გარემოცვას მე ვერასოდეს შევიყვარებ და აქედან გამომდინარე, ვერც ვერასოდეს ვაპატიებ საქართველოს გაპარტახებას და ქართველი ხალხის გაბახებას!!!** რომ ვაპატიო, აბა, მითხარით, რა ფორმით?!!

მე არ მაინტერესებს ლირიკა და ნიუანსები!!!!!!! ხელისუფლებამ უნდა დაიკლოს ფუფუნება და მიხედოს ხალხს!!! ეგრე გაგრძელება შეუძლებელია!!!! ხალხს არა აქვს ელემენტარული საშუალება კვების, წამლის, ცხოვრების!!!!!და ჩემთვის გაუგებარია,




# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

*„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

***მთვარისა კევლიშვილი.***

ტელ.: 2 79 63 91;
8 790 60 64 69;
5 93 78 64 69



* * *

**– რა არის სახელმწიფო ბაჟი? ალიმენტის შესახებ სარჩელი შეგვაქვს სასამართლოში. რა რაოდენობის ბაჟი უნდა გადავიხადოთ?**

– სახელმწიფო ბაჟი ეს არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი სპეციალური გადასახადი, რომელიც გადაიხდევინება მოქალაქეთა მიერ სასამართლოში შეტანილ სარჩელებსა და განცხადებებზე და რომლის ოდენობაც განსხვავდება იმის მიხდვით, თუ ვინ მიმართავს სასამართლოს და რას ითხოვს.

მოსარჩელეები ალიმენტის გადახდევინების სარჩელებზე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადასახადისაგან თავისუფლდებიან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის I ნაწილის ,,ა'' ქვეპუნქტის შესაბამისად.

აქედან გამომდინარე, თქვენ ალიმენტის გადახდევინების სარჩელთან დაკავშირებით სახელმწიფო ბაჟს არ გადაიხდით.



* * *

**– განქორწინების საქმის განხილვისას დღევანდელი სამოქალაქო კანონმდებლობა კვლავ ითვალისწინებს თუ არა მეუღლეთა შესარიგებლად ვადის დანიშვნას?**

– ითვალისწინებს.

განქორწინების საქმის განხილვისას სასამართლო იღებს გარკვეულ ზომებს მეუღლეთა შესარიგებლად. მას აქვს უფლება გადადოს საქმის განხილვა და მეუღლეებს შესარიგებლად დაუნიშნოს ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. თუკი სასამართლო დაადგენს, რომ, მიუხედავად ამ ზომებისა, მეუღლეთა შემდგომი თანაცხოვრება და ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია, მაშინ იგი იღებს გადაწყვეტილებას განქორწინების შესახებ.

* * *

**– რა შემთხვევებში ხდება სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება?**

– სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო, ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან:

ა) მოსარჩელეები – ალიმენტის გადახდევინების სარჩელებზე.

ბ) მოსარჩელეები-დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე, მარჩენალის სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე;

გ) მოსარჩელეები-დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების სარჩელებზე.

დ) მხარეები – უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების უკანონოდ გამოყენების ან გამასწორებელ სამუშაოთა სახით ადინისტრაციული სახდელის უკანონოდ დადების შედეგად მოქალაქისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სარჩელებზე;

ე) მოსარჩელეები – არასრულწლოვანთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ სარჩელებზე.

ვ) მხარეები, რომლებიც დადგენილი წესით რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებენ საარსებო შემწეობას, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტაციით:

ზ) მხარეები – წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილების სააპელაციო ან საკასაციო წესებით გასაჩივრებისას.

კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მხარეთა გათავისუფლების სხვა შემთხვევებიც.

* * *

**– სამოქალაქო საქმის განხილვისას ვისგან შეიძლება ახნა-განმარტების მიღება?**

– არ შეიძლება ახსნა-განმარტების მიღება.

ა) ისეთი პირებისაგან, რომლებსაც თავისი ფიზიკური ნაკლის ან ფსიქიკური აშლილობის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას ფაქტები და მისცეს მათ შესახებ სწორი ჩვენება;

ბ) სასულიერო პირისა ან ისეთ გარემოებათა შესახებ, რომლებიც მათ გაანდვეს აღსარების დროს.

გ) თანამდებობის პირისაგან ისეთ გარემოებებზე, რომელთა შესახებ საიდუმლოების დაცვაც მის სამსახურებრივ მოვალეობაში შედის, თუ იგი გათავისუფლებული არ არის ასეთი საიდუმლოების დაცვისაგან.

* * *

**– სამოქალაქო კანონმდებლობით, აღიარება ითვლება თუ არა საკმარის მტკიცებულებად? რას გვეტყვით, ზოგადად, ამ მტკიცებულების შესახებ?**

– ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას.

საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების არსებობის ან არარსებობის აღიარება მხარეს შეუძლია როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების ან ამ საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის დროს. თუ აღიარება წარმოდგენილია წერილობითი ფორმით, იგი დაერთვის საქმეს. ზეპირად გაკეთებული აღიარება შეიტანება სასამართლო ხდომის ოქმში.

მხარეს შეუძლია, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე გააქარწყლოს (უარყოს) თავისი აღიარება, თუ დაამტკიცებს, რომ ეს აღიარება იყო შეცდომის შედეგი და განპირობებული იყო ისეთი გარემოებით, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის აღიარების შემდეგ, ანდა მასზე ფსიქიკური თუ ფიზიკური ზემოქმედებით, რომელიც გამორიცხავდა მის თავისუფალ ნებას.

აღიარების უარყოფა სასამართლომ უნდა დაასაბუთოს თავის გადაწყვეტილებაში.

* * *

**– დედამ ანდერძით დამიტოვა ქონება. გარდაცვლილი მყავს და, რომელსაც დარჩა ორი ქალიშვილი, შეუძლიათ თუ არა ჩემს დისშვილებს შემომედავონ ქონების მიღებისას.**

– შეუძლიათ.

– თქვენ და თქვენი და ითვლებოდით დედათქვენის I რიგით მემკვიდრეებად. თქვენი და გარდაცვლილია. მისი წამომადგენლები არიან დისშვილები. ვინაიდან, სახეზე გვაქვს ანდერძით მემკვიდრეობა და არა კანონისმიერი, თქვენს დისშვილებს შეუძლიათ მოითხოვონ დედამისის, როგორც I რიგის მემკვიდრის სავალდებულო წილი. თქვენი და რომ ცოცხალი ყოფილიყო, ის მიიღებდა ქონების ნახევრის ნახევარს. ამ ნახევრის ნახევარზე (სავალდებულო წილი) პრეტენზია რომ გაუჩნდეთ თქვენს დისშვილებს, ნუ გაგიკვირდებათ. კანონი მათ ამის უფლებას აძლევს.

* * *

**– როგორ ხდება პენსიის დანიშვნა?**

– სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში, თქვენი განცხადების საფუძველზე, კომპენსაციის ან სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნა მოხდება განცხადების წარდგენის დღიდან.

მარჩენალის გარდაცვალების გამო, კომპენსაცია ინიშნება მარჩენალის გარდაცვალების დღიდან, თუ განცხადება კომპეტენტურ ორგანოში წარდგენილი იქნება გარდაცვალებიდან 3 თვის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემთხვევაში, კომპენსაცია ინიშნება განცხადების წარდგენის დღიდან.

* * *

**– მამაჩემი ბრმაა. აპირებს ანდერძის დაწერას როგორი მოხდება ეს? შეიძლება თუ არა ანდერძი შინაურული ფორმით დაიწეროს?**

– თუ მოანდერძე ბრმაა (ან წერა-კითხვის უცოდინარი), ანდერძი უნდა შედგეს ნოტარიუსთან სამი მოწმის თანდასწრებით, რის შესახებ უნდა გაკეთდეს სათანადო ჩანაწერი, რომელიც წაეკითხება მოანდერძეს. ამ დროს არ შეიძლება ანდერძის ჩამწერი და მისი წამკითხველი ერთი და იგივე პირი იყოსჩანაწერში აუცილებლად უნდა იქნას მითითებული, თუ ვინ გააკეთა ჩანაწერი და ვინ წაუკითხა მოანდერძეს. ჩანაწერს ხელი უნდა მოაწერონ მოწმეებმა და დაადასტუროს ნოტარიუსმა.

აქედან გამომდინარე, ბრმა პიროვნების (ან წერა-კითხის უცოდინარი) მიერ ანდერძის შინაურული ფორმით დაწერა კატეგორიულად გამოირიცხება.

ბანკი ქართუ
CARTU BANK

## სათავო ოფისი
ჭავჭავაძის გამზ, №39ა
0162, თბილისი
ტელ.: (+995 32) 292 55 92/91/90
(+995 95) 92 55 92
ფაქსი: (+995 32) 291 22 79
ელ.ფოსტა: info@cartubank.ge

## ვაკის სერვისცენტრი
ი. აბაშიძის ქ, №24
0179, თბილისი
ტელ.: (+995 32) 225 06 14/15
ფაქსი: (+995 32) 225 06 15
ელ.ფოსტა: vake@cartubank.ge

## საბურთალოს სერვისცენტრი
პეკინის ქ, №14ბ
0171, თბილისი
ტელ.: (+995 32) 292 55 92
ფაქსი: (+995 32) 292 55 93
ელ.ფოსტა: saburtalo@cartubank.ge

## მთაწმინდის ფილიალი
ვეკუას ქ, №1, 0105, თბილისი
ტელ.: (+995 32) 292 55 92/91/90
ფაქსი: (+995 32) 292 19 38
ელ.ფოსტა:
mtatsminda@cartubank.ge

## ისნის სერვისცენტრი
ქეთევან დედოფლის ქ, №50
0198, თბილისი
ტელ.: (+995 32) 292 55 92
ფაქსი: (+ 995 32) 224 11 34
ელ.ფოსტა: lilo@cartubank.ge

## ქუთაისის ფილიალი
ფალიაშვილის ქ, №4
4600, ქუთაისი
ტელ.: (+995 431) 25 65 65
ფაქსი: (+995 431) 25 65 60
ელ.ფოსტა: kutaisi@cartubank.ge

## ბათუმის ფილიალი
გრიბოედოვის ქ, №2
6000, ბათუმი
ტელ.: (+995 422) 27 59 00
ფაქსი: (+995 422) 27 65 04
ელ.ფოსტა: batumi@cartubank.ge

## გორის სერვისცენტრი
სტალინის გამზ, №10/14
1400, გორი
ტელ.: (995 470) 27 76 71
ფაქსი: (995 470) 27 76 71
ელ.ფოსტა: gori@cartubank.ge

## თელავის სერვისცენტრი
ჭავჭავაძის მოედანი
0022, თელავი
ტელ.: (995 450) 27 09 00
ფაქსი: (995 450) 27 09 01
ელ.ფოსტა: telavi@cartubank.ge

